

180

1962

საბჭოთა ხელოვნება

საბჭოთა ხელოვნება
11
1962
საბჭოთა ხელოვნება

11

180
1962/4



საქართველო

სულთნობა



ქვეყნის მართვის
ქონების მართვის
ქონების მართვის

898

საქართველო სსრ
ქუთაისის
საინჟინერო
სამშენობლო
სამსახური

11

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1962





ა. მილნიკოვი, ა. კოროლოვი

კომუნისმის მშენებლები (ფრაგმენტი)

მთავარი რედაქტორი—ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე ვანო წულუკიძე.

მ. აბდულაევი

ბაქოელები





დიდი ოქტომბერი—საბჭოთა ხალხების შთაბორონებელი

სამაყო ორმოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა კრეისერმა „აგორამ“ მთელ მსოფლიოს აუწყა ახალი ეპოქის დაწყება, პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის იარაღობებულ სამყაროში.

ორმოცდახუთი წელი რა დიდი შინაარსი ჩაკისვილი ამ სიტყვებში! დაუვიწყარი, გმირული შემართებებით აღივსო ეს წლები, რომლებშიც აისახა ჩვენი ქვეყნის, დიდი საბჭოთა ხალხების ბრძოლა და შრომა, შემოქმედება და ფანტაზია, უშრობი ოპტიმიზმი და უდრეკი ნებისყოფა დასახული გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად, კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის საძირკვლის ჩასაყრელად, სადაც საგნებით და მოუბრუნებლად მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, ყველა ერის მზრუნველი გახდა, ხოლო თვითველი ყველას ინტერესების დამცველად იქცა.

ვინ იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი? კომუნისტური პარტია, დიდი ლენინი, რომელიც სახელგანთქა ვაჟუდვა ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმზე საიერიშოდ რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას, ვინც საუკუნეების განმავლობაში მონობასა და მორჩილებაში ცხოვრობდნენ. ლენინმა, დიდმა კომუნისტურმა პარტიამ ჭეშმარიტად სასწაულოშემედი თავდადება და ერთგულმა გამოიჩინეს მშრომელი მასების წინაშე, როცა წლების განმავლობაში არ უშინდებოდნენ თვითმპყრობელობის რეჟიმსა და პოლიტიკურ რეპრესიებს, თესდნენ და ახარებდნენ მარქსიზმის მოძღვრებას რუსეთში, იღიურად და ორგანიზაციულად აიარალებდნენ და აკაყვებდნენ მუშებს და გლეხს, ჯარისკაცსა და ინტელიგენტს, ყველას, ვისაც უნდა მიემართა თავისი ძალები „ხალხთა სატყუალს“ — თვითმპყრობელოერი რუსეთის, დიდ-მპყრობელოერი წყობილების დასაშობად, ახალი სოციალური საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამკვიდრებლად, მშრომელი მასების სინათლით მოცულ გზაზე დასაყენებლად, კომუნისტური ასაშენებლად.

და ახლა, როცა მებრძოლი მშენებელი ხალხი ზეიმობს თავისი გამარჯვების დღეს, პირველი მისი სიტყვები მიმართულია ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ყველა იმ გამოჩენილი მებრძოლისადმი, რომლებიც განუხრებლად ატარებდნენ რა ლენინურ მოძღვრებას სოციალისტური რევოლუციის განამარჯვებლად, საკუთარ სიცოცხლეს არ იმურებდნენ ბედნიერი შერჩევის მოსაპოვებლად, ისეთი დროის მოსასახლოებლად, როცა საუკუნეებით ჩამორჩენილი რუსეთი კაცისა და

გუნტის ქვეყანა მშვიდობიანი ატომისა და კოსმოსური რაკეტების სახელმწიფოდ იქცეოდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მთელი გადატრიალება მოახდინა ადამიანების შეგნებაში. დიდმა იდეებმა წარმოშვა დიდი ტრანტები, ორგანიზატორები, მაღალი სულიერი კულტურა, რომელშიც საბჭოურ ხელშეწყობას ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ფიზიკური და ეკონომიური, იდეური და მორალური მოზოიდან განთავისუფლებული ფართო მშრომელი მასები დაუწყებენ ცოდნას, ხელსუფლებას და ორმოცდახუთი წლის მანძილზე არსებული, გრანდიოზული შედეგი მოიპოვებს. საბჭოთა ხალხის ხელოვნება იქცა მსოფლიოში ყველაზე პროგრესულ, ყველაზე ჭეშმარიტ ძალად, რომლის მოწოდებამ აღზარდოს ადამიანები შრომის სიყვარულით, მშვიდობის მაღალი გრძნობითა და ძმობის დრმა შეგნებით.

ამ ლენინურ მიზნებს ისახავდა ჩვენი ხალხის ხელოვნება დიდმან საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტისა, როცა საიმპერატორო და კერძო მუსუქუმები და ბიბლიოთეკები, თეატრები და საკონცერტო ორგანიზაციები, სკოლები და უნივერსიტეტები, სასაბჭორო აკადემიები და საგანმეფო დარბაზები ხალხის ხელში გადავიდა, სახალხო საკუთრებად გამოცხადდა.

მიძიე იყო საბჭოთა ხელისუფლების შინაჩრუნებისათვის ბრძოლისა და სამოქალაქო ომის წლებში ხელოვნების მუშაკთა მცირერიცხოვანი არმიის მოღვაწეობა, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის მაღალი იდეებით შთაგონებული ყოველვარ სიძნელეების სლევდნენ, მართალი და მგზნებარე, თბილი, ხატოვანი სიტყვითა და ფუნჯით მასებში მიდიოდნენ, რომ ხელოვნების შთამბეჭდაობის ძალით კიდევ უფრო აღებით ახალი ცხოვრების გამომჭედილი პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, შემუსულებიანთა მათი მიძიე ბრძოლა, დაემშვენიებინათ მათი საპატიო შრომა.

საბჭოთა კავშირის ზრდისა და დაეკავციების სახელოვან გზაზე წარუშედი ყველა დარჩება საბჭოთა ხელოვნათა ფსადაუდებელი ღვაწლი. თავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩამბული ჯარისკაცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური თეატრების შექმნას და რევოლუციური სახეითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომლებიც რევოლუციური მონღომებითა და აღტაცებით, რწმენითა და მიზანდასახულობით აწვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას როგორც ფრონტზე, მოწინავე ბრძოლის ხაზზე, ისე ზურგში, ეკონომიური ომის მიძიე და რთულ უბანზე.

პეტროგრადისა და მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის მუშათა რევოლუციური დრამატული კოლექტივები მართაოდნენ ეპოქის

სულის გადმოცემ სპექტაკლებს, აღანთებდნენ ფრონტზე მი-
მაღა ჯარისკაცებს, მტკიცედ დაცვათ სოციალისტური სამ-
შობლოს რევოლუციური მონაპოვარი. ამ ისტორიულ ავან-
გარდში ღირსეული ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის სა-
ამაყო შვილს, სტალინისა და სტალინის მემკვიდრისა და თანამებრძოლის
კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც იგრძნო რა ახალი ეპოქის მა-
ნიფესტო, დაუყოვნებლივ ჩადა ახალი სამყაროს სამსახურში,
ახლებურად ააუღერა საუკუნეების წინათ დაწერილი ფეოდა-
ლისებისა და ტირანიის წინააღმდეგ მიმართული, სამტოური
ქუმანიზმისა და სამართლიანობისათვის ხელისშემწყობი ლოპე
დე ვეგას „ცხვირის წყარო“.

ასეთივე მგზნებარებით იბრძოდა ბასრი მხატვრული კალ-
მით საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებული და გაზრდილი,
რუსი ხალხის სიამაყე, ჩვენი ეპოქის გამორჩენილი პოეტი ვლად-
იმერ შაიკოვსკი, რომელიც საავიეტაციო პლაკატებით ისეთ-
სავე დიდ საქმეს აკეთებდა, როგორცაა სამოქალაქო ომის მრა-
ვალრიცხოვან ფრონტებზე საბრძოლველად გასული მთელი
საბრძოლველი დივიზია.

თავარი, მხატვრული პლაკატი, კინო, ქანდაკება, — აი,
ის სწავლული იარაღი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურად-
ღებას აქცევდა პარტია და მხატვრული ლიტერატურის ძლიერ
შემოქმედებით ძალასთან ერთად მშრომელთა ფართო მასების
სამსახურში აყენებდა. ლენინი, მიუხედავად ქვეყნის შინაური
და საგარეო ვართულებებისა, ყოველდღიურად წარმართავდა
ხელოვნების მოღვაწეთა ორგანიზაციების მუშაობას, თვითონ
წეოდა მონუმენტური პროპაგანდის იდეისათვის ხორცშესხმას,
მოითხოვდა, რომ ხელოვნება ღრმად შეტრიალიყო მასების შუა-
გულში, რომ ლიტერატურა და ხელოვნება გადაქცეულიყო
მშრომელთა ფართო მასების აღზრდის, კომუნისტური მორა-
ლის გამომუშავებისა და განმტკიცების საშუალებად, ახალი
სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების განმტკიცები-
სათვის მორალურ და შთამბეჭდავ ძალად.

დიდი ლენინის ეს მოთხოვნანი მთელი სიღრმით ხორცი-
ელდება ჩვენს დროში, კომუნისმის გამწვლილი მშენებლობის
ეპოქაში, როცა პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადა-
წყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ყველაფერს
აკეთებს იმისათვის, რომ უახლოვს ხანში ადამიანების ახლან-
დელმა თაობამ კომუნისმში იცხოვროს. კომუნისტური პარტიის
ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს
ნიკიტა ხრუშჩოვი, მოუწოდებს ხელოვნათ, უფრო
განამტკიცონ კავშირი ხალხთან, შექმნან მღელვარე და ხატო-
ვანი ნაწარმოები, ჩვენი მაღალი ეპოქის მნიშვნელობის შე-

სატყვისი ტილოები, დაემზარონ კომუნისმის მშენებლობას სუ-
ლისამდგმელსა და ორგანიზატორს — ჩვენს პარტიას წარმა-
ტებით განახორციელონ ხალხის საკეთილდღეოდ დასახული
გრანდიოზული ამოცანები, შეეწყვიტონ სადღისი სიძველეების
დაძლევაში, რომ მერმისის სიკეთე და კეთილდღეობა სისხლ-
სავსედ წარსდგეს შრომისა და შემოქმედების ადამიანების წი-
ნაშე.

და ეს ასევე იქნება, საბჭოთა ხელოვნება ყველაფერს აკეთებს
პარტიის და მოწოდების განსახორციელებლად. საბჭოთა თეატრ-
ის, მუსიკის, სახეილი და კინოხელოვნების მუშაკები მთელი,
ენერგიით მუშაობენ, რომ ღირსნი გახდნენ ხალხის მაღალი შე-
ფასებისა. ხალხი ამყოფს თავისი პროგრესული შრომითა და შე-
მართებით, თავისი ძიებით ჩაწვდეს მიწის წიაღის საიდუმლო-
ებათ, მისწვდეს კოსმოსის უხილავ სივრცეს. ამას იგი წარმატე-
ბით ასრულებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით
წარმატებას ახალ წარმატებას ამატებს და უხარია, რომ არც
ხელოვნება ჩამორჩება, ხელოვნებაც მხარდამხარ მისდევს. ამ-
ხნევეს, ასევეებს, მაღალ მორალურ ძალებს მატებს.

მაგრამ ჩვენი დროის ადამიანი უფრო მეტს მოითხოვს ხე-
ლოვნებისაგან, მოითხოვს იმას, რომ თეატრი და კინო, ქანდა-
კება და სახეილი ხელოვნება, მუსიკა და მხატვრული ტელე-
ვიზია, — ეს მგრძობიარე, შთამბეჭდავი და შემოქმედი არტე-
რიები ჩვენი საზოგადოებრივი ყოფიერებისა, კიდევ უფრო
გააზრებულად, მისანდასახულად მოქმედებდნენ.

ამ მხრივ მვერი რამ გააკეთეს საქართველოს ხელოვნების
მუშაკებმაც, ბევრი კარგი სპექტაკლი დაიდა, მაღალიდღერი
და პროფესიული ოსტატობით დაწერილი მუსიკალური ნაწარ-
მოები შეიქმნა, არაერთი ღირსშესანიშნავი სახეილი ტილო და
ქანდაკება ჩამოიქნა და ჩამოიხსა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო
მეტია.

საქართველოს სახელოვნო ორგანიზაციები, რომლებიც
ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალის-
ტური რევოლუციის 45 წლისთავს, ყველაფერს გააკეთებენ იმი-
სათვის, რომ კომუნისმის გამწვლილი მშენებლობის თვითული
მონაწილე მღელვარედ უყურებდეს ქართველ მხატვართა, თე-
ატრისა და კინოს, მუსიკისა და მხატვრული ტელევიზიის მიღ-
წევათა ნაწარმოებს, მაღლიერებისა და კმაყოფილების გრძნო-
ბით ხვდებოდეს მათ ნამუშევრებს, ისევე, როგორც მაღალი
მადლობითა და კმაყოფილებით ხვდებიან ხელოვანი ჩვენი
დროის შრომის ადამიანების ნამოღვაწარს, ქარანებისა და
მინდვრების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და საკუნსტრუქტო-
რო ლაბორატორიების დიდსა და პატარა შემოქმედთ.



ხალხთა მემკვიდრეობა ჩვენი ქვეყნის სიმბოციის საფუძველია

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისმის გამოლილი მშენებლობის წლებში. მაღალი ტემპებით სრულდება რესპუბლიკის საწარმოთა გეგმები, საქართველოს სოფლის მეურნეობა შემდგომი აღმავლობის გზაზე. ჩვენმა მფრთხივებმა ვაასარეს სამშობლო, პარტია შესანიშნავი გამარჯვებით: მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთლი, საცემოდ დავალება გადაამატეს 15 ათასი ტონით. ფოთლის საერთო მოსავლმა სანახევროდ და მეტად გადააჭარბა 1953 წლის დონეს. ამასთან შენეშეულვინდა გაიზარდა პირველი ხარისხის ფოთლის მწვინეობის წონა. შეიღწლიანი გეგმით გათვალისწინებულ იმეზა მიღწეულია.

ასეთი მაღალი შედეგი მიღებულია იმით, რომ საქართველოს მშრომელები შთაინფლებული არიან კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებით: ვზარდით ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ვაგამტაცით ჩვენი სამშობლოს სიძლიერე, კვლავაც მაღლა ვატაროთ მშვიდობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დროშა.

ხალხთა მკობრობა — აი საძირკველი, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერე, საბჭოთა ხალხების ურღველი კავშირი, სოციალისტური საზოგადოების უძლეველობის ფუძედაფუძე.

საქართველოს მკვიდრი ყოველთვის იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან საბჭოთა ხალხების მეგობრობის შედარადების შემოქმედნი. ამის ნათელი მაგალითია ის მაღალი ინტერნაციონალური დამოკიდებულება, რომელიც ღვივის და იზრდება საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხებისადმი, რუსებისა და უკრაინელებისადმი, ბელორუსი და სომხებისადმი, აზერბაიჯანელებისა და ებრაელებისადმი, აფხაზებისა და ოსებიანადმი, ყველა დიდი თუ პატარა ერისადმი, ვინც, კომუნისტური პარტიის, დიდი ღვინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად ქართველი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

საქართველოს ხელოვნების მოღვაწენი მთელ თავიანთ მსოფქმედებს იქით წარმართავენ, რომ ხელი შეუწყონ ჩვენი საზოგადოების მაკოსცლებელ ამ მჩქეფარე ძალას — ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. ამის კონკრეტული გამოვლინებება ცხოველი სამზადისი, კონსტანტინე სტანისლავსკის დაბადებიდან 100 წლისთავის შესახებდრად. ქართული თეატრები მზად არიან იმ დროისათვის, როცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების თეატრებთან ერთად რუსული ხელოვნებისადმი დღმა სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ საბჭოური თეატრის შემქმნელის, დიდი რეფორმატორის სტანისლავსკის ღვაწლსა და ამაგს.

მომე ვაზრბაიჯანელი ხალხისადმი სიყვარულის გამოვლინების ახალ ფურქტად იქცა ჩარბზა ფატალი ახუნდოვის იუბილე, რომელიც ქართული და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას ემსახურება.

საბჭოთა ადამიანების, მთელი საბჭოთა ხალხების საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი სიყვარულის დემონსტრაციად იქცა ილია ჭავჭავაძის და კოტე მარჯანიშვილის ხანიბიბილე დღეები. ეს მეგობრობა, რომელსაც საფუძველად უდევს ნაციონალურ კულტურათა სოციალისტური შინაარსი, ყველგან ბრწყინვალე ნიმუშაა ღვინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოველმყოფელობისა.

საბჭოთა ხალხების შორის მეგობრობა და სიყვარული, — აი, რა უდევს საფუძველად ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალეროვან ხელოვნებას. ამ მაღალ იდეას ემსახურება ქართული საბჭოური ხელოვნება, საქართველოს თეატრებისა და კინემატოგრაფიის, მუსიკისა და მხატვრობის წარმომადგენელი — ყველანი, ვინც ქემშარტად მოწოდებულია იყოს მხატვარი, შემოქმედი ბედნიერი აწმყოსი და უფრო უფრო მის მომავლის — კომუნისმის მწენებელი და მომღერალი.

ამიტომ მისაღწეულია რესპუბლიკის სახელოვნო ორგანიზაციების თაბინობა, რომლებმაც მოაწყეს თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივების საგასტროლო გასვლები ჩვენი რესპუბლიკის გარე. მოსკოვისა და რიგის ღვინგრადის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხების მშრომელები ახლო გაეცნენ ქართული თეატრების დადგმებს, ქართველ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს, მხატვართა გამოვენებს.

თავის მხრივ თბილისის, საქართველოს მშრომელებმა იხილეს მოსკოვისა და ღვინგრადის, ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალი რესპუბლიკის ხელოვნათა მიღწევები. ასეთი ურთიერთკაცხლა კიდევ უფრო ამტკიცებს ხელოვნების, როგორც აღმზრდელისა და წარმართველის ფუნქციას, ხელს უწყობს ხალხების დაახლოებას, ამტკიცებს მეგობრობასა და ძმობას.

თუმა ან უნდა, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგარამ გააკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი კინემატოგრაფია, თეატრი უფრო ხშირად უნდა უბრუნდებოდეს ხალხთა შორის მეგობრობის იდეას. საქართველოს მხატვართა მრავალრიცხოვანი რაზმი უფრო ხშირად უნდა მიმართავდეს მომე ერების თემატიკას, ეცნობოდეს მათ ცხოვრებას, ტილოებზე გადმოქონდეს მათი შრომა.

უფრო მეტი უნდა იწერებოდეს და იბეჭდებოდეს მომე რესპუბლიკების მხატვრულ ცხოვრებაზე. ჩვენი ხელოვნებათმცოდნეი, მუსიკათმცოდნეი უფრო ახლო კონტაქტს უნდა ამყარებდნენ მოსკოვის, ღვინგრადის, კიევის, ერევანის, ბაქის, რიგისა და სხვა ქალაქების შემოქმედებით ძალიანთან, აცნობდნენ მათ მშობლიური ხელოვნების მიღწევებსაც და ამევერ ურთიერთგამდიდრებით, ინტერნაციონალური სულისკვეთებით ზრდიდნენ ახალ თაობას.

ბევრის გაკეთება შეიძლება საქართველოს სახელოვნო უმაღლეს სასწავლებლებში-კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ ინსტიტუტში. ინტერნაციონალური აღზრდის მაღალ კერებად არის აღიარებული სამივე ეს უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ მათი პოტენციური შესაძლებლობანი ხალხთა მეგობრობის იდეის გასამტკიცებლად, ვამრავლოთ იმათი რიცხვი, ვისაც შეეძლება მომავალში მაღლა ეჭიროს საბჭოური ხელოვნების დროშა, დროშა, რომელზედაც წერია — ხალხთა მეგობრობა — საბჭოთა კავშირის სიმტკიცის საფუძველია.

ხალხთა მემოზრობა ჩვენი ძვეყნის სიმტკიცის საფუძველია

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტების გამაღვივებელი მიზნების წლებში. მაღალი ტემპებით სრულდება რესპუბლიკის საწარმოთა გეგმები, საქართველოს სოფლის მეურნეობა შემდგომი აღმავლობის გზაზეა. ჩვენი მერაბები გაახარეს სამშობლო, პარტია შესანიშნავი გამარჯვებით: მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთლი, საგვემო დავალება გადააქტეს 15 ათასი ტონით. ფოთლის საერთო მოსავალმა სანახევროდ და მეტად გადააჭარბა 1953 წლის მონეს. ამასთან წმინდელად გაიზარდა პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წონა. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული მიზნა მიღწეულია.

ასეთი მაღალი შედეგი მიღებულია იმით, რომ საქართველოს მშრომელები მთავრებული არიან კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებით: ვზარდით ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, გავაძლიეროთ ჩვენი სახმარისი სიძლიერე, კვლავაც მაღლა ვატაროთ მშვიდობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დროშა.

ხალხთა მეგობრობა — აი საძირკველი, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერე, საბჭოთა ხალხების ურდული კავშირი, სოციალისტური საზოგადოების უძლეველობის უქუთაფუძე.

საქართველოს მკვიდრი ყოველთვის იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან საბჭოთა ხალხების მეგობრობის შედეგობების შემოქმედნი. ამის ნათელი მაგალითია ის მაღალი ინტერნაციონალური დამოკიდებულება, რომელიც ღვივის და იზრდება საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხებისადმი, რუსებისა და უკრაინელებისადმი, ბელორუსი და სომხებისადმი, აზერბაიჯანელებისა და ებრაელებისადმი, აფხაზებისა და ოსებისადმი, ყველა დიდი თუ პატარა ერისადმი, ვინც, კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად ქართველი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

საქართველოს ხელოვნების მოღვაწენი მთელ თავიანთ შემოქმედებას იქით წარმართავენ, რომ ხელი შეუწყონ ჩვენი საზოგადოების მაცოცხლებელ ამ მჩქეფარე ძალას — ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. ამის კონკრეტული გამოვლინება ცხოველი სამზადისი, კონსტანტინე სტანისლავესკის დაბადებიდან 100 წლისთავის შესახებურად. ქართული თეატრები მზად არიან იმ დროისათვის, როცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების თეატრებთან ერთად რუსული ხელოვნებისადმი დრო სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ საბჭოური თეატრის შემქმნელის, დიდი რეფორმატორის სტანისლავესკის ღვაწლსა და ამას.

მომხმ აზერბაიჯანელი ხალხისადმი სიყვარულის გამოვლინების ახალ ექტად იქცა მირზა ფატალი ახუნდოვის იუბილე, რომელიც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას ემსახურება.

საბჭოთა აღმავლების, მთელი საბჭოთა ხალხების საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი სიყვარულის დემონსტრაციად იქცა ილია ჭავჭავაძის და კოტე მარჯანიშვილის ხალხობიერი დღეები. ეს მეგობრობა, რომელსაც საუწყველად უღვეს ნაციონალურ კულტურათა სოციალისტური შინაარსი, ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშად ღვინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოველყოფილობისა.

საბჭოთა ხალხების შორის მეგობრობა და სიყვარული, — აი, რა უღვეს საფუძველად ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალეროვან ხელოვნებას. ამ მაღალ იდეას შესაბერება ქართული საბჭოური ხელოვნება, საქართველოს თეატრებისა და კინემატოგრაფიის, მუსიკისა და მხატვრობის წარმომადგენელი — ყველანი, ვინც ჭეშმარიტად მოწოდებულია იყოს მხატვარი, შემოქმედი ბედნიერი აწმყოსი და უფრო უკეთესი მომავლის — კომუნისტების მწვენიელი და მომღერალი.

ამიტომ მისაღმებელია რესპუბლიკის სახელოვნო ორგანიზაციების თაოსნობა, რომლებმაც მოაწყვეს თეატრალური, მუსიკალური და ჰორეოგრაფიული კოლექტივების საგასტროლო გასვლები ჩვენი რესპუბლიკის გარე. მოსკოვისა და რიგის ლენინგრადის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები ახლო გაეცნენ ქართულ თეატრების დამგმებს, ქართველ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს, მხატვრათა გამოვენების.

თავის მხრივ თბილისის, საქართველოს მშრომელებმა იხილეს მოსკოვისა და ლენინგრადის, ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ რესპუბლიკის ხელოვნათა მიღწევები. ასეთი ურთიერი გაცვლა კიდევ უფრო ამატავებს ხელოვნების, როგორც აღმზრდელისა და წარმმართველის უწყქმის, ხელს უწყობს ხალხების დაახლოვების, ამატავებს მეგობრობას და ძმობას.

თქმა არ უნდა, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი კინემატოგრაფია, თეატრი უფრო ხშირად უნდა ურუნდებოდეს ხალხთა შორის მეგობრობის იდეას. საქართველოს მხატვრული მრავალრიცხოვანი რაზმი უფრო ხშირად უნდა მიმართავდეს მოძმე ერების თემბტაკას, ეცნობოდეს მათ ცხოვრებას, ტლოებზე გადმოქონდეს მათი შრომა.

უფრო მეტი უნდა იწერებოდეს და იბეჭდებოდეს მოძმე რესპუბლიკების მხატვრულ ცხოვრებაზე. ჩვენი ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე უფრო ახლო კონტაქტს უნდა ამყარებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ბაქოს, რიგისა და სხვა ქალაქების შემოქმედებით ძალმუნად, აცნობდნენ მათ მშობლიური ხელოვნების მიღწევებსაც და ამგვარ ურთიერთამაღმდებლობა, ინტერნაციონალური სულისკვეთებით ზრდიდნენ ახალ თაობას.

ბევრის გაკეთება შეიძლება საქართველოს სახელოვნო უმაღლეს სასწავლებელშიც — კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიაში, თეატრალური ინსტიტუტში. ინტერნაციონალური აღზრდის მაღალ კრებულ არის აღიარებული სამივე ეს უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მათი პოტენციური შესაძლებლობანი ხალხთა მეგობრობის იდეის გასაბტყელებლად, ვამრავლოთ იმათი რიცხვი, ვისაც უღველბა მომავალში მაღლა ეჭირის საბჭოური ხელოვნების დროშა, დროშა, რომელზედაც წერია — ხალხთა მეგობრობა — საბჭოთა კავშირის სიმტკიცის საფუძველია.



სმოლნის შთავარი ფასადი

ლ ე ნ ი ნ ი დ ა ს მ ო ლ ნ ი

ლა მ ა რ ა გ ვ ა ზ ე ა - ს ა ნ ა ძ ე

სმოლნის ანსამბლი, რომელიც რუსული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავ ნიმუშს აერთიანებს, ისტორიული ძეგლია ჩვენი სამშობლოს გმირულ მატრიანეში.

განუწყრელადაა სმოლნი დაკავშირებული 1917 წლის ოქტომბრის დღეებთან, იმ სახელოვან დღეებთან, საიდანაც იწყება ახალი ერა ადამიანთა ისტორიაში.

არქიტექტურული კომპლექსი სმოლნისა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა: XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს სმოლნის ტერიტორია ფისსახდელ ეზოს წარმოადგენდა, მაგრამ იმავე საუკუნის შუა პერიოდში აქ უკვე საფუძვლი ეყრება სმოლნის მონასტრის მშენებლობას. მისი სულისჩამდგმელია გენიალური არქიტექტორი ბართოლომეო რასტრელი, რომელსაც პეტროგრადი და მისი ვარეუბნები არა ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლით დაუშვენივია.

XV—XVII საუკუნეებში მონასტრებს უფრო ხშირად

თავდაცვითი დანიშნულება ჰქონდა. ასე მაგალითად, XVII საუკუნეში მოსკოვი გარემოცული იყო მონასტრებითა და

სმოლნის მონასტრის ხედი რასტრელის მოედნიდან





გამაგრებული კოშკებით. სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ეკლესიები, საცხოვრებელი კორპუსები, ტრაპეზები, მრავალნაირი სამეურნეო ნაგებობა და ყველაფერი ეს თავმოყრილი იყო გამაგრებული კედლებით შემოზღულულ ტერიტორიაზე. მაგრამ XVIII საუკუნის შუა პერიოდში, როცა რასტრელი შეუდგა სმოლნის მონასტრის დაპროექტებასა და მშენებლობას, მონასტრებს უკვე დაკარგული ჰქონდათ დაცვითი დანიშნულება და მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ამიტომ გენიალურმა არქიტექტორმა ვაზედულად აუარა გვერდი მონასტრების ტრადიციულ, მანამდე გავრცელებულ გადაწყვეტას და ხაზი გაუსვა ნაგებობის მონუმენტალობას, კომპოზიციის დეკორატიულობასა და ფორმათა ცხოველხატულობას.

სმოლნის მონასტერი, რუსული ხუროთმოძღვრების ეს

თორი ანო ხაძაძე თარგმანი



დიდებული ძეგლი, რასტრელის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი ბრწყინვალეა.

— : —

1765 წელს პეტერბურგში დაარსდა დახურული სასწავლებელი, მუშაინათა მცირეწლოვანი გოგონებისათვის. არქიტექტორ ფელტენის დაველა პანსიონისათვის მოხერხებული შენობის დაპროექტება.

ატეორმა ნაგებობას რთული კონფიგურაციული სახე მისცა. შენობა ოვალისებურადაა გაჭიმული და მთავარი ფსადით ნევის გადაკვეთებს, ხოლო ბაღის მხრიდან მას უერთდება ფლიგელების ჯგუფი და ისინი ერთიმეორეს უკავშირდება გადასასვლელიებითა და გალერეებით, რომლებიც ქმნიან სამ შიდა ეზოს.

ნაგებობის ფსადი უბრალო და მომხიბვლელია. მშენებლობა 1775 წელს დამთავრდა. ეს იყო სმოლნის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი ნაგებობათაგანი, რომელსაც უფრო გვიან ალექსანდრეს ინსტიტუტი ეწოდა, დღეს იქ ქდანოვის სახელობის ლენინგრადის უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტია მოთავსებული.

— : —

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის მონასტრის თითქმის ყველა კორპუსი დაკავებული ჰქონდა გოგონების აღზრდელ საზოგადოებას, თუმცა ოთახების ნაკლებობა ხელს უშლიდა პანსიონის ნორმალურ ცხოვრებას.

1805 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა სმოლნის მონასტრის გვერდით, მდინარე ნევის გასწვრივ აგებულიყო ახალი შენობა, რომელიც დაკმაყოფილებდა დახურული სასწავლებლის ყველა მოთხოვნილებას.

XIX საუკუნის დამდეგს, არქიტექტორმა ჯაკომო

კვარენგიმ შეადგინა პროექტი და 1806 წელს, პეტრე პირველის დაბადების დღეს, სახეობო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ნავებობას. მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა ასევე კვარენგის დაეკავალა. ორი წლის შემდეგ, 1806 წლის ავგისტოში, შენობა აკურთხეს.

ამ შენობას, რომელიც სმოლნის არქიტექტურულ კომპლექსში შევიდა, ეწოდა სმოლნის ინსტიტუტი.

სმოლნის ინსტიტუტის ნაგებობა გადაწყვეტილია განზოგადოებული ფორმით, მკვეთრად წინ წამოწეული გვერდითი ფლიგელებითა და სამი შესასვლელით. ამთავან ერთი ცენტრალურია, ხოლო ორი დანარჩენი—გვერდითი.

კვარენგიმ, რუსული კლასიციზმის ამ შესანიშნავმა წარმომადგენელმა, ნაგებობა სიღრმეში შესწია და ამით ხელი შეუწყო ამ მონუმენტური ნაგებობის მთელი სიდიადით გადაშლას მასურებლის თვალწინ.

კვარენგიმ მკაფიოდ გამოავლინა ეპოქის პროგრესულ-კულტურული ტენდენციები, რუსული კლასიციზმის სრულყოფილი ფორმები, თვითყოფიდი ნაციონალური ხელოვნების თავისებური მომხიბლავობა და სმოლნის სახით ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი შექმნა.

ნაგებობის მონუმენტური ფორმა, კომპოზიციის სისადავე, პროპორციების ლაკონური ტრაქტოვკა, ბრწყინვალე პორტიკი და თავშეკავებული დეკორი — აი რა ახასიათებს ჯაკომო კვარენგის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს.



შენობის მარჯვენა ფრთაზე თეთრი ანუ სააქტო დარბაზია, რომელიც შემკულია კორინთის ორდერის ორმწკრივი კოლონადით.

მარმარილოს სვეტების კაპიტელები გაფორმებულია ნაძერწი გირლიანდებითა და როზეტებით. სადა პლავონიდან თავისებური სტილის ჭადები ეშვება.

ამ დარბაზის არქიტექტურული დეტალების დახვეწილობა, კომპოზიციის მთლიანობა და უხვი სინათლე, რომელიც დარბაზის ორივე მხრივ ჩამწკრივებული განიერი ფანჯარებიდან შემოდის, ქმნის დიადისა და ამპლუბულის განწყობილებას.



24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) საღამო ეამს სმოლნის ინსტიტუტში ლენინი მოვიდა და სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას.

25 ოქტომბერს ღამის 22 საათსა და 45 წუთზე სააქტო დარბაზში გაიხსნა სრ. რუსეთის საბჭოების II ყრილობა. ყრილობის დელეგატებს ლენინმა ამცნო პროკლარული რევოლუციის გამარჯვება და ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა.

სმოლნის ამავე დარბაზში მიღებულ იქნა ზავისა და მიწის დეკრეტი, აქვე შეიქმნა პირველი საბჭოთა მთავრობა. სმოლნის სააქტო დარბაზი, ამ ისტორიული ამბე-


ბის ნამდვილი მატრიანე, მოწიწების გრძნობით ასტვს ყველა საბჭოთა ადამიანს, ვინც მის კარბბეს გადადგამს ფეხს.

სმოლნიდან, სადაც რევოლუციის საბრძოლო შტაბი იყო, ბოზოქარ დღეებში ლენინი ძღვევამოსილ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. სმოლნის მთავარ პორტიკზე დადგმულია ბრინჯაოს მემორიალური დაფები, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავზე, ცენტრალური პორტიკის წინ, მადლიერმა საბჭოთა ადამიანებმა აღმართეს ლენინის ძეგლი (მოქანდაკე კოხლოვი).

ნაცრისფერი გრანიტის ცილინდრისებურ პიედესტალზე ამოკვეთილია სიტყვები „გამარჯოს პროლეტარიატის დიქტატურასი“.

სმოლნის ინსტიტუტის მარცხენა ფრთის მეორე სართულის № 82 ოთახში 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი. ეს ოთახი დღეს მუზეუმს წარმოადგენს. გამორჩენილი საბჭოთა ფერმწერლის ისაკ ბროდსკის ერთ-ერთ ცნობილ, შესანიშნავ ტილოზე დიდი სითბოთი და სიყვარულითაა ასახული ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სმოლნის სასაუშაო ოთახში.

ვ. ი. ლენინის ძეგლი სმოლნის წინ



ილია ჭავჭავაძის დაგადების 125 წლისთავი

დღეს, როდესაც ილია ჭავჭავაძის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა ნამდვილად დაკავსდა, ქართველ ხალხთან ერთად პოეტის დაბადების 125 წლისთავს ზეიშით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები. ილიას სახელი გასცელდა საქართველოს ფარგლებს. მწერლის უკვდავ ქმნილებებს თავიანთ მშობლიურ ენებზე კითხულობენ საბჭოთა ქვეყნის ყველა მხარეში. მწერლის მრავალი ნაწარმოები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების რეალისტური მიმართულება XIX საუკუნის „სამოციანელთა“ ახალმა თაობამ განსაზღვრა. ამ თაობის მედროშის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „თერგდალეულთა“ ახალი საზოგადოებრივი იდეები ბრძოლით იმაგრებდა პოზიციებს მთავარი ძალის დროინდელი ქვეყნის ცხოვრებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ლიდერის მომდევნო ზედიზედ ამარცხებდნენ ძველი დროის გაცვეთილ ტრადიციებს, ზრდიდნენ და ამაჟრებდნენ პროგრესული აზრის სინათლესა და ძალმოსილებას.

გასულს საუკუნის პირესა და თეატრი, ლიტერატურული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, სწავლა-განათლების, ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის საჭიროებების კმათობები — აი, რა იყო ილიას მუდმივი ზრუნვის საგანი. სწორედ ამიტომ უწოდა ილიას „პრადამა“ „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპიკოპარაფის საზოგადო მოღვაწე“.

ილიამ პირველმა დააფუძნა ჩვენი რეალიზმი და რეალისტური ესთეტიკა და თავისივე კლასიკური მხატვრული ნაწარმოებებით განამტკიცა. ერთობ პოლომეკური ელფერი და წერილი თავის ლექსში „პოეტიკი“, რომლითაც პოეტმა „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრთა წინააღმდეგ გაილაშქრა, ნათქვამია:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით მფრინველმა გარეგანმა,
აი მარტო ტკბილ სმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაში“.

ამ ლექსში ნათლად ჩანს ის დანიშნულება, რაც პოეტიკა და, საერთოდ, ხელოვანის აუცილებელ პროგრამადაა აღინარგებული. ილიას შესვლულებით, ხელოვანი რჩეული ადამიანია, რომელიც წინ უნდა წარუძღვეს ხალხს უკეთესი მთავარი-სათვის ბრძოლაში, გაიზიაროს ერის ჭირი და ლხინი, „ტანჯვის ცრემლი“ მოსწმინდოს მას:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯავით სულ“...

ხელოვნების დანიშნულებაზე ამ მაღალკუმანურ ჯანსაღ შესვლულებებს, რასაც იცავდნენ ზიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მოაზროვნეები: ბუღისსეკი, ჩენინიშეკი და დობროლუბოვი, ილია ჯერ კიდევ ადრე სიტყვაებში ეწიარა. ეს

იდეები ჩანს ილიას საპროგრამო ნაწარმოებში „მეზავრის წერილები“ და ეს იდეები გასდევს მთელ მის ღრმაინარსიან ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

„მოუხა ხალხის ცხოვრების გამოთქმელია“ — ამბობდა ილია ავით თავის წერილში. როგორც ჭეშმარიტი რეალისტი იგი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში უბრალო ადამიანების, ხალხის მასების ცხოვრებას ასახავს და ამით ამაყრებს ლიტერატურაში დემოკრატიზმის პრინციპებს. პოეტიკა დაჭრით ემარცხის რომანტიზმისეულ ძლიერ ინდივიდალ მხობლებობას და საქართველოს ეკონომიკის საკითხზე დაწერილ ერთ-ერთ წერილში გულისტვივითაც აცხადებს: „ჩვენი ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის, კანტიკუნტად სადმე... ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. და რომ ხალხი, ერი, ჩრდილში არ დარჩენილიყო, ილიამ თავისი ნაწერებით („კაცია-ადამიანი“, „არადილი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.) განამთარხა ბატონყმობის დიქტობული ინსტიტუტი, ხალხის წილიდან გამოიყვანა თავისი გმირები („სახარხოვდასე“ — პეტრე და სხვა მუერმე ვალებები, „გლახის ნაამბობი“ — გაბრი, პეპია, თამარი და სხვ.) და მხატვრულ იერსახეებში განხორციელებული ეს ტიპები ხალხსვე დაუბრუნდა.

რეალისტი მწერალი მიიღო თავისი ცხოვრება-მემოქმედებით უბრალო ადამიანების, ხალხის სასახურში ჩადვა და ფართო მასები რომ ლიტერატურული ცხოვრებისათვის დაეკავშირებინა, ილიამ, აკაკი წერეთელთან ერთად, მოითხოვა და დაამკვიდრა ადვილასაგები სადა სტილი, რითაც სალიტერატურო ენა სამეტყველო ქართულს დააფუნდა და მიუახლოვა კონსერვატორულად განწყობილი დასის წინააღმდეგ ილიას გამოსვლა გახდა ენის რეფორმაციის საწყისი.

ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის ბრძოლაში ილიამ თავისი ინიციატივით აღიზინებულ ეროვნული თეატრის შესაქმნელთანაც გაითავისაწინა.

თეატრის შესახებ თავის სტატიებში ილია გმობდა გადაცვრების გზაზე დანდარ დასავლურ დრამატურეის და ქართულ თეატრის რუსული სცენის მაღალმხატვრული და ღრმა იდეური გზით სვლის შთააგრებდა. ილიას კარგად ესმოდა თეატრის სახალხო მნიშვნელობა. „ეკ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საკაროდ იმისი და საკაროდ მოქმედებს, ესეც საკამათა, რომ კაცთა თავი განიოდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაგვგვირი სიკეთე მოსდევს?“ — უწრდა ილია ერთ კერძო წერილში.

ილიას მიაჩნდა, რომ რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ტიპური სახეების შექმნა, რომ ტიპის შესაქმნელად აუცილებელია „საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრება“ და როგორც ვენელსი ვგასწავლის, „ტიპური ხასიათის ტიპობრივ გარემოში სისწორით გადმოცემა“. ეს

დიდი პოეტის მუდმივი ზრუნვის საგანს მშრომელი ხალხი შეადგენდა. ილიამ წინასწარმეტყველურად აღიარა მამურალთა მომავალი გამარჯვება და შრომის სუფევა ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ერთი შრომობდა და მეორე ითვისებდა, ილიამ თავისი აწმყოს დანგრევის აუცილებლობის მანიშნებელი მოწოდების კილოთი ისტეა:

„და დამსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

ბატონყმობის ველური ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულ ამ პოემაში („აარდილი“) პოეტმა მოახდინა თავისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორი მოტივის — ერთნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და სოციალური საკითხის — შერწყმა და დინახა ხსნა ექსპლუატატორთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, რომელსაც შეუძლია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე ავებული წყობილების დანგრევა.

ამ დღეებში შესრულდა 125 წლისთავი დიდი ილიას დაბადებიდან. ეს თარიღი ძვირფასია არა მარტო საბჭოთა საქართველოს მკვიდრთათვის. ი. ჭავჭავაძის სახელს პატივის სცემენ მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ერები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხები.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები აღტაცებით ეგებებიან ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ღონისძიებებს, რომელთა ინიციატორია ჩვენი ხალხი, კომუნისტური პარტია და მთავრობა.

ნოემბრის დღეებში, ყვარელში, „სადაც შობილა ილია“, ბუმბურაში პოეტის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ილიასადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ყვარლის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა აშხ. გ. ზაუტაშვილმა. ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. მოსოველი პოეტების სახელით გამოვიდა პოეტი ა. იაშინი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან პოეტი-აკადემიკოსი გ. ლორთქიძე, პოეტი ი. ნონეშვილი, კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაები და მისწავლე ახალგაზრდობა.

ნამდვილ ზეიშად გადაიქცა ილიასადმი მიძღვნილი თავყროლობა საკურამოს სახლ-მუზეუმში, სადაც იუბილეს წინააღმდეგში გაიმართა სამეცნიერო სესია. აქ მუზეუმის მუშაკეა გამოვიდნენ დიდი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მოხსენებებით. აქვე მოეწყო ახალი სტენდები, გამოიცა მუზეუმის ახალი მეგზური და ღია ბარათები. იუბილეზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა მისწავლე ახალგაზრდობა. ჩატარდა საზეიმო შეკრებები, სადაც მონაწილეობა მიიღეს ილიას თანამედროვე საგურამოელმა მოხუცებმა. მისწავლეებმა წაიკითხეს დიდი პოეტის ლექსები, აგრეთვე ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა მთაწმინდის ქართულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში უკვდავი ილიას სახელის პატივსაცემად გამართული მიტინგი, რომელზეც უწყვეტმა ნაკადად მიემართებოდნენ საქართველოს მშრომელები და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, სტუდენტები და მისწავლეები. ილიას სახელის პატივ-



საცემად მოსულემა გვირგვინებითა და თიგულებით შეამკეს დაუვიწყარი ბუმბურაში პოეტის წმიდა საკრძალო.

ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამო ჩატარდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აშხ. დ. სტურუამ. თავის მოხსენებაში აშხ. ი. აბაშიძემ ვრცლად მიმოიხილა პოეტის ცხოვრება-შემოქმედება — ახალი ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე იყო პოეტი ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, დრექტორი და მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, — თქვა მისმსენებელმა — თავისი მხატვრული შემოქმედებით ილიამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის ქართულ მწერლობაზე. სიტყვებში გამოსულმა ამანაგებმა: აკად. ა. ჩიქობავამ, პოეტმა ა. იაშინმა და სხვ. განიხილეს ილიას ბიოგრაფიისა და შემოქმედების ცალკეული მომენტები.

საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. მადლიერმა ხალხმა ღირსებულად აღნიშნა თავისი სახელოვანი წინაპრის დაბადებიდან 125 წლისთავი. შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ქართველი ერი წმიდად ინახავს გულში ილიას, ვინც ფასდაუდებელი დეაწლი დასდო ჩვენს ქვეყნის კულტურას, ვინც მთელი თავისი ბოჰოქარი ცხოვრება ბატონყმური ბნელებიდან და ცარიზმის ბოროტებასთან ბრძოლას შეაღია და თავისი დიადი ნაწარმოებებით გაუნათა ქართველ მკითხველს მომავლის გზა.



კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავის გამო გამართული საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში.

კოტე მარჯანიშვილის იუბილე

კოტე მარჯანიშვილის იუბილე გადაიქცა ქართული თეატრალური კულტურის დიდ დღესასწაულად.

ამ გენიალურმა ქართველმა რეჟისორმა განუზომელი ამაგი დასდო რუსულ, უკრაინულ და განსაკუთრებით ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. მისმა სექტაკლებმა საეტაპო როლი შეასრულეს მთლიანად საბჭოთა თეატრალურ სამუაროში. სწორედ ამიტომ მიეცა მის იუბილეს ესოდენ დიდი რეზონანსი.

კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული სკოლა, მისი შემოქმედებითი მრწამსი წლების მანძილზე განმტკიცდა, გაიზარდა და ახალი

კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა სურათების გალერეაში





ბიძინა ავალიშვილი


კოტე მარჯანიშვილი (ხე).

აუყვანისმცემლები შეიძინა. დრომ დადასტურა კ. მარჯანიშვილის მიებათა და მონაპოვრის ისტორიული ღირებულება.

იუბილეს დღეებში (საეციალო საღამოები გაიმართა მოსკოვში, კიევში, თბილისში და სხვა ქალაქებში) განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნა ის შრომა, რომელიც მან გასწია თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების, მისი პიროვნების, მოღვაწეობის თავისებურებაზე დაპარაკობდნენ გამოჩენილი თეატრალური მკვლევარები, თეატრალური და საზოგადო მოღვაწენი, მისი თანამებრძოლნი, მის მიერ აღზრდილი მსახიობები და რეჟისორები.

ივლითი — ვერიკო ანჯაფარიძე →

კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია რუსთაველის სახ. თეატრის საცენოცენტრო დარბაზში




სცენა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლიდან „ჟურიელ აკოსტა“.





დავით კლდიაშვილის დაბადების 100
წლისთავისადმი მიძღვნილი
საზეიმო საღამო



მოსხენებით გამოდის დ. შენგელია



ს. ზაქარაიძე



სენა სპეტაკლიან
„ირინეს ბედნიერება“



„ირინეს ბედნიერება“ ქუთაისის თეატრში.

დღი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისათვის ქართველმა ხალხმა, საბჭოთა ლიტერატურამ განსაკუთრებული ყურადღებისა და სიყვარულის ყივარებაში აღნიშნა.

დავით კლდიაშვილი — ქემშარტი რეალისტი, ფსიქოლოგიური და სოციალური გარემოების უბაღლო მხატვარი, კატომოვებზე და პატრიოტი — ქართული კულტურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს.

მან განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული პროზა, რომლის რეალისტური ტრადიციების სათავესთან ჩვენი დღი სამოციანელები იდგნენ.

ასევე ღრმა კვალი გაავლო ერის სულიერ ცხოვრებაში მისმა ღრამატურებამ, რომელიც თავისი ფორმის სიხილით, ხასიათების ხატვის მანერით ახალი სიტყვა იყო მშობლიურ თეატრსა და ლიტერატურასში.

დ. კლდიაშვილის ჰუმანიზმი, მისი პატრიოტიზმი განსაკუთრებული ძალით აღიქვა ახალმა საბჭოთა თეატრმა. ამ სიყვარულის ნათელი დადასტურება იყო ის საღამოები და საზეიმო დღეები, რომელიც გამართა თბილისში და სომინოში, მოაწმიდასა და ოპერის თეატრში.

ტ. საყვარელიძე

ე. ყიფშიძე

მ. თაბუკაშვილი

ი. ტრიბოლსკი



გორკის დღეები თბილისში



დ. ვოლგინი, ა. კოროვინი

მაქსიმ გორკი თბილისში

შესრულდა 70 წელი მას შემდეგ, რაც თბილისში, გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე დაიბეჭდა სოციალისტური რევოლუციის მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“, რითაც ახალი ეპოქა დაიწყო არა მარტო რუსული, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ქართველი ხალხს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას განიცდის იმის გამო, რომ ამ უდიდესი მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაც ისევე განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს დედაქალაქ თბილისთან, როგორც პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ტოლსტოის...


თავის მხრივ, გორკიც გამოხატავდა მის სიყვარულს საქართველოსადმი: „საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიულმა სინაზემ — სწორედ ამ რომა ძალამ შემაგულიანა და მომცა ბიძგი, რომელმაც ლიტერატორად გამზადა ყოფილი მაწანწალა“. ამ სიტყვებით მიესალმა იგი საბჭოთა საქართველოს 10 წლისთავს.

26 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაერთიანებული სამეცნიერო სბდომბ, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „კავკაზში“ გორკის პირველი მოთხრობის „მაკარ ჩუღრას“ გამოქვეყნების 70 წლისთავს. მასში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები ბ. ბილაიკი, რ. სამარინი, ვ. შერბინა და სხვ. აგრეთვე გორკის მეუღლე ეკ. პეშკოვა, რომელიც ცნობილია როგორც გორკის შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი.

გორკის დღეები თბილისში კიდევ ერთი შესანიშნავი დემონსტრაცია იყო რუსი და ქართველი ხალხის ურღვევი მეგობრობისა.



გორკის მეუღლე ეკ. პეშკოვა საიუბილეო-სამეცნიერო სბდომბის მონაწილე ქართველი მეცნიერ და ხელოვანთა შორის.



ახალგაზრდობა იმარჯვებს

თენგიზ ჩოჩუა

განუზომელია ხალხური მუსიკის მნიშვნელობა ეროვნული მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში; ხალხური მუსიკა დაუშრეტელი წყაროა კომპოზიტორთა შემოქმედებაში, ხოლო ხალხურ სიმღერაზე მრავალი გამოჩენილი მომღერალი აღზრდილა. ჩვენი ერის მუსიკალური ხელოვნების განვითარებისათვის, ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ხალხურ მუსიკას, რომელსაც განცვიფრებამი მოუყვანია მუსიკის არაერთი შველევარი მრავალხმიანი სიმღერის არაჩვეულებრივად დასრულებული და რთული სარემსრულებლო ბუნებით. და როდესაც ქართველმა ერმა ერთბაშად წარმოშვა თავისი მუსიკალური კულტურის ისეთი კორიფე, როგორიც ზაქარია ფალიაშვილია, ხოლო სამიღერო ხელოვნებაში გამოჩნდა ისეთი დასრულებულია და არა მარტო ეროვნული მასშტაბის მომღერლები, როგორც ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი, მაშინ ცხადი გახდა, რომ ქართული ხალხური მუსიკა შეიცვალა ისეთ ღირსებას, რომელიც მუსიკალური კულტურის ამ გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებისათვის გადაიცა იქნებოდა.

ეკებ ამაწვე განაპირობა ის იშვიათი, მე ვიტყვოდი, დაუჯერებელი მოვლენა, რომლის მოწმეც ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის მუსიკალური საზოგადოება გახდა. „ნუთუ ოპერას მთლიანად დგამენ? მერე და საიდან? როგორ? დაუჯერებელი რამ არის!“ — ასეთ ლაპარაკს ხშირად მოკრავით ყურს იმ დღეებში. აფიშები უჩვეულო ამბავს იუწყებოდნენ: ფალიაშვილის „დაისი“ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა შესრულებით. მართლაც, უნივერსიტეტის სტუდენტთა საოპერო ქანრის რთულ სინთეტურ ხასიათს, გასაგები გახდებდა, თუ როგორი მუშაობა უნდა დასტურებოდა ამ არაპროფესიულ კოლექტივის ისეთი რთული სპექტაკლის დასაძლევად, როგორიც „დაისი“ არის. ამ გარემოებაზე ბევრნი სკეპტიკურად განაწყო.

მაგრამ, გაისმის ოპერის პირველი პანგები. ეს ორკესტრის ერთ-ერთი ევტერანის ბაკურ ჰაქარაძის ტკბილი ჰობოი მღერის, მას სხვა ინსტრუმენტებიც უფრო დადებითან და მსმენელის წინაშე კიდევ ერთხელ იშლება ზაქარია ფალიაშვილის უბადლო კმნილობის მშვენიერება. ეკვიფიფანტება, სკეპტიციზმი ობტიმიზმით იცვლება. ახლა ყველას უნდა, რომ მთელი ოპერა ასე კარგად, ასე შეწყობილად წარიმართოს.

და აი, პირველი სიხარულიც, სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაივარა. უფრო მეტიც, მასურებელმა იხილა „დაისი“ ახალგაზრდული შემართებითა და ტემპერამენტით შესრულებული. სცენაზე იყო მასა, რომელიც იწყებდა თავის შემოქმედებით ცხოვრებას უღიგესი ენთუზიაზმით, რამაც უდავოდ თავისებური ელფერი მისცა მთელი ოპერის მსვლელობას, ახმაურდა პრესა, მრავალი აღფრთოვანებული რეცენზია მიეძღვნა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. თავისი სიტყვა თქვა სტუდენტთა შემოქმედების შესახებ ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიც არის კომპოზიტორი შალვა მჭედლიძე. აი ჩვენი კრიტიკოსების ზოგიერთი გამოწამათქმამა:

— „ოპერა ქლერდა შეწყობილად. ორკესტრმა, ცნობილი უფრტურტიდან დაწყებული, ყველა ლირიკული მომენტი, ცალკეული მიმფინიური ადგილები და რთული აკომპანემენტი მაღალ დონეზე შეასრულა.

„ახლა, როდესაც ასეთი დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის აღზრდას საქმიანი განწყობილებისა და დისციპლინის სულისკვეთებით, ჩემის აზრით, ერთ ასეთ სპექტაკლს გაიცელებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე 10 ლექციას აღზრდის თემაზე.“ (შალვა მჭედლიძე).

„... იქნებ სტუდენტთა თვითმომქმედებაში საერთოდ ახალი მიმართულება დაიხასოს და როგორმე პოლო მოედლოს იაფფასიანი მოდურ-უცხოური, თუ სხვა სახის საეკვო ღირსების მიწინა-ოპუსებთა“ გატაცებას. ოპერის განხორციელება მოწმობს სერიოზული მუსიკის მოყვარულთა მადამზატურული პოტენციალს, რაც სწორად წარმართვის პირობებში დიდ გამარჯვებათა მათუწყებელია და ამასთან სხვა უმაღლესი სასწავლებლის მხატვრული თვითმომქმედების მდგომარეობის თავისებური კრიტიკაც არის.“ (დ. მეულუხა).

დიდი ქების ღირსია ოპერის ღირიფორი, ხელოვნების დამახსოვრებელი მოღვაწე ვახტანგ ფალიაშვილი, რომელმაც თავის თავზე აიღო ძირითადი პასუხისმგებლობა, მთელი მონდომება და სიყვარული ჩააქსოვა კეთილშობილურ საქმეში. მე, როგორც სოლისტ-შემსრულებელმა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უდავო დრისება პატეტიკულ ვახტანგისა, რაც მდგომარეობს მის ყურადღებთან და ფრთხილ დამოკიდებულებაში მომღერლებისადმი.

მეორე სპექტაკლზე მასურებელი მოწმეც იყო მტკნარსასიამოვნო მოულოდნელობისა; ღირიფორის პულტიან





მალხაზი — გურამ ზედგინიძე, მარი — ლელი კვანტალიანი

იღვა დუბიუტანტი გვიცი მუნჯიშვილი, რომელმაც მთელი ოპერა ზეპირად იიდრიტორა და მთლიანად გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

რახან დიორიორებით დავიწყეთ, ორკესტრსაც ნუ დავივიწყებთ. ბევრი მისი წევრი მრავალი წლის მანძილზე თავმდაბლურ, კეთილშობილურ საქმიანობას ეწევა. არ შემოძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნო სსკკ ისტორიის კათედრის წევრი ბაკურ ბაქრაძე. ბაკურის ჰობოს მრავალი მსმენელი მოუხიბლავს. მე მოწმე ვარ იმისა, რომ რიგის საოპერო თეატრის მას თავის რიველში იწვევდა, ხოლო ლეოვის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო საოპერო დირიჟორმა იაროსლავ ვოშაკმა ბაკურს „ოქრის მთებში“ აღუთქვა, ოღონდ იგი სამუშაოდ დარჩენილიყო ლეოვის თეატრში. მაგრამ ორკესტრის ვეტერანმა ვერ დასთმო ვერც ისტორიის კათედრა და ვერც მშობლიური ორკესტრის.

ახლა კი ის დროა, რომ გაეცინებოდ ჩვენი მოვალეობა და ორიოდ სიტყვა ორკესტრის ნამდვილ შემქმნელზე აღექვანდრე ნასიძეზედაც ვთქვათ. პირველი ისხარული, რომელიც სახალხო ოპერის წარმატებამ ჩემში გამოიწვია, მალე ერთგვარი გულისტკივილით შეიცვალა. ყველანი ლაპარაკობდნენ დიდ მოვლენაზე. შესანიშნავ ორკესტრზე, მასზე ვაწეულ ტიტანურ მუშაობაზე. მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ ის პირველი ენთუზიასტი, რომელმაც ათ წელზე მეტი შეალია ამ კეთილშობილურ საქმეს. სულ „დაავიწყდათ“ მეატრის ნასიძე. ვანა ნასიძემ არ შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ სტუდენტებს „დაისი“ დაედგათ? აბა ვნახოთ.

ორკესტრი ჩამოყალიბდა 1950 წელს. პირველად იგი წარმოადგენდა ერთეული ინსტრუმენტებისაგან შემდგარ ანსამბლს, მაგრამ გადიოდა წლები და ისიც ორკესტრდა, შესრულების კულტურა იხვეწებოდა. მალე დარეკტრმა სახელი გაითქვა ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. მოსკოვის, კიევის, ბაქოს, რიგის და ლეოვის მსაყურებელმა მას ერთობ დიდი შეფასება მისცა. ორკესტრმა თავიდანვე მიიზიდა სიმღერის მოყვარული ახალგაზრდობა. აქ მიიღეს პირველი ნათლობა და აქ შეიყვარეს სიმღერა შედეგში პროფე-

სიონალებმა: ნ. ანდლუაძემ, კ. მალარაძემ, გ. ზედგინიძემ და თ. ჩოჩუამ. მასთან უმღერიათ, აგრეთვე, შესანიშნავი ხმის მქონე ახალგაზრდებს რუსულან დავრი-შაშვილს, ლელი კვანტალიანს, თათარ ხატულიშვილს, დავით მეგრელიშვილს და სხვებს. უკვე 1953 წელს ორკესტრის მხატვრული დონე იმდენად მაღალი იყო, რომ შესაძლებელი გახდა გუნდთან ერთად საკონცერტო შესრულებით „დაისის“ მეორე მოქმედების წარმოდგენა. ხოლო 1954 წელს „ახესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება კი შესრულდა სტუდენტთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. უკვე მაშინ ორკესტრი ბევრ ნაწყვეტს ასრულებდა. „დაისიდან“ და ამ ოპერის დადგმის იდეაც არსებობდა. ამ საქმეს თავის მზრუნველობას არ აკლებდნენ, თავის დროზე, უნივერსიტეტის რექტორი ნიკო ციციშვილი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი თამარ საჯაია. უფრო მეტად, ორკესტრი არ იარსებებდა, ეს არამიანები რომ არ ყოფიყვნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ ჩვენი გამარჯვება ჩვენზე მეტად ახარებთ.

ახლა ისევ იმ დღეს მოგვხსენებ, როდესაც საოპერო თეატრის სცენაზე სტუდენტებმა პირველად ააყდრეს თავისი შესრულებით „დაისი“. იხდება ფარდა. შეუჩიბილად ეღერს მარსოა (ლელი კვანტალიანი) და ნანოსი (გენრიეტა ნესტერენკო) დუეტო. შესანიშნავად შესრულებულ დუეტს ღრსეულად ცვლის გურამ ზედგინიძის (მალხაზი) „ჩემი ბედის ვარსკვლავი“. ასე იწყება საქტაკალი. პირველად გამარჯვება მოუგებულა. სცენას ავსებს სტუდენტთა გუნდი. რამდენი არიან: ყველანი ახალგაზრდები, სიცოცხლით აღსავსენი. გუნდი შესანიშნავად ეღერს, საოცარია, როგორ გაართვა თავი 120 არაპროფესიონალმა ფალიანდლის გუნდების ინტონაციურ სირთულეს. აი, რას ნიშნავს ხალხური სიმღერის ტრადიცია. აი, სად იჩინა მას თავი ყველაზე მეტად! სამ თვეში მომზადდა გუნდი „დაისისათვის“. გუნდის არცერთმა წევრმა ნოტების ანბანიც კი არ იცის. მიუხედავად ამისა, გასაოცარია ინტონაციური სისუსთავი, რიტმული დახვეწილობა, შესრულების ენთუზიასმი. ლიტარატურა: გურამ ბაქრაძემ და გვი მუნჯიშვილმა ნამდვილი საოცრება მოახდინეს. ამ განწყობილებას ხელს უწყობენ ცანგალა (თენგიზ ნოზაძე) და ტიტე (ალექსანდრე ციციშვილი). იწყება მეორე მოქმედება. ახლა მსაყურებლის გულისსური კაიზის-კენა (თენგიზ ჩოჩუა) მიმართული. მგონი ყველაფერი რიგზე იყო. მესამე მოქმედებაც საერთო დონეს არ სცილდება.

საქტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ციციშვილი. რომან ჭობინიძემ მოგვცა ციციშვილს უდავლო საინტერესო და მაღალმხატვრული დადგმა. განსაკუთრებული ქების ღირსია ციცივა „ქართული“ ნელი ახობაძის და ჯემალ მჭედლოშვილის შესრულებით და ციციშვილიანი „ფარკაობა“, რომელშიაც უმაღლო ტემპრამენტი გვიჩვენებს ზაურ ზარანდიამ და ლევან რამიშვილმა.

ფარად ეშვება. ახლა ისეთ გრძობა გვაქვს, რომ გინდა საქვეყნოდ განაცხადოთ: „საჩქაროდ მოგვაწოდეთ

ახალი ოპერა, ჩვენ ყველაფერს დაეძლეოთ. ჩვენ პროფესიონალურ გავტოვდებით". დაე, ახლა ჩვენს შესახებ დაწერილი რეცენზიებში გადამეტებული ქება იყოს. დაე, ჩვენ ნუ გვიფუჭებენ გულს კრიტიკით, მაგრამ გავა წლები და უნივერსიტეტის სახალხო ოპერას შევასვენებ მთელი სიმაკვრით, სიტყვა „თვითშემოქმედების“ ხსენების გარეშე.

ახლა კი, დროა სპექტაკლის საკუბნაოშიც შევიხედოთ. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ სადამდგმლო ნაწილმა უღიღინა სიყვარულითა და მონღოლებით იმუშავა.

პირველ რიგში ვახტანგ ფალიაშვილი უნდა ვახსენოთ. მან ბევრი კარგი თვისება შემატა ორკესტრს. მისი ქვეყნადობა დაიხვეწა, მიღწეულ იქნა „პიანო“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ოპერის ცალკეული ადგილების გამოკვეთა. მუსიკალური სახეების სწორი გააზრება და ფალიაშვილისებური მრავალფეროვნების გამოვლენა. ვინც პროფესიულ მუსიკაში ერკვევა, მისთვის გავსაგები იქნება, თუ რაოდენ სიძნელეებთანაა დაკავშირებული ყოფილიყენ ეს.

დიდი მუშაობა გასწია სოლისტებთან ბრწყინვალე ვოკალური სკოლის მქონე პედაგოგმა ნინო გიორგის ასულმა ცერცვაძემ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა სამშობლოში იტალიიდან, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სიმღერის დარგში. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროფესიული განათლების არმქონე ლული კვანტალიანმა (მარა) და გენრიეტა ნესტერენკომ (ნანო) ვოკალური თვალსაზრისით შესანიშნავად შეასრულეს თავიანთი პარტიები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. კვანტალიანის მარო, რომელიც მეტად რთულ ვოკალურ სიძნელეებს შეიცავს და სიმღერის სწორ ხანსა და კანტილენურობას მოითხოვს. დიდი მადლიერების გრძობით არის გამსჭვალული, აგრეთვე, ნინო გიორგის ასულ ცერცვაძისადმი ამ სტატიის ავტორი.

უნივერსიტეტში ნ. ცერცვაძემ მეტად მოკლე ხანში დიდად სასარგებლო საქმე გააკეთა, რომლის ნაყოფითაც კმაყოფილი არიან როგორც მისი მოწაფეები, ისე მსაყრეებელიც.

აღსანიშნავია აგრეთვე ნიჟიერი კონცერტმეისტერი ლეილა სილიკაშვილი, რომელიც სოლისტებთან მუშაობდა არა მარტო პარტიების შესწავლაზე, არამედ მათი ვოკალური სახის გახსნაზეც. ბოლო ხანს თავისი დიდი გამოცდილება გავიზიარა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო კონცერტმეისტერმა იაკობ გორდონმა.

დამდგმელმა რეჟისორმა გივი გაჩეჩილაძემ ბევრი სიახლე შეიტანა „დაისის“ ახალ დადგმაში. სამწუხაროდ, დროის ნაკლებობის გამო ზოგი მიზანსცენა ბოლომდე ვერ დამუშავდა, ვერ ამაღლდა სცენურ ოსტატობამდე ოპერის ზოგიერთი შემსრულებელიც. მით უფრო ქების ღირსია გ. გაჩეჩილაძე, რადგან მან ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი და ისეთ მოკლე დროში დასძლია ის, რომ, ვფიქრობ, სხვა რომელიმე რეჟისორი ძნელად თუ იცისრება ამგვარ ვალდებულებას.

ნამდვილად კარგი იყო სპექტაკლის გაფორმება. მე, როგორც მონაწილემ, უნდა ვთქვა, რომ ძალიან თავისუფლად ვგრძნობდი თავს ოთარ ლითანიშვილის დეკორაციებში. მცატრობის პირობით სტილში გადაწყვეტა ახალი რამ არის ჩვენს თეატრალურ სცენაზე და იგი მტკიცედ დაცვიდეს ფესს. განა არა სჯობს, მეტი გაქანება მივცეთ მასურებლის ფანტაზიას და არ შევზოქოთ იგი ბუტაფორული ელემენტებით. თუ ზოგი ნაკლავანება მაინც შეინიშნებოდა დეკორაციებში, ეს, უმთავრესად, ტექნიკური მიზეზებით იყო გამოწვეული.

ახლა იმ ადამიანებზედაც ვთქვით ორიოდ სიტყვა, რომელნიც არც აფიშებში და არც პროგრამებში არ არიან ნახსენები. ეს, უწინარეს ყოვლისა, უნივერსიტეტის დოცენტი შოთა გაბილია არის. მისი მზრუნველი ხელი მიავლი წლის მანძილზე არ მოსცილებია ორკესტრს. საკვირველია ის ენთუზიაზმი, ის სიყვარული, რომელიც შ. გაბილიაში არის მოცემული თავის მშობლიური კოლექტივისადმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის პროფესორული ორგანიზაციის ორ ხელმძღვანელს ნოდარ ნინიაშვილს და ალექსანდრე ციციანშვილს რომ არ აეღოთ თავიანთ ხელში სპექტაკლის განხორციელების ორგანიზაციული და ტექნიკური მხარე, შესაძლოა დადგმა დიდი ხნით გადაწყველიყო.

სახალხო ოპერა დაიბადა. დაიბადა იგი უნივერსიტეტის კედლებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენს ოპერაში მხოლოდ უნივერსიტეტლებმა უნდა იმღერონ. ეს შეუძლებელიც გახდება დროთა ვითარებაში, როდესაც სხვა უფრო რთულ დადგმებს განვახორციელებთ. ჩვენ ფართოდ უფსნით კარს ყველა ახალგაზრდას, ვისაც კი შესწევს ხარის თაღი გაართვას ვოკალური პარტიების სიძნელეებს. ჩვენთან, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს ბევრი პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდა, რომლებმაც შემთხვევითი ან სხვა მიზეზების გამო ვერ შესძლეს თავიანთი მონაწილეების ჩვენება დიდ საოპერო სცენაზე.

სცენა ოპერა „დაისიდან“
იკოზო — თენგიზ ჩიჩუა, ცანგალა — თენგიზ ნიშაძე



ვამრავლოთ კულტურის დაწესებულებები საზოგადოებრივ საწყისეზოზე

ვეტირი გოგიაშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, შემდგომი განვითარება პიკო ვ. ი. ლენინის სწავლებამ სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის საქმეში ფართო მასების მონაწილეს შესახებ. ეს დებულება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საერთო პრინციპის განუყოფელი ნაწილია. ყოველი საბჭოთა აღმართი — ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ სკკპ XXII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში — უნდა გახდეს საზოგადოების საქმის მართვის აქტიური მონაწილე. კომუნისტებისავე ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლის შეაბამისად შემცირდება დრო მატერიალურ წარმოებაზე, ადამიანების თავისუფალი დრო სულ უფრო და უფრო მეტად დაეთმობა საზოგადოებრივ განვითარებას, სამეცნიერო-ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებას.

კულტურის დაწესებულებათა საქმიანობაში აქტივის ფართოდ მართვა ხელს უწყობს იდეოლოგიურ აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას და ცხოვრებასთან მის შემდგომ დაახლოებას.

კულტურის ორგანოები და დაწესებულებები საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით ფართოებენ მასებზე გაღწეას და აუმაღლებენ მშრომელთა კულტურულ მომსახურებას.

საზოგადოებრივ საწყისეზოზე კულტურის დაწესებულებათა მოწყობა, კულტურის საზოგადოებრივი საბჭოებისა და განყოფილებების შექმნა, აგრეთვე კულტურული მშენებლობაში ფართო მასების მონაწილეს სხვა ფორმების წარმოშობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობაში კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა თანდათანობით გადაცემის საწინდარია, რასაც სკკპ ახალი პროგრამა ითვალისწინებს.

ამორტივებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის კულტურის დაწესებულებები და პროფესიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ კულტურის, ხელოვნებისა და სხვა დაწესებულებების საზოგადოებრივ საწყისეზოზე მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

ყოველდღე ეს ზრდის მასების აქტივობასა და თვითმოქმედებას, შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას. ხელმძღვანელობის დროს ეს დადებითი მომენტები ქუმმარტად და-უშრეტელ რეზერვად იქცევა ჩვენი ხალხის კულტურის შემდგომი აღმაშობებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

თვით ცხოვრება მიითხოვს საზოგადოებრივი საწყისების სულ უფრო და უფრო ფართოდ დანერგვას კულტურის ყველა ორგანოსა და დაწესებულებათა ისევე, როგორც პროფესიული კავშირების მიერ საქმიანობაში. იგი სახელმწიფო მშე-

ნელობის ყველა დარგში საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური პრინციპების აღდგენის შედეგია.

რა მუშაობა იქნა გაწეული საქართველოს რესპუბლიკაში პარტიის XXII ყრილობის წინ და ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების საქმეში კულტურის დაწესებულებების ხაზით? ძალიან ბევრი. დაგვასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს:

დღეისათვის რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისეზოზე შექმნილია 32 კულტურის უნივერსიტეტი, რომლებიც 8000 მეტ მსმენელსა და ლექტორს აერთიანებს, დაასლოებით 61 სტაციონარული და მოძრავი ბიბლიოთეკა 72600 ათასი წიგნით, 17 სახალხო მუზეუმი, 32 სახალხო თეატრი, 290 მეტი რადიომუშეუბლომის რედაქცია, 61 კინომოყვარულთა წრე და კლუბი, რომელშიც 700 მეტი კინომოყვარულთა გაერთიანებული, ამას გარდა კლუბები და წითელი კუთხეები, წიგნის სარეალობის მაღაზია და კოსკები, რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისეზოზე არსებობს 5107 მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრე, ასობით საკლუბო და საბიბლიოთეკო საბჭოები, კულტურის განყოფილებები, მოწინავეთა გამოცდილების სკოლები და წრეები, და სხვა მრავალი, რომელშიაც დაახლოებით 150.000-მეტი წევრია გაერთიანებული.

ყველა ეს ორგანიზაცია მრავალმხრივ სასობრე პოლიტიკურ-აღმზრდელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა მშრომელთა შორის, აქტიურად მონაწილეობს პარტიის XXII, ყრილობის, სკკპ ცვ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების პრობაგანდაში, მისი განხორციელების საქმეში მშრომელთა მობილიზაციისათვის.

ჩვენს ქვეყანაში წიგნი ფართო მასშტაბით გამოიყენება ხალხთა კომუნისტური აღზრდისათვის, კულტურულ-პოლიტიკური განათლებისა და სპეციალური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის იგი სულიერ მოთხოვნილება, უპირველეს აუცილებლობად, ეროვნულ მეგობრად და კარგ მრჩეველად იქცა.

ასრულდნენ რა საბჭოთა კავშირის კვ ცვ-ის დადგენილებას, ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მუშაკებმა და მათ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ახლა საბიბლიოთეკო მუშაობა მნიშვნელოვან მთავრობად ცხოვრების მოთხოვნებს, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ამაღლდა წიგნის პრობაგანდის იდეური დონე. ამის შედეგად გაძლიერდა მითხველთა ინტერესი პოლიტიკური ლიტერატურისადმი, ტექნი-

კურ, მიწვევლობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების საკითხებზე არსებული წიგნებისა და მხატვრული ლიტერატურისადმი.

დღეს საზოგადოებრიობის დამხარებით წარმატებით წდება წარმოება-დაწესებულებებში, ქალაქისა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში ბიბლიოთეკების ან წიგნების გამცემი პუნქტების შექმნის ამოცანა. საზოგადოებრიობის აქტიურად ემხრობა ბიბლიოთეკებს ისეთი რთული ამოცანის გადაჭრაში, როგორცაა ყოველ ოჯახამდე წიგნის დაყვანის საქმე. ამჟამად რესპუბლიკის ბიბლიოთეკები (მათი საერთო რაოდენობა კი 5000 აღწევს) მშრომელთა 90-95% ემსახურება. რესპუბლიკაში ყოველ 800 მცხოვრებზე ერთი ბიბლიოთეკა მოდის, მართლაც მასობრივი ბიბლიოთეკები ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტ მკითხველს ემსახურება და სულ მცირე ცაბტე მილიონ წიგნს აწვდის.

სახელმწიფო ბიბლიოთეკების გვერდით ნაყოფიერ მუშაობს ეწვეიან აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ბიბლიოთეკები, რომლის რაოდენობამ 61 მიაღწია და ხლო წიგნთა ფონდმა 72600-ს.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ქ. თბილისის კალინინის რაიონში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ბიბლიოთეკა და სულ მცირე პერიოდში უდიდეს სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა რაიონის მშრომელთა შორის, ბიბლიოთეკისთან არსებობს საბჭო, რომელიც ბიბლიოთეკის მთელ საქმიანობას წარმართავს, ხოლო გამგედ საზოგადოებრივ საწყისებზე ამხ. მ. კორინეევი-ბაქრაძე მუშაობს. ბიბლიოთეკის ფართოდ ჰყავს შემოკრებილი აქტივი, განსაკუთრებით მოსწავლე ასალგაზრდობს და პიონერებს. მთელ პერიოდში მკითხველთა რაოდენობამ 200 კაცს გადააჭარბა, ხოლო წიგნთა ფონდმა 1500 მიაღწია. შეფობას და სხვა მატერიალურ დახმარებას ქალაქის ბიბლიოთეკები ანხორციელებენ, პერიოდულად ტარდება მკითხველთა კონფერენციები, აქტივის ძალებით რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი, ბიბლიოთეკის აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია მზავადობრივან საკითხებს მოიცავს. გეგმაში ეთვალისწინებული თვითუღი საკითხი შესასრულებლად მინდობილი აქვს აქტივს, რომელიც დიდი მონდომებითა და დროულად ასრულებს.

მრავალი საინტერესო ფაქტი შეიძლება დავასახლოთ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე სხვა ბიბლიოთეკების საქმიანობიდან.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიზიდვამ კულტურის დაწესებულებათა მუშაობაში ხელი შეუწყო კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების როლის ამაღლებას, მოწინავე კომუნერნობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოების ნოვატორების გამოცდილების პროპაგანდის საქმეს. მხარაძის, ზუგდიდის, თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, ქობულეთის, ვალის და სხვა რაიონებში შექმნილია მოძრაივი აგიტბრავადები და ლექტორიუმები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სოფლის მეურნეობის შეუქრების გამოცდილებას, მიწათმოქმედების სახანა სისხტებს. იზრდება მოწინავეთა გამოცდილების კაბინეტების, კულტურის უნივერსიტეტების, სკოლებისა და სოფლის მეურნეობის ცოდნის წრეების რიცხვი,

მათში ლექტორებად მოხილული არიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სპეციალისტები და ოსტატები.

მისასლოლაში წიგნის გავრცელებას დიდად უწყობს ხელს აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნილი წიგნის მაღაზიები და კიოსკები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მთელ რივ მოწინავე მხარეებსა და ოლქებში დიდი გავრცელება ჰპოვა, არ იქნება უხდებელი თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩვენს მკითხველებს მოეხდინებოდა ამ მხრივ პენსის ოლქის მაგალითზე, სადაც საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას თავიდანვე აქტიურად მოვიდეს ხელი. ჯერ კიდევ გასულ წელს პენსის ერთ-ერთ ქარხანაში საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა წიგნის მაღაზია, ბინა ამ მაღაზიისათვის თვით ქარხანამ გამოყო. მაღაზიის დირექტორად საზოგადოებრივ საწყისებზე ინჟინერი ბლინერი მუშაობს, რომელიც საუკეთესოდ ათავსებს თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან საზოგადოებრივი დავალების შესრულებას. მაღაზიაში გამოიდგელებად ამავე ქარხნის 15 კომკავშირული მუშაობს, საბუნდოლო საქმე ინჟინერ-ნირმადარსა თამარ ბაზილივამ იყისრა, რომელიც უსასყიდლოდ და პირნათლად ასრულებს ამ საქმეს, მაღაზია დღემდე სამ საათს მუშაობს.

სასალაო მაღაზიის ლიტერატურით მომარაგებას ოლქის წიგნთვაჭარობის სამმართველო ანხორციელებს. საზოგადოებრივი მაღაზია აწყობს წიგნთ ვაჭრობის ბაზრებს, მწერლებთან შეხვედრებს და მათ გამოსვლებს საამქროებში, სადაც მაღაზიაში შემოხილული წიგნების მიმოხილვა ხდება. თავისი მუშაობის პირველსავე თვეებში, საზოგადოებრივმა მაღაზიამ ათასი წიგნი გაყიდა.

ამჟამად პენსის ოლქში საზოგადოებრივი გამაწვრცელებლების ძალებით წიგნებით ვაჭრობა 45 სამრეწველო საწარმოში 75 უნაღვეს და სამულო სასწავლებლებში, 15 კომუნერნობაში, საბჭოთა მეურნეობაში და 50 კულტდაწესებულებაში წარმოებს.

ამ საქმიანობაში ჩამბულია 4 ათასზე მეტი საზოგადოებრივი მუშაკი — ენთუზიასტი, რომლებიც ძირითადად კომკავშირელები და ასალგაზრდები არიან. მათ 1961 წლის განბავლობაში 50 ათასზე მეტი მანეთის ღირებულების ლიტერატურა გაავრცელებს.

საქმიანობა ინტერესმა და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ დიდად შეუწყო ხელი წიგნის რეალისაციას და მომხმარებელამდე მის დროულად მიტანას.

პენსელთა გამოცდილება და ამ დარგში გაწეული მუშაობის მაგალითები ჭეშმარიტად რომ მისაბაძი წიგნთ ვაჭრობის მუშაკებისა და პროფესიული ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც არ იქნა და არ მხოურხდა საზოგადოებრივ საწყისებზე წიგნის მაღაზიების და კიოსკების ფართოდ გახსნა.

ქ. თბილისის ფესასცემლების ქარხნის ინიციატივით ქარხნის ჭერტბრიაზე საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა წიგნის მაღაზია. ქარხნის საზოგადოებრიობამ თავიდანვე აქტიურად მოვიდა ხელი მაღაზიის მუშაობას და მეგრე საინტერესო ლიტერატურა გაავრცელა ფაბრიკის მუშა-მისამახურეთა შორის, მაღაზიას წიგნებით ათავაკებს 26 კომისრების რაიონის წიგნის მაღაზია, კუდად არ მუშაობენ საზოგადოებ-

რიც საწყისებზე შექმნილი წიგნის მალაზიები 26 კომისრების სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანასთან, № 2 თამაქოს ფაბრიკასთან და სხვა რაიონებსა და წარმოებთან. შემდგომში კიდევ უფრო აქტიურად უნდა მოვიდეთ ხელი საზოგადოებრივ საწყისებზე წიგნის მალაზიებისა და კიოსკების გასწავას.

საზოგადოებრივი საწყისები ფართო განვითარებას პოულობენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მუშაობაში, ამჟამად რესპუბლიკაში სახელმწიფო მუზეუმების გარდა 17 ახალი მუზეუმი შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყო საკოლმეურნეო მუზეუმი. მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებამ მუზეუმს ძვირფასი ექსპონატები გადასცა უსასყიდლოდ ამჟამად მუზეუმი მოთავსებულია ნათელ და კეთილმოწყობილი ბინაში. უმოკლეს პერიოდში კოლმეურნეებმა, სოფლის ინტელიგენციამ და სკოლის მოსწავლეებმა ბევრი საინტერესო და ძვირფასი ექსპონატი შეაგროვეს, აქ შევხვდებით ექსპოზიციებს კოლმეურნეობის ისტორიაზე, აქვე გამოფენილია დიკარამებით, რუქებითა და ფოტოსურათებით მწახველები ეცნობიან იმას, თუ როგორ იქმნებოდა კოლმეურნობა, როგორ იზრდებდა მისი ეკონომიკა და როგორ უშობრესდება კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობა.

მუზეუმის მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, საბჭოსთან შექმნილია სხვადასხვა სექციები საკოლმეურნეო, ისტორიის, სასკოლო-ბუნებისმეტყველებით და სხვა. მუზეუმი დიდ პოპულარობით სარგებლობს, როგორც რაიონის მშრომელთა, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხებიდან და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშად ჩამოსულ დამთვალიერებელთა შორის.

მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ქ. მასარაძის ენგაქ ნინოშვილის სახელობის I საშუალო სკოლის მუზეუმიც. მუზეუმი სრულყოფილად აშუქებს თვით სკოლის ისტორიას, ამასთან აქ თავმოყრილია მხარის დამახასიათებელი ენთოგრაფიული და ისტორიის ამსახველი მასალები. მუზეუმს ამჟამად 3000-მეტე ექსპონატი მოეპოვება, რომელიც ძირითადად შტეროვილი და დამზადებულია მოსწავლეთა ძალეებით. ფონდში აქვთ სხვადასხვა ეპოქის მონეტები, ბრინჯაოს ხანის იარაღები, მაკეტები, სურათები და სხვ. მაგ. მუზეუმის ენთოზიატივმა მოამზადეს ალბომი „სკოლა და ცხოვრება“, „ოჯახი და სკოლა ბავშვთა სოციალისტური აღზრდის უნიშვნელოვანესი კერაა“, „სკოლის ხელმძღვანელები დღიდან მისი დაარსებისა“, სადაც ასახულია ისტორია სკოლის დაარსებიდან (1864 წლიდან) დღემდე. შტეროვილი მასალები მოგივითხრობს სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ. მუზეუმს ჰყავს საბჭო 13 კაცის შემადგენლობით, ექსპერს-მახმედლობას საზოგადოებრივ საწყისებზე სწევა უფროსი პიიონერმდევანეთი, მუზეუმის ოთახში ხშირად ტარდება ისტორიის გაკვეთილები და დიდად ეხმარება მოსწავლეებს საგნის დრმა და შესწავლაში. მუზეუმს აქვს მთავებდობა ვიწრო ფონდში, მას საშუალოდ ყოველწლიურად 2-3 ათასი აკავ ათავაობენ. შთაბეჭდილების წიგნში ვხვდებით ვიეტნამიდან, აფრიკიდან, საქართველოს რაიონებიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხებიდან ჩამოსული სტუმრების გვარებს.

მაგავი ფაქტები შეიძლება მრავალი დავასახელოთ სხვა საზოგადოებრივი მუზეუმების მუშაობიდან, მაგრამ სწორი არ იქნება არ შევეცინოთ ის ნაყოფანებებიც, რაც ამ დარგში არსებობს, კერძოდ ის, რომ ზოგიერთ რაიონში გატაცებულია აიან მხარეთმცოდნეობის მუზეუმების გასწივთ და არ ხუნჯავენ საჭირო ექსპონატების შეგროვებისათვის, რის შედეგად მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მთელი შინაარსი ფორმალურად დაყავთ, რაც შემდგომში უნდა გამოვასწოროთ.

უკანასკნელ წლებში შესანიშნვი ცვლილებები მოხდა მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში. იგი გამდიდრდა ახალი ფორმებითა და საშუალებებით. ამას ახლა აკეთებენ არა მარტო სახელმწიფო თეატრები და საკონცერტო ორგანიზაციები, არამედ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კულტურის მრავალრიცხოვანი უნივერსიტეტები და სკოლები, სახალხო ფორამინიები, სახალხო თეატრები და მხატვრული თვითმოქმედება.

ახლა უკვე სასებით ცხადია, რომ მოსახლეობის მხატვრული მომსახურების სხვადასხვა ფორმების შემდგომი განვითარება, მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის ხარისხის ამაღლება იწარმოებს პროფესიონალური ხელოვნების და ხალხური მხატვრული თვითმოქმედების შემოქმედებითა გამდიდრების საშუალებით, რაც მხატვრულ თვითმოქმედებაში პროფესიონალური ხელოვნების მოღვაწეთა მონაწილეობის გაფართოების გზით უნდა განხორციელდეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საზოგადოებრივ საწყისებზე განვითარების საქმეში, რომელსაც ახლა ასე დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩვენი პარტია, ერთ-ერთი საპატიო ადგილს იკავებს სახალხო თეატრები. თანამედროვე ეტაპზე სახალხო თეატრების განუზომელი ზრდა და მისი როლის ამაღლება მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში სრულიად განუზომიერი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, იგი მოასწავებს საბჭოთა ადამიანების სულიერი მოთხოვნათა უდიდეს ადამგვლობას, სახალხო ტრადიციების მასობრივ ზრდას, პარტიის და საბჭოთა მთავრობის იმ მურუნელობას, რომელსაც იგი იჩენს თვითმოქმედების მიმართ.

საქართველოს სახალხო თეატრებს მდიდარი ტრადიცია აქვს. გადაჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში იგი პროფესიული ქართული თეატრის დიდ ტვირის ეზიდებოდა, ავლენდა საუკეთესო არტისტულ ძალებს, აღვიძებდა ინტერესს კულტურისადმი, იყო მასების გათვითცნობიერებისა და აღზრდის ქმედითი ტრინოვა.

პარტიის 21-ე ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა სახალხო თეატრების განვითარებას, არც თუ ისე დიდ-და პერიოდმა განვლო, მაგრამ ადგილებზე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მშრუნელობითა და დახმარებით გაიზარდა სახალხო თეატრების ქსელი, განბტვიცენდა ორგანიზაციულად, შექმნეს მრავალრიცხოვანი და საინტერესო რეპერტუარი და ამით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს მაცურებელთა შორის.

დღეის რიცხვითათვის რესპუბლიკაში 33 სახალხო თეატრი გვაქვს, რომელშიაც 1600-დე თვითმოქმედი მსახიობია გაერთიანებული, მართო 1961 და 1962 წლის სეზონის პირველ

ნახევარში სახალხო თეატრების სცენაზე 39 ახალი პიესა და-
იდგა, რომლიდანაც უმრავლესობა თანამედროვეობის აქტუა-
ლურ საკითხებს მიეძღვნა, ამავე პერიოდში გაიმართა 411
სპექტაკლი. მ. შ. 190 გავლენით სპექტაკლი და მომსახურება
გაეწია 80.000-ზე მეტ მაყურებელს.

დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას განიცდის ადამიანი,
როცა უსუნეს შრომის მოწინავე ადამიანებს: მალაროსს თუ
პედაგოგს, ზეინკალს თუ ექიმს, მქსიველს თუ მეცნიერ მუ-
შაკს, ინჟინერს თუ აგრონომს, კოლმუერნობებისა და საბჭო-
თა მუერნობების მუშაკებს, როდესაც ისინი სამსახურებრივი
მოვალეობის შესრულების შემდეგ, ყოველგვარი სასყიდლის
გარეშე, დიდი ენთუზიაზმით გამოდიან სახალხო თეატრების
სცენაზე და წარმატებით ასრულებენ საოპერო პარტიებსა და
დრამატული როლებს, მღერაინ და ცეკვავენ ანსამბლებსა და
სპექტაკლებში.

დღეს სახალხო თეატრების რეპერტუარს ამშვენებს ისეთი
ცნობილი დრამატურგების და კომპოზიტორების ნაწარმოებები,
როგორც არიან ზ. ფალიაშვილი, პ. კაკაბაძე, ვ. დარა-
სელი, მ. მრევლიშვილი, ს. შივარძლე, გ. ქეღელიძე, ს. შან-
შიაშვილი, კ. კანდელიძე, კ. ბუაჩიძე, მ. ბარათაშვილი, ა. დე-
ვიძე, აგრეთვე რუსი, უკრაინელი და სხვა ელასიკური და საზ-
ღვარეულო დრამატურგების ნაწარმოებები.

კულტურის სამინისტრო, პროფესიული კავშირები და
სახლური შემოქმედების სახლი პერიოდულად ატარებენ სა-
ხალხო თეატრების მუშაობა რესპუბლიკურ კონფერენციებს,
ათაბირებსა და სემინარებს, აწყობენ სახალხო თეატრების
სპექტაკლების განხილვას და ა. შ. მოსაწონია ადგილობრივი
საზოგადოების ინიციატივა, რაც გამოიხატა თეატრებზე სპე-
ციალისტების, გრიმორების, მხატვრების, რეჟისორების და
სხვათა მივლინებით და კონსულტაციებით. აგრეთვე სპექტაკ-
ლების გენერალურ რეპეტიციებში და მის გარჩევამ მონაწი-
ლეობის მიღებით.

სულ ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
შეიქმნა მეორე სახალხო ოპერა, რომელმაც წარმატებით გაარ-
თვა თავი ისეთი საოპერო ნაწარმოების დადგმას, როგორც
არის ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისი“. დირიჟორ
ვ. ფალიაშვილის, რეჟისორ გ. გაჩეჩილაძის, მხატვარ
ო. ლითანიშვილის და ქორეოგრაფ გ. ბაქრაძის დაუღალავ-
მა შრომამ სრულყოფილად გადმოგვცა მთელი ოპერის ძვე-
ლადრამაზოვით თეატრის სცენაზე და მაღალიერ მაყურებ-
ლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაღალი შემოქმედებითი მუშაობის მაგალითებს იძლევიან
საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილი ბორჯომის, ახალციხის,
სამტრედიის, ცაგერის, ონის, ტყიბულის, ქ. თბილისის რკი-
ნებულთა სახლის და სხვა რაიონის სახალხო თეატრე-
ბი.

რატომ არის, რომ სახალხო თეატრები დღეს ასეთი დიდი
სიყვარული და პოპულარობით სარგებლობენ? ეს იმის შე-
დეგია, რომ სახალხო თეატრები, როგორც ზეითი დღენიშენი,
მხატვრული თვითშემქმედებითი მუშაობის ტუმშორიტად მაღა-
ლი ფორმაა, რომლის მონაწილენი სახალხო შემსრულებლები
არაინ, ახლოს დგანან მასებთან, ბუნებრივად და უშუალოდ
ასრულებენ როლებს.

32 სახალხო თეატრი — ასეთია პირველი შედეგები საზო-
გადოებრივი საწყისებზე მისი განვითარებისა. ცხადია, მარტო
ამ რაოდენობით ვერ დავეკმაყოფილებით, რადგან მთელ რიგ
რაიონებში დიდ სურვილს გამოსთქვამენ სახალხო თეატრების
შექმნისათვის, ამასთან რესპუბლიკაში 1276-ზე მეტი დრა-
მატიკური კოლექტივი არსებობს საზოგადოებრივი საწყისებზე
და ისინი სახალხო თეატრების გამარჯვების საუვეუესო ბაზას
წარმოადგენენ, ამდენად ბუნებრივია, რომ სახალხო თეატრე-
ბის რიგეში კვლავაც გაიზარდეს. მაგრამ სახალხო თეატრების
რაოდენობის ზრდას და თეატრის სახელწოდების ხელშეწყობით
მინიჭებას დრამატული წრეებისათვის არ უნდა გამოვევიოთ,
რადგან არის ფაქტები, როცა ადგილებზე დრამატული წრისა-
თვის სახალხო თეატრის სახელწოდების მინიჭებით კმაყოფილ-
დებიან და შემდეგ ხალხებად ზრუნავენ ყველა იმ საკითხების
მოგვარებისათვის, რაც თეატრის შემოქმედებითი მუშაობის
გამოასთან არის დაკავშირებული.

სახალხო თეატრების ზრდისა და განმკვიცებისათვის უნ-
და ზრუნავდნენ არა მარტო ადგილობრივი საკლემო დაწესე-
ბულებათა ხელმძღვანელები და პროფესიული კავშირები,
არამედ ზემდგომი ორგანოები, შემოქმედებითი კავშირები,
კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, სალხუ-
რი შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, ადგილობრივი, საბ-
ჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

უპირველეს ყოვლისა, სახალხო თეატრებს უნდა დაეცემი-
როთ რეპერტუარის შერჩევასა და პიესების დროულად მიწო-
დების საქმეში. სარეპერტუარო პოლიტიკა თეატრის წამყვანი
საკითხია. აგი თანაბრად აქვდაცნოს როგორც პროფესიონა-
ლურს, აგრეთვე სახალხო თეატრების შემოქმედებითი კოლექ-
ტივებს. მართალია, სახალხო თეატრების სცენაზე განხორციე-
ლებული სპექტაკლების უმრავლესობა თანამედროვეობის თემას
მიეძღვნა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა თეატრი
უზრუნველყოფილი იყო საჭირო რაოდენობის და მაღალი
იდუერი პიესებით. ზოგჯერ ისეთი პიესები იდგებოდა, რომლებ-
მაც დიდი ხანია დაკარგეს თავისი ძველადობა და აქტუალ-
ბა და საკლემო არ ეხმარებიან თანამედროვეობის ღირსშესა-
ნიშნავ მოვლენებს, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამი-
ანებს, და მათი გმირული შრომის მაგალითებს. საჭიროა შემ-
დგომში მუშაობა კავშირმა და მისმა დრამატურგთა სექციამ
მეტე ინტერესი გამოიჩინოს სახალხო თეატრების რეპერტუა-
რის შექმნისათვის.

სახალხო თეატრის დასის შეგნებულობა და პასუხისმგებ-
ლობის გრძნობა, მთლიანად და სავსებით განაპირობებს სა-
ხალხო თეატრების წარმატებას. ამდენად, ადგილობრივმა
პროფესიულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა
სისტემატურად უნდა აწარმოონ იდუერ-ადმინისტრაციული
მუშაობა სახალხო თეატრის კოლექტივს შორის.

სახალხო თეატრები დიდ მხარდაჭერას კლვიან თეიანთი
უფროსი მეგობრების, პროფესიული თეატრებისა და მათი სამ-
ხატრო ხელმძღვანელობისათვის. რომლებსაც დიდი ზრუნე-
ბი მოეპოვებათ, რათა მიაკლინონ სახალხო თეატრებში მა-
ღალკვალიფიციური რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორე-
ნი, დეკორატორები და სხვა სპეციალისტები კონსულტაციე-
ბისა და პრაქტიკული დახმარების გასაწევად, შესაძლებლობის

ფარგლებში მიაწოდონ კოსტუმები, რეკვიზიტები და ა. შ. მაგრამ ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ვერ მიაღწიეს იმას, რომ თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების ყველა მუშაკი სისტემატურ დახმარებას უწყვეტად მსატერული თვითმოქმედების კოლექტივებს. ხშირად სასაზოგადოებრივი თეატრული თვითმოქმედების თვითმოქმედების კოლექტივებზე შეფარება ძირითადად მცირედი რეკვიზიტების გაგზავნით და მსახიობებისა და რეჟისორების ავადიღებზე ექიმზოდური ჩასვლით შემოიფარგლება.

შემდგომში თეატრებისა და სახანაბათა ორგანიზაციების პროფკავშირულმა კომიტეტმა და პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კულტურის ამ დარგის განვითარება ხელმძღვანელებთან ერთად გადაჭრით უნდა გააძლიერონ პროფკავშირული ხელშეწყობის მუშაკთა უმეტესობის დახმარება სასაზოგადოებრივი თეატრებისადმი, კინოთეატრული წრეებისა და კულტურისადმი, თვითმოქმედ კოლექტივების და აქტიური მონაწილეობის იღებდეს მისი მუშაობის იდეურ-მსატერული დონის ამაღლებაში, ხოლო პროფკავშირული ხელშეწყობის მოვალეობა, კულტურის სასაზოგადოებრივი მუშაკების მუშაობის მონაწილეობა უნდა მიიღონ დრამატული, სახეობით, მუსიკალური და სხვა მსატერული თვითმოქმედების ხელმძღვანელების მოზარდებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საზოგადოებრივი საწყისებზე მუშაობამ ფართო გზა ჰპოვა რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახით. დღეისათვის რესპუბლიკაში საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილია 290 რაიონული, საკომლემენტური და საწარმოო რედაქცია და კაბინი. აქედან რაიონული რედაქცია 57, საქალაქო 6, საკომლემენტური 113, საბჭოთა მეურნეობასთან 15, საფაბრიკო საქარბნო 41, სასკოლო 42 და ა. შ.

საზოგადოებრივი საწყისებზე რადიო რედაქციების შექმნამ კიდევ უფრო გააუმჯობესა რადიომაუწყებლობის ორგანოების მუშაობა და ხელი შეუწყო ვადაცემათა მრავალფეროვნებას, ახლა ისინი უფრო სრულად და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით დადოგვეყენებ ჩვენი რესპუბლიკის საკომლემენტური და კულტურულ მშენებლობაში მოაპოვებულ ახალ-ახალ წარმატებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების მუშაობის გამოცდილებას, საბჭოთა ადამიანების მუშაობის გამოცდილებას, საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას პარტიის 22-ე ყრილობის ისტორიულ ვადაცემვით მუშაობა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში.

კარგად მუშაობენ თელავის რადიომაუწყებლობის რაიონული რედაქცია, ბორჯომის, ლანჩხუთის, ზესტაფონის და სხვა რაიონის რედაქციები, აგრეთვე ნატანების საკომლემენტური, ნაფარულის საბჭოთა მეურნეობის, ქ. თბილისის ავტო-სარეზონტო, ელვაგალმშენებელი, ვაკონშემკეთებელი ქარხნების რადიოკაბინის რედაქციები და სხვ.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რესპუბლიკური კომიტეტი კვირაში ორ-სამჯერ აწყობს 15-20 წუთიან ვადაცემას რაიონის კომლემენტურობების და საწარმოო ცხოვრებიდან, რომლის მასალაზე საზოგადოებრივი საწყისებზე მომუ-

შავე აქტივობები ამაზადებენ, ამასთან რეგულარულად აწყობს საუბრებს პოლიტიკურ თემებზე, მსატერულ-მუსიკალურ და სხვა საინტერესო თემებზე.

საზოგადოებრივი საწყისებზე მომუშავეთა დასახმარებლად, ვადაცემათა პროგრამის მასალების უკეთ მოზარდებისათვის სისტემატურად ტარდება კონსულტაციები, სემინარები, საქალაქო, რაიონული და ზონალური თათბირები, მიწვევა მიყროფონისა და ა. შ.


ცხოვრებამ საესებით დადასტურა, ვაგუთებისა და ჟურნალების გამოცემვითადაც და რედაქციებთან საზოგადოებრივი საწყისებზე საზოგადოებრივი-მსატერული საბჭოებისა და განყოფილებების შექმნის მიზანშეწონილობა. ეს საზოგადოებრივი ორგანოები გამოცემვითადაც ხელმძღვანელობას არსებით დახმარებას უწყებენ მათ მიერ გამოსაშვები ლიტერატურის იდეური შინაარსის ამაღლებაში.

ვაგუთ „კომუნისტის“ რედაქციამ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებასთან შექმნა ავტონომა საბჭო 12 კაცის შემადგენლობით, რომელშიც ვაერთიანებულნი არიან ფილოსოფოსები, ეკონომისტები, საბჭოთა კავშირის კპ ისტორიის და საზოგადოებრივი მეცნიერებათა ლექტორები და სხვა სპეციალისტები, პარტიული ცხოვრების განყოფილებასთან შექმნა შინაპარტიული მუშაობის მსატერული განყოფილება და ამით კიდევ უფრო ამაღლა პარტიული მუშაობის გამოცდილებათა პროპაგანდა და ქმნილობა.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ვაგუთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კოლექტივმა, როცა საზოგადოებრივი საწყისებზე რედაქციასთან შექმნა სხვადასხვა განყოფილებები, მაგ. „ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს“ განყოფილებას საზოგადოებრივი საწყისებზე ხელმძღვანელობს პროფესორი ა. მინდაძე; „თქვენივინის, ახალგაზრდა დედებო“ განყოფილებას ხელმძღვანელობს პროფესორი რტილაძე, „რუსული ენის გაკვეთილი“ ხელმძღვანელი პროფ. დ. მელიაძე; „მოწინავე გამოცდილებების და მეცნიერების მიღწევების დანერგვის“ განყოფილება, ამ განყოფილებაში საზოგადოებრივი საწყისებზე ვაერთიანებული არიან მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: აგრონომები, მექანიზატორები, ეკონომისტები, მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები და ა. შ.

შეგავსო ფაქტივები შეიძლება ვაგასახელოთ სხვა ვაგუთებისა და ჟურნალების რედაქციების მუშაობიდან.

ცხადია, რომ საზოგადოებრივი საწყისების დანერგვამ მნიშვნელოვან ვაგაფართოვა და მრავალფეროვანი ვაგადა რედაქციების მუშაობა, ამაღლა მათი ქმნილობის და ორგანიზატორული მუშაობა პარტიისა და მთავრობის ვადაცემვითილბათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ ყველგან ერთნაირად როდი ეხმაურებიან საზოგადოებრივი საწყისებზე მუშაობის ვაგზას. ზოგიერთი გამოცემვობათა ჟურ კიდევ უფრო ვაგაცილებია მსატერად აპარატს, ვერ იჩენს საკმაო უნარს აქტივის მიზლიდგას და გამოცემვობობს საქმიანობის მისი ჩაზნობისათვის. შემდგომში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა რედაქციებისა და გამოცემვობობათა ხელმძღვანელებთან ერთად მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საზოგადოებრივი საწყისების დანერგვას, უფრო ფართოდ მიიზიდონ აქტივი და ჩააბან ისინი



მ. თარიშვილი

შესუსპირები

რედაქციებისა და გამომცემლობების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

საზოგადოებრივი საწყისებზე ჩნიშვნელუნდა გადართოდეს კინომოყვარულთა წრეები და სტუდიები, რომელთა რაოდენობა ამჟამად 70 აღწევს და 700-ზე მეტ კინომოყვარულს აერთიანებს, ამასთან საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილია კინომოყვარულთა რესპუბლიკური ორგ. ბიურო, რომელიც კინორეჟისორის ხელოვნების დამახსოვრებელი მოვალე საწინვითი ხელ-ლობს. ორბიურო ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კინომოყვარულთა შორის, აწყობს კონსულტაციებს და საინტერესო საკითხების გადაწყვეტებაში დიდ დახმარებას უწევს.

საინტერესო მუშაობას ეწევა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კინომოყვარულთა კლუბი, რომელშიც გაერთიანებულია რაიონის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების და წარმოება-დაწესებულებათა თანამშრომლები. კლუბმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ჩვენი რაიონი“, „მახვილი თვალის“ და „ლახტი“. „ჩვენი რაიონი“ მაყურებელს მოუხსრობს ორჯონიკიძის რაიონის ზრდაელ და განვითარებაზე 40 წლის მანძილზე. (რეჟისორი გ. აბულიშვილი, სცენარის ა. სოსხაძის), ფილმი „ფხიზელი თვალის“ შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თემაზე. ამ ფილმებმა დიდი წარმატება მოიპოვეს მოსკოვში - მოსკოველ და ქართველ კინომოყვარულთა შეხვედრა-დათავაობრებაზე. ფილმის მიეჩნება I კატეგორიის დიპლომები და პრემიები. ამავე კლუბის კინომოყვარულებმა გადაიღეს აგრეთვე საინტერესო ფილმი „ლახტი“, მასში გადმოცემულია ერთ-ერთი უძველესი ქართული საორტული თამაშის ლახტის შესახებ. ამჟამად კლუბი იღებს ფილმს შეხვედრის თემაზე.

მასების კულტურული დონის ამაღლებაში და მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილი კულტურის უნივერსიტეტები, რომლებშიც ასობით მუშა, კომმუნერ და ინტელიგენტი სწავლობს. კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები თავიანთი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ ბარებენ ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობას და ა. შ. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში შეიქმნა 32 კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც 8000 მეტი მსმენელი და ლექტორია გაერთიანებული.

სანიშნოდ მუშაობს თბილისის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი აკადემიკოსი ი. ბუაჩიძე; პრორექტორები პროფესორები: მ. მირიანაშვილი, პ. გელბახინი და კომპოზიტორი ი. ტუცკაია). უნივერსიტეტს აქვს 7 ცილილი, აგრეთვე ფაკულტეტები და განყოფილებები რაიონების მიხედვით. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი აქვს სტამბური წესით გამრავლებული სამუშაო გეგმა, განრიგი და პროგრამა. ლექციებს კითხულობენ განთქმული ქართველი მეცნიერები: ი. ბუაჩიძე, ა. შარაბიძე, ი. თავაძე, ი. ბერიძე, გ. ციციშვილი, ა. გულონაშვილი და სხვები. კარგად მოწყობენ ბათუმის, ქუთაისის, თელავის და სხვა სახალხო უნივერსიტეტები.

ბევრ რაიონსა და ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის შემ-

დგომი დემოკრატიზაციის პროცესი. გავრცელება ჰპოვა მოსახლეობის წინაშე ყოველწლიური ანგარიშგების ჩატარების პრაქტიკამ. სწორად ამ საანგარიშო კრებებზე ორჯვე კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულების საზოგადოებრივი საბჭოების, რომელთა შემადგენლობაში ამჟამად 75.000 მეტი აქტივისტი მონაწილეობს.

კულტურის საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც ბევრ კომმუნერობაში, საბჭოთა მუერნობასა და რაიონშია შექმნილი, კაორდინირებას უკეთებენ კლუბების, ბიბლიოთეკების და კინოდღაღარების მუშაობას, მიუხედავად მათი უწყობრივი დაქვემდებარებისა. ესმარებიან, რათა მათ თავიანთი მუშაობა დაფუძნონ წარმოების კონკრეტულ ამოცანებთან შედარო კავშირზე. ისინი პარტიული საბჭოთა და სამუერნო ორგანოების წინაშე აყენებენ საკითხს ამ დაწესებულებათა მატრიული რაზის განმტკიცებისა და მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების შესახებ.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი სკვპ X XII ყრილობის შემდეგ, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად იწყეს აქტივის მიზიდვა თავიანთ მუშაობაში. იქმნება საზოგადოებრივი განყოფილებები და კომისიები, ატარებენ შტატგარეშე ინსტრუქტორებს, ტექნიკურ ინსპექტორებს და საზოგადოებრივ კონტროლიორებს.

მიუხედავად ერთგვარი მუშაობის გაყვივისა, რასაც კულტურის დაწესებულებებში და პროფკავშირული ორგანიზაციები ატარებენ საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ დანერგვისათვის, ჯერ კიდევ აკმაო ნაკლოვანებები არსებობს. ამწუწახა-რად, ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, წიგნის მაღაზიების საზოგადოებრივი საბჭოები და კულტურის განყოფილებები მხოლოდ ფორმალურად იქმნება, ისინი ნაკლებ მუშაობას ეწევიან მოსახლეობას შორის და გავლენას არ ახდენენ მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაზე, ყველგან როდი ანიჭებენ საჭირო ჩნიშვნელობას კულტურის დაწესებულებათა ანგარიშგების მოსახლეობის წინაშე.

პროფკავშირთა ზოგიერთი ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად ასრულებს სკვპ X XII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პროფკავშირთა მუშაობაში საზოგადოებრიობის მიზიდვის შესახებ. ამასთან, არასაკმარისია ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილი განყოფილებები, კომისიები, შტატგარეშე ინსტრუქტორებისა და ინსპექტორების რკუფები არ იჩენენ საკმაო ინიციატივას და აქტივობას მუშაობაში.

ახლა ჩვენი ამოცანის არის, რომ კიდევ უფრო გავაფართოვოთ და დანერგოთ საზოგადოებრივი საწყისები კულტურის დაწესებულებებისა და მისი ორგანოების მუშაობაში, ყოველმხრივ დაუჭიროთ მხარი საზოგადოებრიობის მონაწილეობას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, გავამართლოთ სახალხო კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, წითელი კუთხების, კულტურის უნივერსიტეტების, სახალხო თეატრებისა, წიგნების მაღაზიებისა და კიოსკების და კინომოყვარულთა ქსელი, რომლებიც საზოგადოებრივი საწყისებზე იმუშავენ.



თბილისის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით

შალვა თავაძე

ქალაქის რეკონსტრუქციასა და განაშენიანებასთან დაკავშირებით, საჭიროა ყურადღება მიექცეს ორ მეტად მნიშვნელოვან საკითხს: ქალაქის ფერდობების ათვისებას და ბრტყელი ვადახურვის დანერგვას.

თავის რელიეფით, კლიმატური პირობებით და ტრადიციებით თბილისი მეტად საინტერესო, თავისებური ქალაქია. მისი მანორამის უმთავრესი ნაწილია ფერდობები.


მშენებლობის ახალი გაგებით, სიძნელეს არ წარმოადგენს შენობათა აგება ყოველ ადგილას, კერძოდ ფერდობებზე. ფერდობების გამოყენება სხვა მიზნებისათვის შეზღუდულია და მიზანშეწონილი არ არის. ახლა თბილისი იზრდება მხოლოდ მტკვრის ხეობის გასწვრივ, რაც იწვევს ქალაქის მთლიანობის დარღვევას, ამწელებს კავშირს ქალაქის უბნებს შორის. იკარგება ძვირფასი, სამეურნეო ტერიტორია მაშინ, როდესაც ფერდობის არქიტექტურა შეიძლება უღამაზეს ნაწილად იქცეს ქალაქის კომპოზიციაში. ყველა ქალაქს როდი გააჩნია ამის შესაძლებლობა.

ქალაქის ვიწრო და გრძელ ზოლად ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი, არქიტექტორები, გაფურთხივართ „სიძნელეებს“, რომელიც ყოველ ახალ საქმეს თან ახლავს.

ფერდობების გამოყენება საცხოვრებელი ზინების, დასასვენებელი სახლების მშენებლობისათვის („ამფითვატრის“ და სხვა წესით) არა თუ დაზოგავდა დაბლობებს, რომელიც ქალაქს გარს ეკვრის და ესოდენ სჭირდება,


არამედ თვით საცხოვრებელ ზინებს შეუქმნიდა უკეთეს პიგიურ და ესთეტიკურ პირობებს, ამასთან ქალაქს მისცემდა მოხდენილ, „ბანიანი“ არქიტექტურის იერს, რაც ჩვენი არქიტექტურისათვის არ არის უცხო. ზაფხულის სიციხის დროსაც კი — ფერდობებზე ყოველთვის ქრის ნიაგი და 5 — 8 გრადუსით დაბალი ტემპერატურაა, ვიდრე ქალაქის დაბლობში, გარდა ამისა, ფერდობებიდან გადაშლილია მშვენიერი ხედი ქალაქსა და მის მიდამოებზე.

ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია ზემოაღნიშნული იდეის განხორციელება და არის თუ არა ამ მიმართულებით რაიმე გაკეთებული სხვაგან? პირველყოფილსა, უნ-



კომპლექსი სახლის პროექტი ფერდობისათვის ქ. სან-ფრანცისკოში

სასტუმრო ფერდობზე არიზონაში



და აღენიშნოთ, რომ სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების 200 — 300 მეტრის სიმაღლეზე მოწყობა უფრო ადვილია, ვიდრე 10 — 15 კილომეტრის პირიზონტალურ მანძილზე. ფერდობების არქიტექტურას გხვდებით ჯერ კიდევ ისტორიულ წარსულში, ხოლო ამჟამად, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, იგი სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს: მაკალითად, შეიქცარიაში ძალიან კარგად იყენებენ ფერდობებს განაშენიანებისათვის. სურათებზე ნაჩვენებია მრავალბინიანი სახლები, განხორციელებული ციურისში, 600 ოთახიანი სასტუმრო არიზონის მიდამოებში, კომპლექსი სახლი სან-ფრანცისკოში და სხვ.

ფერდობების განაშენიანება უახლესი ტექნიკის საფუძველზე გულისხმობს პირიზონტალურ და ვერტიკალურ სატრანსპორტო ნაგებობათა შექმნას, მოხერხებულ არქიტექტურულ კომპოზიციას, ნაგებობებთან შერწყმულ გამწვანებას, ყოველივე უნ შექმნის ლამაზ, ორიგინალურ და ტრადიციებთან შეხამებულ, თბილისის ახლებურ სახეს. გარდა ამისა, ფერდობების ათვისება ქალაქს საბოლოოდ გაათავისუფლებდა ფერდობებიდან ჩამოტანილი უღამისა-


გან, რაც ატყუყიანებს ქუჩებს. ამ საკითხების გადასაჭრელად საჭიროა არქიტექტორებმა გამოიჩინონ ნოვატორობა და შემოქმედებითი ენერჯია, დაამუშაონ „ფერდობების არქიტექტურის“ ახალი ტიპი.

მეორე საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის დარგში, ეს არის ბრტყელი სახურავების დანერგვა თბილისში და სხვაგან.

დასავლეთის პრაქტიკაში ბრტყელი სახურავები შენობის აუცილებელი ნაწილია ისეთ კლიმატურ ზონაშიც კი, სადაც ხშირი წვიმებია. ამჟამად ჩიკაგოში, ნიუ-იორკში და სხვაგან მხოლოდ და მხოლოდ ბრტყელი გადახურვაა. თბილისის ბუნებრივი პირობები კი ამ მხრივ უფრო უკეთესია.

რას მოგვცემდა ამჟამად არსებული გადახურვის შეცვლა ბრტყელი გადახურვით? უპირველეს ყოვლისა, დაგვიბრუნებდა დაკარგული მიწის ფართს, რომელიც შენობას უკავია. სახურავი გამოყენებული იქნებოდა მიზინადრეთა დასვენება-გართობისათვის. ბრტყელი გადახურვა საშუალების იძლევა უფრო ფართოდ ვისარგებლოთ პაერთა და მზით, დაფტკბით ხედების ცქერით. ბრტყელ სახურავებზე შეიძლება ჩატარდეს დასვენებისა და სპორტული ღონისძიებანი. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მწვანე დანარგავებისათვის, ბოსტნეულისათვის, ყვავილების გასაშენებლად, სარეცხის გასაშრობად და სხვ. სახურავზე შეიძლება მოწყოს ტალავებები, საჩრდილობდეი. სკოლების, კლუბების, საბავშვო ბაღების თავზე მოწყობილი ბრტყელი გადახურვა შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ შენობა-დანინშნულების შესაფერად. წარმოიდგინეთ თბილისი, სადაც ყველა სახლს ექნება ბაღებით დაფარული სახურავი. ასეთ გადახურვას, გარდა სამეურნეო და ესთეტიკური თვალსაზრისით გამართლებისა, აქვს სანიტარულ-ჰიგიენური უპირატესობაც თუნუქის სახურავებთან შედარებით: იგი ზაფხულის ქალაქის ტემპერატურას 3—4 გრადუსით შემამიკრებს.


ბრტყელი გადახურვა მისი ტექნიკური განხორციელების მხრივ, ამჟამად სადავო არ არის და არც საპირობებს რაიმე ცდასა და გამოცდას. ჯერ კიდევ 35 წლის წინათ, მოსკოვის არქიტექტორებმა შეკითხვებით მიმართეს მსოფლიოს გამოჩენილ 13 არქიტექტორს და ინჯინერს, რომლებსაც დიდი პრაქტიკა ჰქონდათ ბრტყელი გადახურვის მშენებლობაში. ყველამ დადებითი აზრი გამოსთქვა ამ სახურავების ტექნიკური, ეკონომიური შესაძლებლობისა და უპირატესობის შესახებ ჩვეულებრივ ტანობიან სახურავებთან. ამჟამად ჩვენს ტექნიკურ ნორმებში მითითებულია ბრტყელი გადახურვის მშენებლობის შესახებ, რომელიც 30—40 წლის განმავლობაში არ საპირობებს რაიმე შეკეთებას. მოსკოვში, სადაც უფრო არახელსაყრელი კლიმატური პირობებია, ვიდრე ჩვენთან, ფართოდ დაინერგა ბრტყელი გადახურვა. მათ შორის 30 წლის წინათ გაკეთებულა: სასტუმრო „მოსკოვის“ მშენიერი ტერასა-სახურავი, მძიმე მრეწველობის სამინისტროს შენობა კიროვის ქუჩაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახლი და



მრავალბინიანი სახლი გამშენებულ ფერდობზე ქ. ციურბში

სხვა მრავალი. საზღვარგარეთის პრაქტიკიდან აღსანიშნავია 30—40 წლის წინათ განხორციელებული ბრტყელი გადახურვა ჩეხოსლოვაკიაში (პრაღაში), შვეიცარიაში, ნიუ-იორკში (ბალი-პარკი ნიუ-იორკში), კ. მარქსის სახელობის სკოლის სახურავი ქ. ვილიუფში (საფრანგეთში) და სხვაგან. ამრიგად, საჭიროა გაბედულად დავნერგოთ ჩვენს მშენებლობაში, ქალაქის რეკონსტრუქციასა და განაშენიანებაში ბრტყელი გადახურვა, რომელიც ყოველმხრივ მიზანშეწონილია და თანამედროვე.

ბინის სახურავი — ტერასა ნიუ-იორკში





თათბირი ხელოვნების საკითხებზე



კომპოზიტორი
დომიტრი
შოსტაკოვიჩი



კინორეჟისორი ი. პირიუევი



მხატვარი ბ. იოვანსონი

მწერალი ა. სურგოვი



თათბირის დარბაზი



მუსიკალური კადრების უბაღლისი კერა

მერაბ კოსტავა

შეუმჩნევლად გადის დრო და უკან რჩება სტუდენტობის წლები. სადღაც სინანულიცაა და სიხარულიც... მოგონებები, მოკრალბული, გაუხედავი ნაბიჯები დამოუკიდებლობისაკენ. შენც გსურს, რაც შეიძლება მაღლ გამოისცადო საკუთარი ძალა, გახვიდე ცხოვრების დიდ სარბიულზე.

არაან სტუდენტები, რომელთაც არ აკმაყოფილებს მიღწეული, რომელთა სულიერი მოთხოვნილება მუდმივი ძიება და ცოდნის დაუოკებელი წყურვილია. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაა ის დიდი კერა, სადაც იკვრება ეროვნული მუსიკის მომავალ მედროშეთა მძლავრი ბირთვი.

1932 წლიდან დღემდე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურის ხელმძღვანელთა შორის ვხვდებით მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს. ესენი არიან ამჟამად საქართველოს სახალხო არტისტები: ა. ვირსალაძე, ა. ბალანჩივაძე, ი. ტუსკია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ვ. დინაძე, შ. ასლიანიშვილი, გრ. ჩხიკავაძე, ლ. და ვ. შიუკაშვილები. მათ შორისვე იყვნენ ცნობილი პროფესორები, აწარზავცილინი ა. თულაშვილი, კ. მინიარი, ლენინგრადელი მუსიკოსი კ. რიაზანოვი, ქართველ ასპირანტებს ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი პიანისტო ქალი მ. იუდინა. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სადირიჟორო განყოფილებაზე გამოჩენილი რუსი დირიჟორი გაუკი.

თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის აღზრდილებია კომპოზიტორები: რევაზ ლაღიძე, თამარ შვერცაშვილი, ოთარ გორდელი, ალ. შავერცაშვილი, ნ. გუდიამილი, ო. თაქაქიშვილი, ალ. მაჭავარიანი, რ. გაბიაძე. მუსიკათმცოდნეები: გივი ორჯონიკიძე, გულბათ ტორაძე, მინდია ჟორდანიანი, თამარ ხუროშვილი, შ. იაშვილი, ლ. გოგუა. დირიჟორები: ვ. ფალიაშვილი, ჯ. გოციელი. პიანისტები: თ. გოგოლაშვილი, ჯ. ქავთარაძე, თ. ამირჯიები, ა. ფანიამილი, ალ. ვასაძე, ედ. დავლიანიძე და სხვ.

1959-60 წლებში თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის დამატება დაუსრულებელი განყოფილება. დღეს ორივე განყოფილებაზე 14 ასპირანტია. რომ მართლაც მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლოა იგი, ადვილად დაერწმუნებით, თუ გადავხედავთ თეთიფორთ ასპირანტის საქმიანობას. მიზანშეწონილი დავიწროთ საფორტეპიანო განყოფილებით, რადგან უმეტესობა ასპირანტების აქ იყრის თავს.

დღითიდრე მატულობს ფორტეპიანოზე სწავლის მსურველთა ისედაც უამრავი რიცხვი. ამადღა პიანისზმის საშუალო პროფესიული დონე. ჩვენი პიანისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებზე. და მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებიც არ არის მათთვის უცხო. ყინული დამრულია. ქართულმა პიანისზმა მსოფლიოს ამგონ თავისი არსებობა. მაგრამ ეს მხოლოდ ახლადღერ-



კონსერვატორიის ასპირანტები

წილი ნერვია ბრწყინვალე მომავლისა. არასოდეს არ უვლიათ დიდ პიანისტებს გატკეპნილი გზით. არ კმარა ნიჭი, სურვილი, ფიზიკური გამძლეობა — აქ ნებისყოფის მაქსიმალური დაძაბვა, ფანატიზმიცაა საჭირო, რაც ხშირად აკლიათ ჩვენს ასპირანტებს. ჭეშმარიტი ხელოვნება უზომო მსხვერპლია, დიდი პიანისტობა — რწეულთა ხედი.

თბილისის კონსერვატორიის ასპირანტთა ნაწილს სკოლის ასაკიდან ვიწყობთ. აქ იწრთობოდა მათი მომავალი და ჩვენ გვეონდა საშუალება ჯაზადგავა მივყოლოდით ზოგიერთი მათგანის წინსვლას.

მასხენდება მოწაფეობის წლები, ათწლეულის პატარა დარბაზი და რომელიც აკადემიური კონცერტი. კონფერანსიე აცხადებს — რევაზ თავაძე (ვ. შიუკაშვილის კლასი), ბაბის ტოკატა — პროგრამა არ შეეფერება ასაკს. არ ვიცი, ვიგარგბენდი თუ არა მაშინ შემფასებლად, ეს კი ცხადად მასსოვს — პიანისტმა დაატყვევა დარბაზი. შემდეგ კონსერვატორია და მუსიკის უცნობი სფეროები, ასპირანტურა და შემოქმედებითი დამატება.

ყურადღება გავამახვილოთ რევაზ თავაძის ასპირანტურის წლებზე. დავუკვირდეთ მისე საანგარიშო კონცერტების პროგრამას. მისი უდავო გამარჯვება მრავალფეროვანი პროგრამის დაძლევა; მაგრამ ცალკეულ კომპოზიტორთა ძირფესვიანი ათვისება საჭიროებს მათი ფართო რეპერტუარის და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპების გაცნობას. აქედან გამომდინარე, სწორი იყო პიანისტ, როდესაც თავისი სოლო კონცერტები მხოლოდ ბეთოვენს და შოპენს დაუთმო. პირველ კონცერტში ბეთოვენის მე-2, 23-ე და 32-ე სონატებით მან შეცნებულად გააერთიანა კომპოზიტორის შემოქმედების სამივე პერიოდი. ხოლო მეორე რა შოპენის სხვადასხვა ციკლს, ვ. შიუკაშვილის

კლასის კონცენტრზე, პიანისტი შეეცადა გადმოეცა მისი მრავალმხრივობა, მრავალფეროვნება. ამ ორი რთული პროგრამის წარმატებით დაძლევა მეტყველებს თავიანთ კარგ პიანისტურ შესაძლებლობებზე.

გაზეთ „ბიბლიის“ 1961 წლის № 261 დაბეჭდვით სტატია, რომელიც ეტყება რ. თავაძის პირველ საანგარიშო კონცერტს. რეცენზენტი აღნიშნავს: „რეგო თავაძის დაკვირბა გვიჩინავს გულწრფელობა, კომპოზიტორის შინაფიქრისადმი სათუთი დამოკიდებულება, ნაწარმოების ემოციური ქვეტექსტის თავისებურებას განსწავლავს“. რეცენზენტი ყურადღების ცენტრში „აპასიონატას“ და 32-ე სონატას აყენებს. „პიანისტმა, — წერს იგი, —აპასიონატაში მისმენელი მიიზიდა ტემპერამენტით და მეგრძობი სულისკვეთებით, ხლო განზოგადებისკენ მისწრაფება, მისიშეწეოვანი მხატვრული შედეგების მიღწევის უნარი გამოავლინა მან 32-ე სონატაში.

ამას წინათ რეგო თავაძე გვიჩიარებდა ჩაიკოვსკის კონკურსის შთაბეჭდილებებს, აპასიონატა მის თვითონ მოწაწილს. მოულოდნელად ჩაუვრთო — რას ფიქრობ მომავლისათვის, რა გინდა მოამზადო? თუ რას ფიქრობს მომავლისათვის, თავაძემ დუმილით გვიპასუხა. პროგრამა კი, რომელსაც ამზადებს, შემდეგია: ჰაიდნის Es-dur სონატა, შუმანის „კარნავალი“, მოცარტის d-moll კონცერტი და ბარტოკის III საფორტეპიანო კონცერტი.

ბევრი რამ კარგე გვამეჩნია რეგო თავაძის თანაკურსელის, ჯემალ შანშიაშვილის შესახებ, (ა. პ. სკვინიძის კლასი), რომელსაც არაერთხელ გაუხარებია ჩვენი თესიკალური საზოგადოებრიობა ჩინებული საშემსრულებლო თვისებებით. ბევრის ძალა, ფიზიკური მონაცემები, შინაგანი თავდაჭერილობა მისი პიანისტის უპირველესი ფაქტორებია.

შანშიაშვილის ნიჭზე, მის პიანისტურ მონაცემებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ოთარ გორდელის სტატია. იგი მოკლედ განიხილავს მის საანგარიშო კონცერტს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ პიანისტმა ნაწარმოების გასწავლა და ინტუიციური ალღო უფრო ბეთოვენის ნაწარმოებებში გამოავლინა, ვიდრე შუმანის „კარნავალს“ და დებიუსის „სიხარულის კუნძულს“, სადაც სახეები არ იყო ბოლომდე დასრულებული, სრულყოფილი.

შემოქმედებითი მოწიფულობა, საშემსრულებლო და ვირტუოზული ტექნიკის მაღალი დონე, ესტრადულ თავდაჭერის თვისებები მანერა და რაც მთავარია სიმართლე — ასეთია ჯემალ შანშიაშვილის პროფილი ესტრადიდან. და თუ სიმართლე ხანდახან ფერმართალებდა, გაეხსნებოდა, რომ ზოგიერთი ნაწარმოების სრულყოფილი ათვისება დროს და გარკვეული ასაკს მოითხოვს. ჯემალ შანშიაშვილი პერსპექტიული პიანისტი. ჯერ ბოლომდე არ გაწვლიდა მისი შესაძლებლობები და ჩვენ გვაკვს უფლება მეტი მოვიზიხოთ ამ ენერგიული შემოქმედისა.

უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მესამე კურსის ასპირანტებს. ვანდა კახიძე, ედიშერ რუსიშვილს, რომან გორელაშვილს სულ ცოტა ხანში მოუწევთ „საბოლოო ანგარიშის გასწორება“. საინტერესოა, რას მიაღწიეს მათ ამ სამი წლის განმავლობაში. ამ მიზნით შევეცით პატივმცემულ პედაგოგს ემილ გურვიანს — რა შეიძლიათ მიიხზათ ვანდა კახიძის

შესახებ? მხოლოდ კარგი — იყო პასუხი. ვანდა კახიძე დასრულებული პიანისტი. მან კოლისლურად წაიწია წინ ამ წლების განმავლობაში. და აი ფაქტებიც:

1961 წელი. 4 დეკემბერი. ვანდა კახიძემ ჩინებულად ვანართვა თავი ბეთოვენის 33 ვარიაციას (დიაბელის თემაზე) და რამზანიონის მორე სონატას. ფორმის ისტატიური შეგრძნებით ენერგიული შემართებით, მაღალი ხარისხის ბგერით წარსდგა იგი მსმენელთა წინაშე.

კ. ბუაჩიძე დაუცხრომელი, მაძიებელი შემოქმედია. მის ნაწარმოებებში მუდამ შეინიშნება ახალი გამომსახველობითი საშუალებებისა და ფორმების, სტილისა და თავისებური მანერის ძიება. ამის მკაფიო დადასტურებაა „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“, რომელიც ამ თთხიოდე წლის წინათ დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში „ამაზვი სიყვარულისა“ სახელწოდებით. ამ პიესით ავტორმა გაამართლა თეატრალური და ლიტერატურული საზოგადოების იმედი და ჩვენს წინაშე წარმოგდა თანამედროვე კომედიის შექმნის საიმედო ძალა. საერთოდ, კ. ბუაჩიძის დრამატული ნაწერებისათვის უცხოა წამბაძველობა, ვიდაცის მიერ თავის დრო-

ზე ნთქვამის გადამღერება. პიესაში „ამაზვი სიყვარულისა“ გამოყვანილი არიან ოდესღაც, ყმაწვილკაცობით გზას აცდენილი ჭაბუკები. საინტერესო ტიპია, ერთი შეხედვით მეორე ხარისხოვანი მოქმედი პირი, სევარიონ ალონაია, რომელსაც ავტორმა გარკვეული მისია დააკისრა. ეს კაცუნა, წარსულში თანამდებობის პირი იყო და ადამიანთა ბედს განაგებდა. ავტორი როდღ ისახავს მიზნად რაღაც საკაცობრიო ფილოსოფიური იდეები გადაწყვიტოს. იგი უბრალო ადამიანურ მოვლენებსა და განცდებზე ამყარებს მთელ სიუჟეტს და ქმნის დასამახსოვრებელ ხასიათებს. ამიღერებს ქართული ეროვნული კომედიის სფეროს. სწორედ ეს მოსწონს მაყურებელს. პიესა შეუნელებელი ინტერესით იკითხება. ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებთ, ჩაგახედებთ საკუთარ სულში, ზოგჯერ გაგაცინებთ, ხან კი აგაფორიანებთ.

კ. ბუაჩიძის პიესების კრებული ადასტურებს, რომ მისი ავტორის სახით ქართულ დრამატურგიას ჰყავს ამ ყანრის ნიჭიერი ოსტატი.



მ. თუმშალიშვილი შეტეხი

ქ. მექმარიაშვილი

ფელახები ბრუნდებ ი ა ნ
სახლში





ყვავილთა მისალმება



ინგრიდ გენდოლა
„ჰმანეზანი“



მომამაშე და გოგონა — ემი პუცინგერი და ფერდინანდ ლეემანსი

ავსტრიის ბალეტი ყინუღა

ქალიშვილა ცეკვა






ქველი ბენა

ბოშა ბანა, ში





წვილითა ცეკვა ჰელგა პრუზანდი და ვალე ჯორჯი



მისტერ ჩეი

ჩვენნი თანამემამულე კიევის საოპერო სცენაზე

სოლომონ იობაშვილი



ლ. ტყონია — ნორინა, დონიკეტის ოპერა „დონ-პასკუელში“

საოპერო მუსიკის ალბათ ბევრ მოყვარულს ახსოვს ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ლამარა ტყონია. იგი ხომ ამ ორი წლის წინათ მღეროდა ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე. მღეროდა სულ ორ წელს და მიუხედავად ამ მცირე დროისა, მან მრავალი თავყანისმცემელი შეიძინა თავისი ტკბილხმოვანი სიმღერით, მიმზიდველი სცენური სახეების შექმნით. ჩვენი ოპერის სცენაზე ლამარა ტყონიას ყოველი გამოსვლა ახალი დიდი ნაბიჯი იყო მის მომავალ სამემსრულებლო ვოკალური ხელოვნების გზაზე.

ლამარა ტყონია თბილისში დაიბადა. მაგრამ ოჯახის

ბათუმში გადასვლასთან დაკავშირებით პატარა გოგონას საშუალო სკოლის 7 კლასის დამთავრება მოუხდა ბათუმში. სწორედ იმ ზაფხულს ლამარას წყრიალა ხმას მოუსმინა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მიერ წარგზავნილმა პედაგოგებმა კომისიამ, რომელიც სპეციალურად მოგზაურობდა რაიონებში მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოსაცლინებად. მოუსმინა და გადაწყვედა კიდევ მისი თბილისში ჩამოყვანის საკითხი, ხოლო ამით მისი მომავალი ცხოვრების გზაც. იგი ჩაირიცხა თბილისის ნიჭიერთა ათწლეულის სკოლა-ინტერნატში. მისი ვოკალური აღზრდა მიენდო გამოცდილ პედაგოგს ანა გიორჯის ასულ ჩიჯავაძეს.

არც თუ ისე დიდი ხანი დასჭირდა ლამარას, რომ მის შესახებ ელაპარაკათ მუსიკალურ წრეებში. ათწლეულის მერხიდანვე ეზიარა იგი თბილისის საზოგადოების წინაშე კონცერტებით გამოსვლას. მის მიერ მაღალი გემოვნებით შესრულებული რომანსი თუ არია ყოველთვის ხიზლავდა მსმენელს და მათი მჭუხარე ტაში ლამარას მომავალს უკაფავდა. საზოგადოების შეუწყნებელი ინტერესის ქვეშ გაგრძელდა მომღერლის შემდგომი დაოსტატება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იგი მეცადინეობდა ჯერ განსვენებულ პროფესორ ვალერიან ქაშაკაშვილთან, ხოლო შემდგომ გიორგი გოგრიაძესთან. ლამარა ტყონიას ვოკალურ დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აგრეთვე კონცერტმაისტერ რაბილ გლეზერს, „ჩემი ვოკალური კულტურის ამაღლებაზე უანგარო ღვაწლი მიუძღვით გიორგი გოგრიაძეს და რაბილ გლეზერს“ — ყოველთვის აღნიშნავს თავისი პედაგოგების მაღლიერი მომღერალი.

ახალგაზრდა ვოკალისტის შესრულებაში იმთავითვე იგრძნობოდა ბგერის სირბილე, ელასტიურობა, ხალასი გრძნობა, ლამაზი ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ლირიკული სობრანო დიდი შინაგანი მუსიკალობით გამოირჩეოდა.

ლამარა ტყონიამ 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა კონსერვატორია. ამავე წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ახალი დადგმით განხორციელდა ფალაიაშვილის „დაისი“, რომელშიც დებიუტანტად ლამარა ტყონია მოგვევლინა.

გამართლდა მუსიკალურ წრეებში დარბიული აზრი მომღერლის შესახებ, ამ აზრის სიტყვა-სიტყვით იმეორებდა პრესაში გამოქვეყნებული რეცენზია; აი ისიც: „ნამდვილად გაგაახარა ლამარა ტყონიამ. იგი მუსიკა-

ლური ნიჭით დაჯილდოებული, სასიამოვნო ტემპრის ხმის მქონე ახალგაზრდა, მომღერალი ღრმად ჩასწვდა როლს. კარგად აქვს გააზრებული მიზანსწევა. ამ დიდი მონაცემების სახით მაროს საიმედო შემსრულებელი გვყავს“.

„დაისის“ შემდეგ ლამარა ჭყონიამ წარმატებით იმღერა ეთერის ვოკალურად რთული პარტია ფალიაშვილის „ახესლომ და ეთერში“. ამას თან მოსდევდნენ ნინო — დავით თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ და ნინო — ალექსანდრე ბუიას „არსენაში“. მაგრამ მაინც, უფრო მეტად მომღერლის მიერ შესრულებული ეთერის მიმზი-დველი სახე დარჩა ჩვენს მეხსიერებაში. ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა კიდევ: „იშვითი ვახდა ქართული საოპერო მუსიკის უბრწყინვალესი მარგალიტის „ახესლომ და ეთერის“ სპექტაკლები თბილისის ოპერის სცენაზე. საკვირველიც არ არის, ვინაიდან ახესლომის როლის შემსრულებლების სიმღერასთან ერთად, არც ეთერი გვყავს ჭარბად. გერტრუდა შმალცელი და თამარ თაქთაქიშვილია შერჩენ სცენას. ახალი ეთერი კი „დღინა-ცვლის“ პირველი ნოტებიდან დაუფულა დარბაზს. გულიდან ამოხეთქილი, სვედითა და მწუხარებით აღსავსე სიმღერა მომაჯადოებლად შეიჭრა მსმენელთა გრძნობებში“.

და აი, ასეთი სერიოზული წარმატებების ზღვარზე, როცა ახალგაზრდა მომღერლის გამოსვლას ახალი სიხარული მოჰქონდა ჩვენთვის, ლამარა ჭყონიას ცხოვრებაში მოხდა მოულოდნელი ცვლილებები. იგი სტოვეს მშობლიურ კუთხეს, თბილისის საოპერო სცენას და უკრაინაში სახლდება.

1960 წლიდან ლამარა ჭყონიას შესანიშნავი ხმა უკრაინულ ენაზე აქვრდა. აღსანიშნავია, რომ კიკეში თითო-ორიოლა ოპერის გარდა, თითქმის ყველა ოპერა უკრაინულ ენაზე იდგმება და ბუნებრივია, მომღერალი პირველ ხანებში მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა...

უკრაინელი ხალხის ქართველი მომღერლისადმი დიდმა მზრუნველობამ, ხელის შეწყობამ მოკლე დროში გამოიღო ნაყოფი. მან წარმატებით იმღერა ტატიანა ლარინას რთული ვოკალური პარტია.

ამავე წელს კი იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს მოსკოვში უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადში. ქართველმა მომღერალმა 1960 წელსვე ასახელა უკრაინის საოპერო თეატრის კოლექტივი. მათი სახელით წარგზავნილმა ლამარა ჭყონიამ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია გლინკას სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მოსკოვის კონკურსზე, რომელმაც საკავშირო აღიარება ჰპოვა. კიევში დაბრუნებულს გულბოილად ხვდება საზოგადოება. წარმატებით ფრთებშესხმული მომღერალი შესანიშნავად ასრულებს მიქაელას პარტიას ბიზეს „კარამენში“ უკრაინულ ენაზე. მას მოჰყვა ისეთი რთული საოპერო სახეების აღდგენა, როგორცაა: მარგარიტა — ჭუნის „ფაუსტი“, იოლანტა — ჩაიკოვსკის „იოლანტაში“, ნორინა — დონიციეტის „ღონ ასკუალეში“,



ლ. ჭყონია — იოლანტის როლში ოპერა „იოლანტაში“.

ბატერფლაი — ბუჩინის „ჩიო-ჩიო-სანში“. აღსანიშნავია, რომ ლამარა ჭყონიამ ბატერფლაის მიმზიდველი სახე სწორედ ამ ცოტა ხნის წინ განახორციელა, რითაც ფართო მსმენელის გულმხურვალე აღიარება ჰპოვა.

ლამარა ჭყონიას ყოველ გამოსვლას დიდი ინტერესით ეკვება უკრაინელი საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი სპექტაკლის დასასრულს, ოპერის მთავარმა დირიჟორმა სიმეონოვმა მთელი კოლექტივის წინაშე განაცხადა: „ჩვენი საოპერო კოლექტივი ვალდებულია ისე სუფთა დიქციით მღეროდეს მშობლიურ უკრაინულ ენაზე, როგორც ამას ლამარა ჭყონია მღერის“.

და განა მართო კიევის საოპერო თეატრის მეგობრული კოლექტივი მოიხიბლა ლამარას შესანიშნავი ხმით მისდამი თავყვანისცემაზე მეტყველებენ უკრაინული გაზეთების ფურცლებზე გაბნეული რეცენზიები.

„საბჭოთა კულტურაში“ — რეცენზენტი ბარილო აღნიშნავს: „მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქალაქში მღერის ლამარა ჭყონია, მაგრამ კიეველებმა შეიცვარეს ახალგაზრდა მომღერალი, რომელიც მღერის ჩვენი დედამამის საოპერო სცენაზე. მომღერლის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ამ სეზონში. მისი

რეპერტუარი მდიდარია: დელიზის „ბოლორო“, მეიერბერის „პუტენოტები“, ბელინის „ნორმა“, არიები უკრაინული ოპერებიდან, უკრაინული ხალხური სიმღერები და სხვ.

ქართველი მომღერალი ლამარა ჭყონია მთლიანად შევისხლხორცა მისთვის ახალსა და მახლობელ უკრაინას, რომელთანაც დაკავშირებულია მისი შემოქმედებითი მიღწევები“. ან კიდევ: „ხშირად გაიხმის კიციის საოპერო სცენაზე მომღერლის წკრიალა ხმა. თუ ოდესმე დასწრებობათ ჭყონიას გამოსვლას, უეჭველად დაგამასოვრდებათ მისი მეოცნებე ტატიანა, ხელგაშლილი მარგარიტა, მომაჯადოებელი იოლანტა.

კიცივლმა მსმენელებმა გულით შეიყვარეს ახალგაზრდა მომღერალი, რომელსაც ყოველთვის მქუხარე ტაშით ხეგდება დარბაზი“.

კიდევ მრავალი გულთბილად დაწერილი სტრიქონის ამოკითხვა შეგვიძლია უკრაინული გაზეთების ფურცლებზე. ისინი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ჩვენი ნიჭიერი თანამემამულის სცენურ მიღწევებზე.

კითხულობთ ამ სტრიქონებს და უნებლიეთ ქართული ხალხური სხარტულა გახსენდებათ: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“. კარგად მღეროდა ლამარა ქართულად, კარგადვე მღერის უკრაინულად და მაინც მეტი დაფასება საქართველოს გარეთ ხედა წილად. ქების ჯილდოდ კი უკრაინელთა გულწრფელი სიყვარულაც დაიმსახურა.

ამ ზაფხულს ლამარა ჭყონიას თბილისში შეხვდით. როგორც ჩამოსული სტუმარი. ისე ხარბად აფელეგრებდა მშობლიური ქალაქის ძველს, ნაცნობსა და მის აქ არყოფნაში გაშენებულ პარკებსა და ლამაზ ქუჩებს. „მომენტარა რუსთაველის პროსპექტის ხილვა, მისი ჭადრების შრიალი და რაღა დაგიძალო, მშობლიური ჰაერის სუნთქვა“ — დასძინა ღიმილით.

სალამოს კი ლამარა ჭყონიას ვერცხლივით მორაკრაკე, ზოგჯერ მთავარის შუქივით მიზნედილი, ზოგჯერ კი ფართო მარაოსავით გაშლილი მოზეიმე ხმა საქართველოს ტელევიზიაში აჯღერდა. იგი ქართველი ტელემაყურებლების წინაშე წარსდგა მრავალფეროვანი საკონცერტო რეპერტუარით. ერთმანეთს სცვლილდნენ არიები ქართველ, რუს და ევროპულ კომპოზიტორთა საოპერო ნაწარმოებებიდან. მომღერალმა არც მისი მეორე სამშობლო — უკრაინა დაივიწყა. ლამარა ჭყონიამ დიდი გულწრფელობით, ღრმა შინაგანი ემოციურობით შეასრულა უკრაინელი საპოთა კომ-



ჭყონია — ბატყფალი. ოპერა „ჩიო-ჩიო-სანი“

პოზიტორების რომანსები და სიმღერები. „სამწუხარაო, რომ ჩემს ჩამოსვლას დაემთხვა ჩემი მშობლიური კოლექტივის, ზაქარია ფალაიშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები ლენინგრადში. ვინ იცის, კიდეც როდის მომიხდება თბილისში დაბრუნება, მსურდა ერთხელ კიდეც მემღერა ფალაიშვილის უველავი ეთერი, მსურდა ერთხელ კიდეც დამწუხრებულეიყავი იმ სცენაზე, სადაც ჩემი შემოქმედების აკვანი დაირწა, საიდანაც დაიწყო ჩემი სცენური ცხოვრების გზა“...

ილია წინამძღვრიშვილი

დავით ნავდარაშვილი

ქართველმა ხალხმა მიმდინარე წლის სექტემბერში ზეიმით აღნიშნა დიდი მამულიშვილის ილია წინამძღვრის შვილის დაბადების 125 წლისთავი.

ილია წინამძღვრიშვილი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა პლადის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის განვითარების საქმეში. მან, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, თავისი თაოსნობითა და ხარჯით სოფელ წინამძღვრიანთ-კარში დააარსა სამეურნეო სკოლა.

რით გამოიხატებოდა ამ სკოლის უპირატესობა სხვა სკოლებთან შედარებით? იგი პირველი და ერთადერთი სასწავლებელი იყო საქართველოში ეროვნული სულით გამოზარდი და მეურნეობის სხვადასხვა დარგით შეწყვლილი, სადაც, წესდების ძალით, ყველა საკანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ეს სკოლა დიდძალ ახალგაზრდობას იზოლაცდა ამერეთ-იმერეთიდან.

ილია წინამძღვრიშვილი თითქმის 40 წელიწადს იყო სკოლის საქმით ვართული. სკოლა და მოწაფეები იყო მისთვის ყველაფერი, პირადი ცხოვრებით შორს იდგა ყოველგვარი ფუფუნებისაგან. მისი ყოველდღიური შემოსავალი სკოლის საკეთილდღეოდ იხარჯებოდა. წინამძღვრიშვილისეულმა სკოლამ სამეურნეო ცოდნით შეიარაღებული მრავალი სპეციალისტი მისცა ჩვენს ქვეყანას.

* * *

ილია წინამძღვრიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჩვენს ბუბლიცისტურ მწერლობაში. ძველ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი სტატიები, წერილები, ნარკვევები თავისი ღრმა შინაარსით დღესაც იზიდავენ და იპყრობენ მკითხველის ყურადღებას, არ კარგავენ მნიშვნელობას, გვიხიბლავენ აქტუალობითა და მოფიქრების სწორი ასახვა-ანალიზით.

მრავალფეროვანი იყო მისი ბუბლიცისტური ნაწერების თემატიკა. უმთავრესად სოფლის მეურნეობის საკითხებზე წერდა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად ხელოვნების საკითხებზეც ეხებოდა.

1881 წლის 18 ოქტომბრის გავზე "დროებაში" (№ 222), ზორეშან გვერდითელის ფსევდონიმით, ილია წინამძღვრიშვილმა გამოქვეყნა ვრცელი წერილი თეატრის მაღალ დანიშნულებაზე, რომელსაც ეპიგრაფად წამომდგარი ილია ქაჭავაძის სიტყვები:

ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება!

ავტორი ხაზს უსვამს თეატრის დიდ აღმზრდელიობით გულწინა მოზარდ მყურებელზე, ხალხზე... მსახიობთაგან როლებს კარგად შესრულების ღირსებას.

„თეატრის საქმე რომ კეთილად წარმოებდეს, — წერს



ილია წინამძღვრიშვილი

იგი, — საქირთა თეატრის მოხელეთ და აქტიორებს ესმოდეთ მაღალი მნიშვნელობა თეატრისა, იყვნენ ერთობ თანამოაზრნი, ნიჭიერი და ჰქონდეთ ის ცოდნა-განათლება და სიყვარული, რომელთაც მოითხოვს სცენის ხელოვნება, ახსოვდეთ, რომ თეატრი არის სახალხო ტაძარი, სადაც წმინდა სენიდისი, პატიოსნება და მაღალი ღირსება კაცობრიობისა უნდა ბრწყინავდეს, როგორც ლამპარი. ამ საქმის აღალბობა მძიმე ცოდვა და ხალხის ორჯულობაა.

როდესაც ამისთანა მიმართულებაზე და ქუმშარიტებაზე იქმნება თეატრი დამყარებული, როდესაც თვითუბი პირი-აქტიორი თუ აქტრისა თავისი თამაშობით ცოცხლად გადმოსცემს სცენიდან ტანჯვას და მხიარულებას იმ პირისათ, რომელსაც არდევს და თავისი ნიჭიერი მოქმედებით ქველურად შეიპყრობს კაცის ბუნებას, მაშინ ჩვენი საზოგადოების წევრნი გამოფხიზლდებიან იმ გულგრილობიდან, რომელიც ისინი ეხლა თეატრს ექცვიან. მაშინ თეატრი დალითილე მიიზიდავს საზოგადოებას და შემდეგში ის გახდება იმის სულის საზრდოდ. ამ მკვიდრ საპირკველზედ ჩვენი თეატრი აღორძინდება და ექმნება იმას დღებრქელობა“.

ილია წინამძღვრიშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში გავრცელდა ახალი ნეწულება — პატივმოყვარობა, ფუსკავატობა, უპატივისმცემლობა საზოგადო საქმისადმი, გულგრილობა თეატრისადმი და მისთანები, რომელთაც „სასუბედუროდ, ღრმად გაიღვა ჩვენში ფესვი“.

„ღღევანდლამდე ჩვენი თეატრი, — განაგრძობს იგი, — ახალი მოზარდი დაკოტებულ ყმაწვილს მიემსგავსებოდა, მაგრამ ეხლა განათავისუფლდა თავის ნეწულებისაგან. ჩვენს სცენაზე მოქმედებენ ისეთი შესანიშნავი, ნიჭიერი

მოთამაშენი, როგორც საფაროვის ასული, ვაბუნისა ქალი, აბაშიძე, ყვიანნი, მესხი, მესხივე და სხვ. ამთ კარვად ესმოი სცენის საქმე და თავისი თამაშობით მოჰყავთ კაცი აღტაცებაში“.

წერილობა გულდასმით არის გარჩეული 1881 წლის 17 ოქტომბერს ქართულ სტრუქტურაზე წარმოდგენილი დრამა „დაქცეული ოჯახი“ და მასში ასახული ახალი სენა — სუსტი კავშირი მაშინდელი ცოლქმრობისა.

„რამ აატირა ჩვენი ყმაწვილქალოა ლოქეში და პარტრუნი?..“ სვამს კითხვას რეცენზენტს და თვითონ იქვე იძლევა ამის პასუხს: „ამ ატირებულ პირთა სცენამ დაუმტკიცა, აჩვენა ნამდვილად, რომ მაიკომ — ინლო კურცხა-ლაქეს ცოლმა, თავისი გარვენობით, ცრუ მიმართულებით თავისი თავი შეაჩვენა, თავის ქმარს, პატიოსნებით სავსეს, უმზეზოდ ყელი გამოსჭრა, კარგი ქმარი ცუდადგყენილ კაცზედ — კოტე ბღვერაძეზედ გავცეცა, პატარა თავისი შვილი ცუცა ორწყალშუა დააკოლ, შემდეგში იმან შეინა-ნია თავისი ცოლად, დაუბრუნდა ისევ თავის შვილს, ქმარს, ოჯახს, მაგრამ რა სენინდისი ეჩვენა თავის ქმარშვილს?.. უნდა კაცი გაქვავებული იყოს, ამისთანა ბედდურებამ იმის ბუნება არ შეაქვოლოს და არ აატიროს?!“

საფაროვის ასულმა და მესხივამ რამოდენიმე საათის განმავლობაში გამოიარეს ის ტანჯვა, რა ტანჯვაც ყოფილიყვნენ მაიკო და მისი ქმარი. ესეთი თამაშობა ამტკიცებს ნიჭიერებას და ღირსებას აქტიორისას და აქტრისას. შეუდარებელი იყო თავის როლში ყვიანნი და ვაბუნის ქალი“.

დასასრული ავტორი შენიშნავს, რომ თუ მსახიობები ბოლომდე ასე ერთგულად მოეცინდნენ როლებს განსახიერებას, იქნებ საზოგადოებამ თეატრზე აზრი შეიცვალისო.

რუსეთის სამეფო კარის მხატვარი მიხაი ზირი საქართველოში 1881 წელს ჩამოვიდა. მ. ლერმონტოვის „დემონს“ ილუსტრაციებისათვის ტიპებისა და ხედების ჩასახატად. მისმა ჩამოსვლამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომპოზიის ყურადღება მიიპყრო. მათ გამოჩენილ მხატვარს სთხოვეს პოემის დასურათება. მხატვარმა უყოყ-მანოდ მიიღო თხოვნა და შეუდგა შოთა რუსთაველის დიდებული მუხის ილუსტრაციებს.

ზირი შემოაბნა ცოცხალი სურათების დადგმით შეუდგა. მას თბილისში მრავალი დამხმარე და თანაშემწე აღმოუჩნდა ბაბაღ ბარათაშვილის თაოსნობით. ზირის მიერ განხორციელებული ცოცხალი სურათები საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო. ამ პატიოტულ ამბავს გამოეხსნაზარა ილია წინამძღვრიშვილიც, რომელიც 1882 წლის გაზთ „დროების“ № 27-ში აღტაცებით წერდა:

„დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმეჯაროვის სასახლის მხატვარი მ. ზირი, რომელიც განთქმულად როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ თავისი ნიჭითა და ხელოვნებით.“

ვის არ უნახავს მხატვრობა ზირისა „თამარ დედოფალი და დემონი“?

ახლა ზირმა დიდი დეწული დასდო თავის შრომით

საქართველოს: იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა გამოხატა თავის უძველვე „ვეფხისტყაოსანში“.

რამდენიმე საათში ზირმა დაგვანახვა ჩვენ სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“.

ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში მოჩინილი თავის სიღამაზით, ნაზობით და სახის მეტყველებით. ამთ თავისი თვისებთ და ჩაცმად-დახურვით წარმოვედინეს ის ძველი ქართველი ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ მეორმეტე საუკუნეში რუსთაველის დროს.

ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენ ვნახეთ ნს ამა თებერვალს. ბერი სურათები გვიჩვენეს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არ შეედრება-რა. ეტყობა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტრი-მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა-მხატვარმა ზირიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა იმის დიდებული რუსთაველის აზრი და მათ წარმოუდგინა იმის გრძობისა გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“..

ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველისა და იმის შვილების გასაცნობად“.

მეორე წერილში (გაზ. „დროება“ № 30) ილია წინამძღვრიშვილმა წამოაყენა წინადადება მ. ზირის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ დახატული სურათების აღბო. მის სახით ერთ კრებულად დაბეჭდვისა და მისი გაერთელების შესახებ ქართული თეატრის ფონდის გასაძლიერებლად.

„ამ სურათების გადმოხატვა დიდა სასარგებლო იქნება. რადგან ჩვენი სამშობლო სცენა ხელმოკლებულია საშუალებას, იმისთვის სასურველი იქნება, თეატრის თავის შესადგენად, გადმოხატოს ეს სურათები. რამდენიმე ათასი ეგზემპლარი რომ გამოიქცეს, თითო ეგზემპლარს ყველა დაიტაცებს თითო მანეთად. და ამით შესდგება თეატრის ფონდი“.

„დროების“ № 33-ში ი. წინამძღვრიშვილი შევნიშნა ქართული და სომხური თეატრისათვის შესაფერისი ბიჭნის გამოხატვისა და მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საკითხებს.

ჩვენი ერთგული თეატრის აღორძინება-აყვავება ილია წინამძღვრიშვილის მრავალმხრივი მოვლადგომის მუდმივი ზრუნვის სავანს შეადგენდა. უამრავი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმით დაკავებული მამულიშვილი თეატრში დასასწრებლადაც იცხლდა. თავისი ავტორიტეტული სიტყვით მუდამ ხელს უწყობდა სასცენო ხელოვნების განვითარებას.

შოამომავლობა ღირსეულად აფასებს ილია წინამძღვრიშვილის დიდ დამსახურებას სამშობლო ქვეყნის წინაშე და გულწრფელად ბატონს სცემს მის ნათელ ხსოვნას,

ბიორგამი სესიაშვილი

შალვა კვასხვაძე

ვიდრე თბილისში ჩელუსკინელების ხილს ააგებდნენ, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მარჯვენასთან ბორანი აკავშირებდა... დღისითა და ღამით მუშაობდა მეზორენე... სანაპიროზე მაშინ მგზავრები პლენხანოვის პროსპექტიდან ტექნიკური ქუჩით ჩადიოდნენ, ხოლო ვერის მხრიდან — სანაპიროს ქუჩით. ტექნიკური ქუჩა ხალხმრავალი და ენამრავალი იყო. ვის არ ნახავდა კაცი აქ... იყო ფუსფუსი, იღვა ხმაური.

დღეს კი ტექნიკური, ერთი მშენიერ ქუჩათაგანია, საოცრად წყნარი. ძველად ამ ქუჩის მარცხენა მხარეს მდებარე ეზოში, საქართველოს სამხატვრო ფონდის თაბაშირის ქარხანა იყო მოთავსებული...

სწორედ იმ ეზოში, სადაც თაბაშირის ქარხანა იყო, დღემდე ერთი პატარა, შეთეთრებული, დაბალი და ჯარგავალა შენობა დგას. ეს შენობა მხატვრის სახელოსნოა.

ტექნიკური ქუჩის მცხოვრებნი კარგად იცნობენ ამ მხატვარს. თითქმის ყოველდღე ხედავენ ისინი, თუ როგორ გამოდის მსუბუქი მანქანიდან ტანმოჩილი კაცი, რომელიც ხელჯოხს ნელა უნაცვლებს სიარულისას. ხედავენ, როგორ შედის იგი ალყაფში, აღებს სახელოსნოს კარებს... მუშაობს, ქმნის, ფიქრობს... შებინდებისას კი შეასწრებენ თვალს, როცა იგი სახელოსნოდან გამოდის... მეზობლებმა იციან, რომ მთელი დღის შრომით დაღლილი იგი ბინაზე — საბურთალოსზე — ბავლოვის ქუჩაზე მდებარე მხატვართა სახლში ბრუნდება...

შოქანდაკე გიორგი სესიაშვილი მხოლოდ ამ შენობაში ცხოვრობს ნამდვილი, როგორც იტყვიან ხოლმე, საგსე ცხოვრებით.

საგვა გიორგი სესიაშვილის სახელოსნოც — ქანდაკებებით, ესკიზებით, პროექტებით, ნახატებით, ნელღი თიხით, ლითონის ფურცლებზე შესრულებული რელიეფებით, თუნუქისა თუ თითბრის მავთულების ხვეულებით, ავტოგრაფი და კბინის ტექნიკოსისათვის საჭირო ხელსაწყოებით, წიგნებით,

ნადირობა



მიჯინის ამოვლება

პლასტიკინით და სხვა ათასი ისეთი რამით, რაც სესიაშვილს, როგორც მიქანდაკესა და შემოქმედს ყოველდღიურად საჭიროდება.

ამ სახელოსნოში, პატარა დაბალ მაგიდასთან რამდენიმე სკამი და საგარძელები დგას. შესასვლელთან იქვე, თუნუქის ღუმელივით, ზამთრობით შიშველ მოძელს არ უნდა შესცივდეს. თითხის შუაგულში მცირე სამუშაო ადგილია დატოვებული.

ეს სახელოსნო, თავისებური სალონიც არის. იშვიათია ისეთი ქართველი მხატვარი, განსაკუთრებით უფროსი თაობისა, რომელსაც ამ სახელოსნოში ხელოვნებაზე ზაასში საათები არ გაეტარებინოს, არ შემოღამებოდეს. იშვიათია აკადემიის სტუდენტი, რომელსაც ამ სახელოსნოში არ ემუშავოს.

ამ სახელოსნოშია შემქმნილი ყოველივე, რაც კი ჩვენ ოდესმე გვიჩანავს სესიაშვილის სახელთან დაკავშირებული, გამოფენებსა თუ კერძო კოლექციებში.

გიორგი დიმიტრის ძე სესიაშვილი ფართო დიაპაზონის შემოქმედია.

იგი წარმატებით მუშაობს ქანდაკებაში, ნახატსა თუ კერამიკაში. უკანასკნელ წლებში, ჭედვის საქმესაც მოვიდა ხელი, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი შემოქმედება პლასტიკის მცირე ფორმებში. სესიაშვილი ამ დარგშია ნამდვილად ვირტუოზი.

ქანდაკებას თუ კერამიკაში, გრაფიკასა თუ ჭედვით პლასტიკაში მხატვარი გასაოცარი სიმსუბუქით ქმნის და, როგორც



მალის გამოცდა

იტყვიან, თავს ნამდვილად საკუთარ სტიქიაში გრძობს. გიორგი სესიაშვილმა თავისი ცხოვრების გზა სიყრმიდანვე შეგნებულად გამოიზნა, და იმ დიდი შარავნაზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ქართული საბჭოთა ხელოვნების მაკისტრალი, დაწყებული პირველი დღიდანვე, ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მოაბიჯებს.

გიორგი დიმიტრის ძე სესიაშვილი დაიბადა თბილისში, 1893 წელს, გლების საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. მშობლებმა კომერციულ სასწავლებელში მიაბარეს. ისტორიის მასწავლებელ ივანე რატიშვილისაგან გაიგო პირველად გიორგიმ ლეონარდო და-ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელისა და ტიციანის სახელები. ამავე წლებში დაიწყო კითხვა „ვესტნიშნაია ბიბლიოთეკის“ მიერ გამოცემული წიგნებისა — ანტუან ვატოზე, სანდრო ბოტიჩელიზე... გაეცნო „ლიტურაია ენციკლოპედიას“ იაფფასიან გამოცემებს გამოჩენილი მხატვრების შესახებ.

კომერციულ სასწავლებელში გიორგის ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულს უნერგავდა შემდეგში ცნობილი პროფესორი, ირანოლოგი იუსტინე აბულაძე. ჭაბუკი დიდი ინტერესით აკვირდებოდა იმ დროს ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრების რეპროდუქციებს.

1912 წლის შემოდგომაზე გიორგი პარიზს გაემგზავრა. ჯერ შვეიცარიაში — შენევაში ჩავიდა, რათა კარგად დღუფლებოდა ფრანგულს.



ჭარი

შენევაში იგი ერთი ოჯახის დახმარებით სამხატვრო სასწავლებელში შევიდა და პირველად დაიწყო ხატვა თაბაშირის მოდელიდან... მალე კი პარიზს გაემგზავრა. პირველ დღეებს იგი ლუერის, ლუქსემბურგისა და ხელოვნების მუნიციპალურ მუზეუმებში ატარებდა.

გ. სესიაშვილმა თავისი პირველი ნატურიდან ნაძირნი მცირე ზომის ეტიუდ პარიზის ერთ-ერთ სტუდიაში შეასრულა 1912 წლის ბოლოს. სისტემატურად ათვალიერებდა საგანაფხულო და საშემოდგომო სალონების ტრადიციულ გამოფენებს. ასეთ გამოფენაზე ნახა მე-20 საუკუნის კუბისტური ქანდაკებანიც, რის შემდეგაც მოქანდაკეს შინაგანი პოტენტი ალქირა მემარცხენე მხატვრობისადმი.

გიორგის ადრინდელი ნახატები ძირითადად რომანტიკული ხასიათისა იყო, სპორტულ, ანდა ანტიკურ თემებზე. პარიზშიაც განაგრძობდა იგი ამავე სახით მუშაობას.

სამშობლოდან მოშორებულ ჭაბუკს თვალწინ დგა მისი ქვეყნის ბუნება და ხალხი. წარმოსახვაში შექმნილ ფიქსაციას უკეცნობდა, ნახატებში გადაქონდა.

პარიზში ყველაზე მეტად იგი განაცვიფრა ლუერის — „სამოთრაკის ნიკეა“. — დღემდე მისდევს მას ამ ანტიური ქანდაკების უბრწყინვალესი ნიმუშიდან მიღებული შთაბეჭდილება. გააოცა იგი აგრეთვე პარიზის ნოტრდამის ქანდაკებებმა, მისმა ქიშკრებმა, ადამიანის გონების თვალით ხილულმა და ხელებით გამოკვეთილმა.

1914 წლის პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში სესიაშვილი მოსკოვში ჩადა და კომერციულ ინსტიტუტში ეკონომიურ ფაკულტეტზე შედის. ეს მას დროებით ათავისუფლებდა ჯარში გაწვევისაგან. 1914 წელს, მერვე კურსიდან იგი მაინც გაიწვიეს და გიორგი თბილისის სამხედრო სასწავლებელში მოხვდა. ერთი წელი სწავლობდა აქ, მერე კი სათადარიგო ნაწილში გაამწყვდეს.

1917 წლის რევოლუციამ გიორგი გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან. ამ წელს შეხვდა იგი თავის სათაყვანო შემოქმედს. — ქართული ქანდაკების ფუძემდებელს — იაკობ ნიკოლაძეს.

იაკობ ნიკოლაძე, არტისტული ბუნების შემოქმედი და დიდი პატრიოტი, თვითონ დაეძღვა ნიჭიერ ჭაბუკებს. ნიკოლაძემ მიიყვანა სესიაშვილი თავის სახელოსნოში და უთხრა: „აი, ასპარეზი და რაც გინდა ის გააკეთე, იმუშავე“.

1917 წლიდან ვიდრე 1922 წლის მისამდე — საქართველოს სამხატვრო აკადემიის გასწვამდე — სესიაშვილი ნიკოლაძის სახელოსნოში მუშაობდა. 1922 წლის მისში კი თბილისის ახლადგასწილ სამხატვრო აკადემიაში შედის (ამ წელს შევიდნენ აკადემიაში აგრეთვე ელ. ახვლედიანი, მ. ბაგრატიონი, მ. ბილანიშვილი, მ. გოცირიძე, კ. გრძელიშვილი, ფ. ვარლამიშვილი, ვ. ვაჟაძე, ლ. ლომიჯავა, გ. ლევაია, ი. მაღალანია, მ. შამალაძე, ს. ნადარეიშვილი, ვ. პატარიძე, ო. ტოფაძე, აქ. ქუთათელაძე, ვ. ცაგარელი, დ. წერეთელი, ნ. წერეთელი, ლ. წილოსანი, მ. ჩხიკვაძე და სხვ.) და სწავლას ისევ იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში აგრძელებს. პარალელურად სწავლობს ხატვის ე. ვ. ლანსერეს და ი. ა. შარლემანის კლასში.

აკადემიაში სწავლის წლებში ფართოდ მონაწილეობს აკადემიაში მოწყობილ გამოფენებზე, განსაკუთრებით მხატვრული კერამიკით.

აკადემიაში სწავლის პერიოდთან შეიძლება დავასახელოთ ბარელიეფები და სხვა საინტერესო ნამუშევრები— „მათხარაი“, „აჯანყება“, „ოთხ კაცს გადააქვს ქვა“, „მუშა, რომელიც ისვენებს“, „მშოლარე გოგონა“, „პლატეა“, „ქვევრის რეცხვა“, „ქალი ფუთით“ და სხვ.

ამ ნაწარმოებებში, რომლებიც უმეტესად კერამიკის მასალაშია შესრულებული, სესიაშვილი გამორჩეულად, როგორც მცირე ფორმის ქანდაკების ოსტატი და პლასტიკურ მოტივთა კომპოზიტორი.

სტუდენტობის წლებში შექმნილმა ნაწარმოებებმა სესიაშვილს იმთავითვე საპატიო ადგილი მოუპოვა ქართველ სამხრეთთა ხელოვანთა რიგებში. ამ ხანებში მონაწილეობს იგი თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ, ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში (1925 წ.). მისმა პროექტმა მეორე პრემია მიიღო.

სტუდენტობის პერიოდისავე სესიაშვილი ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა: ასწავლის თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ხატვას, ქანდაკებას და პერსპექტივას.

სამხატვრო აკადემიაში მუშაობა ასისტენტის თანამდებობაზე 1935 წელს დაიწყო და პროფესორის წოდებამდე მიაღწია. სხვადასხვა დროს აკადემიაში მას გეგავ ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაც.

გიორგი სესიაშვილი ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი იმ გამოფენათა მიხედვით, რომელიც საქართველოში გამართულა 1922 წლის დღემდე, და რომლებზეც იგი სისტემატურად მონაწილეობს ფიგურული კომპოზიციებით და იჟიათად, მაგრამ მაინც — პორტრეტით.

სესიაშვილი ათამდე დიდი ზომის კომპოზიციის ავტორია. ყველაზე დიდი მათ შორის მეტრიდან ორ მეტრამდე. მხატვარი ხშირად და წარმატებით მუშაობს ბარელიეფებზე.

თემატიკის მხრივ მის ნამუშევრებში ჭარბობს ჟანრული ქანდაკება. გარდა წმინდა პლასტიკური ამოცანებისა, მათში იგი ბრწყინვალედ ძველს ფსიქოლოგიური და ყოფითი დასახსიათების ამოცანებს. მხატვრის თვალს ამჩნევს და გამოჰყოფს სახასიათო მონარისის მხრივ, მხატვრულსა და მეტყველს — პლასტიკის მხრივ. ჩვენში თითქმის არ შეიძლება მორე იხეთ მხატვრის დასახელება, რომელიც ასე მოხერხებულად და სახასიათოდ ფლობდეს ჟანრული კომპოზიციის მცირე ფორმებს.

სესიაშვილი მოძრაობის მეთობება პლასტიკაში. მას ინტერესებს დაამაინათა და მათთვის დამახასიათებელ მოძრაობათა მხატვრული გახსნა.

ასეთი ამოცანებისა გადაჭრილი ნაწარმოებებში: „იმედალორევი“ (პორტრეტი), „ქვევრის მრეცხავი“ (მოჭედილი კერამიკა), „ტრამბანი გოგონა“ (ტერაკოტა), „ქალი ფუთით“ (ტერაკოტა), „დედა შვილს ტუქუს აწოვებს“ (მოჭედილი კერამიკა), „მოშველი ქალი“ (ტერაკოტა), „მოხანათა ამოვლება“ (ტერაკოტა), „ფეხბურთელი“, „ქალი, რომელიც ისვენებს“ (ტერაკოტა), „ნადირთა“ (კერამიკული, რელიეფური პანო, აღდგენილი ჭიქური) და სხვ.



ვ. ციციშვილის პორტრეტი

როგორც დასახელებულ, იხე სხვა ნამუშევრებში სესიაშვილი გვევლინება ადამიანის სხეულის პლასტიკის ღრმად მცოდნედ. მან იცის მოძრაობის ყადრი, მისი მხატვრული გამოხატვისათვის ძალის მნიშვნელობა და მას კარგადაც გადმოსცემს.

ვ. სესიაშვილი ქართული სკულპტურული პორტრეტის დაკვირვებულ ოსტატია. იგი ამ ჟანრში ერთნაირი ძალით ფლობს ბარელიეფსა თუ მრგვალ ქანდაკებას.

პორტრეტზე სესიაშვილმა შედარებით გვიან დაიწყო მუშაობა და შექმნა ლ. კეცხოველის (1931 წ.), მხატვარ შ. მამაძის (1933 წ.), ვ. ი. ლენინის (1936 წ.), შოთა რუსთაველის (1937 წ.), ლ. კეცხოველის (1937-38 წ.წ.), არქიტექტორ თ. ტატაროვას (1942 წ.) და სხვათა საინტერესო პორტრეტები.

ვ. სესიაშვილის ნაწარმოებთათვის დამახასიათებელია აზრის სიღრმე და მოძრაობის ბუნებრივი და ძალდაუტანებელი გააზრება. ქანდაკებისა და კერამიკის გარდა, იგი წარმატებით მუშაობს გრაფიკული ნახატის სფეროშიაც.

ვ. სესიაშვილი, ასაკის მიუხედავად, დღესაც დიდი შემოქმედებითი შთაგონებით და დაუცხრომლად შრომობს, ქმნის, ახალ-ახალ ამოცანებს ისახავს. შეუჩინებელი ენერგიით მოღვაწეობს იგი როგორც პედაგოგიც.



შოთა შანიძე—კელაგობი და ზემსრულებელი

ნიკოლოზ ჭიაურელი



შოთა შანიძე

შოთა შანიძეს ფართო საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ვიოლინოს ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მისი მოღვაწეობა მარტოოდენ პედაგოგიური მუშაობით არ განისაზღვრება. იგი არა მარტო გამოცდილი ანსამბლისტი, ორკესტრანტი და სოლისტი, არამედ ეწევა მეტად ნაყოფიერ მუშაობას ქართული სავიოლინო ლიტერატურის გამდიდრების საქმეში და ბოლოს, თვით ვიოლინოს აღნაგობის გაუმჯობესება-სრულყოფაშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ღვაწლი შეუძღვის.

ცხადია, არც თუ ისე ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე (იგი დაიბადა 1916 წელს), ცნობენ მრავალმხრივი მუშაობის ნაყოფიერება მარტოდენ მის თანდაყოლილ ნიჭიერებას არ უნდა მიეწეროს. იგი შედეგად სანიმუშო შრომისუნარიანობისა და დისციპლინისა, რომელიც ბავშვობიდანვე შეაყენებდა დომენტი შანიძის ტრადიციულ მუსიკალურ ოჯახში. აქვე, მშობლების დახმარებით, იგი ჯერ ხალხურ სიმღერებს ეცნობა, ხოლო სულ მალე, მუსიკის სიყვარულმა სამუსიკო სკოლის ვიოლინოს კლასში მიიყვანა და ბოლოს, მამის ხელმძღვანელობით, ყალიბდება ძმების სერგო, შოთა, ვახტანგ და კოტე შანიძეების კვარტეტი.

მკაცრმა შრომითმა დისციპლინამ, მუსიკის სიყვარულმა და ნიჭიერებამ შანიძეების კვარტეტი ჯერ კიდევ სწავლის წლებში ფართო საყოცნეტო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიყვანა. მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, ამ მხატვრულმა კოლექტივმა გარკვეული როლი შეასრულა ჩვენში საკვარტეტო ხელოვნების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში, ისევე მის გარეთ. სამუშაოთი, 1941-45 წწ. დიდმა სახალხო ომმა სამუდამოდ შეწყვიტა ძმები შანიძეების კვარტეტის არსებობა, ხოლო შოთა შანიძე იქ დრო-

ებით მოწვევით საყვარელ საქმეს. სამშობლოს წინაშე ვალდობილი მუსიკოსი 1946 წელს კვლავ უბრუნდება თავის სპეციალობას და, მიუხედავად დიდი ინტერვალისა, ახალგაზრდა მუსიკოსმა ჩვეული და თავდადებული შრომით მოკვლევით აღადგინა თავისი ადრინდელი პროფესიული დონე და ჩინებული პედაგოგის სახელი მოიხვეჭა. შოთა შანიძემ, როგორც დიდი პედაგოგიური ნიჭის მქონე მუსიკოსმა, ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მუშაობის დაწყებისას. შემდგომ იგი 1948 წელს მიწვეულ იქნა გ. საჩავაძევილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც დღემდე წარჩინებით მუშაობს.

შ. შანიძეს ბევრი მოწაფე გამოუზრდია სკოლისა და სასწავლებლის ფარგლებში. კონსერვატორიის ბევრი სტუდენტი დაუყენებია პროფესიონალიზმის მყარ ნიადაგზე. რთულია პედაგოგის მუშაობა, საერთოდ, მით უმეტეს — ხელოვნების დარგში. ზოგჯერ ნიჭიერი ახალგაზრდა ამა თუ იმ მიზნის გამო სცდება მუშაობის მართებულ გზას და ამიტომ ვერ ამართლებს მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებულ შრომას. მაგრამ შოთა შანიძე დაუღალავად და უშრეტოდ ინტენსივად მუშაობს როგორც ნიჭიერ, ისევე საშუალო მონაცემების მქონე ახალგაზრდებთან. მან იცის, რომ კეთილსინდისიერი, სისტემატური შრომა გამოიწვევს ნაყოფს. მის პედაგოგიურ ნიჭსა და შრომისუნარიანობას უნდა მივაყვართ ისეთი საიმედო ახალგაზრდა სამეცნიერო-ღებლო ძალების გამოზრდა, როგორიც არიან: ამირკაკა-სისის რესპუბლიკების მუსიკოს-შემსრულებელთა კონსერვის ლაურეატი (I პრემია) როდამ ჯანდიერი და ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ფესტივალის დიპლომანტიები თამაზ ბათიაშვილი და მარკა შმუცლერი.

პედაგოგიური მუშაობისთან არის დაკავშირებული შოთა შანიძის შემოქმედებითი ცდებიც. შანიძე ის პირველთაგანია, რომელმაც ხალხური სიმღერებისა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების სათანადო დამუშავებით მცირე ფორმის საბავშვო ნაწარმოებები შექმნა. მისმა კრებულმა ფართო გამოყენება ჰპოვა პედაგოგიურ პრაქტიკაში და ამიტომ შემზობვევითი არ არის, რომ იგი შესწორებული და გაფართოებული სახით ხელმოკრულ იქნებოდა ქ. მოსკოვში გამოშვებულმა „საბჭოთა კომპოზიტორის“ მიერ.

ფრიად საყურადღებოა, რომ შ. შანიძე თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში ყოველთვის ისწრაფვის მომავალ მუსიკოსში გამოიმუშავოს პროფესიული საშემსრულებლო ჩვევები. იგი მოსწავლე ახალგაზრდობას თავიდანვე აჩვენებს, როგორც სოლო-საკონცერტო, ისე საანსამბლო ხე-

ლოცვებს. ამიტომაც, რომ მის ტრანსკრიპციებში, რომლებზეც განკუთვნილი არიან მოზარდი თაობისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი საანამბლო რეპერტუარსაც უჭირავს. მაგრამ შ. შანიძის ამ ტრანსკრიპციებს მართკ ვიწრო აღმზრდელითი მნიშვნელობა არა აქვთ. მათში შესანიშნავად არის შერწყმული მუსიკის მხატვრული ღირსებანი ვიოლინოს სპეციფიკურ მხარეებთან. ამ მხრივ გამოირჩევა კომპ. ალ. მაჭუარიანის სავიოლინო პიესის „დოლურისა“ და კომპ. ზ. კვერანძის საფორტეპიანო პიესის „მუსიკალური მომენტის“ ტრანსკრიპციები ვიოლინოების ანსამბლისათვის, „ფანტაზია“ ზ. ფალიაშვილის ოპერების თემაზე ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და სხვ. ამ ნაწარმოებებმა მჭიდროდ დაიმკვიდრეს ადგილი არა მარტო სასწავლო, არამედ საკონცერტო პროგრამებში.

აქვე უნდა აღინიშნოს შ. შანიძის ის ძიებანი, რომლებზეც ვიოლინოს აღნაგობის სრულყოფის მიმართულებით არის წარმართული. მის მიერ გაუმჯობესებული ვიოლინოს ბალიში ბევრად უწყობს ხელს შემსრულებელს და, მით უმეტეს — მოსწავლეს ამ საკრავის მოხერხებით დატერაში, რაც ესოდენ დიდ სიძნელედ ეღობებოდა მუსიკოსებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შ. შანიძის ამ გამოკვლევებმა სწრაფი გავრცელება ჰპოვა ცხოვრებაში.

ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულ მრავალმხრივ და შრომატევად მუშაობასთან ერთად შ. შანიძე დღემდე სისტემატურად იწევა საკონცერტო მოღვაწეობასაც, თავისთავად მეტყველებს მის დიდ შრომისუნარიანობაზე და ნაყოფიერებაზე.

ჯერ კიდევ 1946 წელს გვიც სვანიძესთან (ფ-ნო) და ოტტე შანიძესთან (ჩელო) ერთად, საქ. ფილარმონიისთან

შ. შანიძის მონაწილეობით ყალიბდება ტრიო, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენში კამერული მუსიკალური კულტურის დანერგვა-განვითარების საქმეს. აქედან მოყოლებული შ. შანიძე, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, განუწყვეტლოდ მუშაობს თავის-თავზე, როგორც შემსრულებელი, და ყოველწლიურად გამოდის ფართო საზოგადოების წინაშე თავისი შემოქმედებითი ანგარიშით.

ამჯერადაც შ. შანიძემ კონსერვატორიის პედაგოგ მ. გ. ხოჯაშიროვასთან (ფ-ნო) ერთად მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა სასონატო საღამო მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროგრამით (ბეთოვენი, შუშანი, ბრამსი).

აქ ჩვენ არ შევუდგებით შესრულებულ ნაწარმოებთა დეტალურ განხილვას, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულმა კონცერტებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ის მჭიდრო კავშირი, რომელიც მკაფიოდ შეინიშნებოდა მის პედაგოგიურ მუშაობასა და სამემსრულებლო სტილს შორის. აქ, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვეცემა აკადემიური საწყისი — ყოველი მოძრაობა და სამემსრულებლო საშუალება, თვით საესტრადო ქცევაც კი, რომელიც ძალიან ხშირად მცდარ შთაბეჭდილებას ტოვებს გამოუცდიელ მსმენელზე, გამიზნულია და დაქვემდებარებული მხატვრული შთანთქმისადმი. ყოველივე ეს კარგ მაგალითს წარმოადგენს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.


შ. შანიძის ნაყოფიერი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა — იგი ღირსეულად იქნა დაფასებული და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1958 წ. დაჯილდოებულ იქნა საბატო ნიშნის ორდენით, ხლო 1962 წელს მას მიენიჭა საქ. სსრ დამსახ. არტისტის საბატო წოდება.

შ. შანიძე თავის მოწაფეებთან მეკლანძინობის დროს





უჩა ჯაფარიძე სახელოსნოში



რამელი ქალი

ი. გამრეკელი



მხატვრის სახელოსნოში

უზკალო ადამიანი

ნიკოლოზ კვეციანი

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ღვაწლი მიუძღვით ქართული ხალხური თვითმომქმედების განვითარებაში. მათ შესახებ თითქმის არსად არაფერი დაწერილა, მაგრამ მათ თვით ცხოვრება მოიხსენიებს ხოლმე. სწორედ ასეთია რიცხვს გუთვნის ჩემი სტუდენტობის ერთ-ერთი მეგობარი, რომლის შესახებაც მიიდა მოგონებები.

კინოთეატრის დარბაზში ვსივართ და ვუკეპრით ფერად ფილმს „მსოფლიო ტაშს უკრავს“. გვერდით მჯდომ მეგობარს გადავხედე. ცრემლი შევნიშნე თვალებზე.

— რა მოგივიდა მეტი, — ვკითხე. — პასუხი დამიგვიანა. ფილმის დამთავრების შემდეგ კი მითხრა:

— ეს სიხარულის ცრემლებია. როდესაც ჩვენი ცკეკების ამ ტრიუმფს ვხედავ, მაგონდება შოგველი წარსული. რამდენი რამ გაკეთდა ამ შეუდარებელი გამარჯვებისათვის. ქართველმა ჰაბუკებმა და ქალიშვილებმა ცკევით მოიარეს მსოფლიო. მათმა თვალწარმტაცმა ჩაცმულობამ, საცეკვაო მუსიკამ, ცეკვამ ევროპის, აზიის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ხალხების გული მოინადირეს. ეს სურათი ყველამ უნდა ნახოს, პირველ რიგში კი — თვითმომქმედმა კოლექტივებმა, და არა მარტო ნახოს, უნდა შეისწავლონ კიდევ. მე არასოდეს მომწყინდება ამ ფილმის ცქერა“.

ეს სიტყვები ვეუთვნის ვალიკო გოლაძეს, ხალხური თვითმომქმედების ერთ-ერთ მუშაკს. წარმოშობით იგი ზესტაფონელია, მამა მისი — სტეფანე გოლაძე კი ლეზხუმიდანაა, ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაშიდან. ყოფილი მწყემსი, მოჯამაგირე, შემდგომ კი ფოტორაფი, ბოლშევიკ-რევოლუციონერი, წითელი პარტიზანელი... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სტეფანე მენშევიკების მიერ მრავალგზის იყო რეპრესირებული რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ოჯახში დარჩენილ სამ პატარა ბავშვს კი დედა — ეკატერინე კიკნაძე ზრდიდა გატირვებასა და სიღატაკეში. ახლაც იხსენიებს ვალიკო: „ბავშვობისას ბევრჯერ მთელი დღე მარტო ომბალთი შეკაზმულ ტყემალზე — უმჭიდროდ გადამივლია. ნათესავ-მეზობლები თავს გვარიდებდნენ, ეშინოდათ ბოლშევიკის ოჯახია და ჩვენც დაგიჭერნო“...

დაიწყო ახალი ცხოვრება. თავისუფლების მშვე ამოანათა საქართველოში. ვალიკო სწავლასთან ერთად მუშაობს ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაცია „პარტკაში“. სკოლაში ბიონერულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, მუშაობს მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარედ, კომკავშირის უჯრედის მდივნად, რედაქტორობს კედლის გაზეთს და სხვ.

1924 წელს ვალიკო, როგორც კომკავშირელი აქტიური მონაწილეობასღებულობდა მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლაში ცალკეული დავალებათა შესრულებაში.

1927 წელს ზესტაფონის კომკავშირის ორგანიზაცია ვალიკოს თბილისში ამირეჯავასის კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაზავნის, ხოლო 1929 წელს იგი გადადის მოსკოვში სვერდლოვის სახელობის საკავშირო კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელსაც 1932 წელს ამთავრებს. იმ



ვალერიან გოლაძე

ხანებში ვალიკო სწავლასთან ერთად მუშაობდა ქარხანაში ხარატად, შრომის სასახლეში ბიონერული რაზმის ხელმძღვანელად, გაზეთ „ტრუდის“ რედაქციაში და სხვ. იგი ენერჯული და გულისხმიერია. ახლაც ბევრი იგონებს მის მზრუნველობას და დახმარებას მოსკოვში.

ვალიკო თავიდანვე გატაცებული იყო ხალხური შემოქმედებით. დასვენების დღეებში ჩოხაში გამოეწყობოდა, ქართველ ბიჭებს ჩაშოუვლიდა და წაეცივანდა ბაღებსა და პარკებში. ღია კის ქვეშ სიმღერას წამოიწყებდით, ცეკვებს ემართავდით... შემდეგ იმდენი იძალა, მოსკოვში ქართული თვითმომქმედების ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. მასსთვის, ჩვენთან ერთად იყვნენ: ვალიკო ალავეძე (ამჟამად კინოდოქუმენტალისტი), ალექსანდრეანი (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), შალვა მდივანი (თადარიგის პოლიკონიკი), ვიქტორ მჭედელი (სვერდლის თეატრის რეჟისორი), შოთა დამანიძე (პოდპოლკოვნიკი), ოთარ დამანიძე (ინჟინერი), სვეტიან ჯალალანია (სამეურნეო მუშაკი), გოგი თულაშვილი (ინჟინერი) და ქართველი გოგონა ეთერ კალმახელიძე, ზოგიერთი — გოგი მამუჩაშვილი, გრიშა



ცეკვა „ლეკერი“ გოლაძისა და აბაშიას შესრულებით

მშვენიერად, ბესო სილაგაძე ცოცხლები აღარ არიან. ანსამბლი იყო სერგო ჩიტქე (ამჟამად ბულალტერ-რევიზორი), ახოვანი, ლამაზი ქართული ვაჟაკი, ენამწიწრებული, დახელოვნებული თამადა, მუდამ სიმღერისა და ცეკვის წამომწყები. იგი ჩვენი ახალგაზრდობის კარგი დამრიგებელი და გზის მარეგნებელიც იყო.

იმ ხანად ჩოხები არც ასე ადვილი საშოგარი იყო და ენათზორობით ქართველებისაგან, ქილებს თვითონ ვაკეთებდით ხისაგან და ბჭყვილა ქალღღს ვაკრავდით თავში, „აზიაკებისა“ და ქუდეების შონვა კი ძალზე გვიჭირდა, ძლივს ვიშოვეთ დოღ-გარმონი, თვინაყვითი დუდუკები. მცირედი პროგრამით გასართობ ადგილურში გამოვიდილით, ერთხელ კინოთეატრ „ერმიტაჟის“ ესტრადაზე გამოვედი, შემდგომ მოსკოვის გარეუბნის პარკებსა და კლუბებში — ზაგორსკში, კლიაზმაში, ბუკინინოში, მოსკოვის ფრუნჯეს სახელობის ქარხანაში (სადაც ვალიკო მუშაობდა) კომპაგირის საღამოზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმოქმედი „ანსამბლი“ ოფიციალურად რომელიმე ორგანიზაციასთან არ იყო ჩამოყალიბებული და რეპეტიციები შემთხვევით ტარდებოდა, იგი თავისი პროგრამით მაინც მაყურებელთა ემპათიულობას იწვევდა და წარმატებას ჰქონდა. „მოსკოვი ვალიკოს „ეზრეკუიას“

სსკ გმირის მოლოკოვის სახელობის კლუბის ანსამბლი



ეძახდნენ — გინდა თუ არ გინდა, ძალით წავიყვანდა სადმე, უარიც რომ გეთქვა, მაინც არ მოვეშვებოდა, დასვენებისა და დღესასწაულის დღეებში შორაპნის მარხასავით გვატარებდა“, — იგონებს ერთი მოსკოველი ახსანავი.

1935-37 წლებში ვალიკოს ცხოვრება და მუშაობა მოუხდა კომი ასსრ, ტრიოცო-პეჩორსკის რაიონში, პოკაში. მან აქვე შექმნა ამჟერად ქართული ცეკვის საბავშვო ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ეროვნების — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ტჯიკი, ესტონელი, ლატვიელი, ეზრაციელი და სერბიელი ბავშვები. შორეული ჩრდილოეთის მრავალ სკოლასა და სოფელში ყველგან გამოდიოდა საბავშვო აღმოსავლური ანსამბლი და მოწონებას იმსახურებდა, განსაკუთრებით ემპათიული იყვნენ მშობლები თავიანთი ბავშვების მონაწილეობით ნაციონალურ ანსამბლში და ყოველმხრივ ესმარებდნენ. მალე ვალიკო კომიდან რიანაში გადმოსახლდა. მან აქვე მოძებნა და შემოიკრიბა ანსამბლისათვის საჭირო აღმინაზები. აქვე აღმოჩნდა სვეტიან აბაშიას (ქართული ღვინის მაღაზიის გამგე) ოჯახი. სვეტიანე ნიწულს გადაცალკეული კაცი იყო, მუდამ ჩოხას ატარებდა, კარგადაც ცეკვავდა. მისი მეუღლე — ევატერინე მანდლიანაზე უკრავდა და მღეროდა, უფროსი ვაჟი შოთა დოღზე ჩინებულად უკრავდა და ანსამბლის პირველი მოცეკვავე იყო. მეორე ვაჟი აღიოზა და ქალშვილი გულნარა — საუკეთესო მოცეკვავე-მოსიმღერნი იყვნენ. შოინასა ქართველი სტუდენტებიც: გრმა ბახტაძე (შემდგომ საბჭოთა კავშირის გმირი), სერგო კვაჭაძე (მასხიობი), ია გობრონიძე (სამეურნეო მუშაკი), შალვა ბენდიანიშვილი; აკპეროვი, სალომეო, სტუდენტები — არმო მიროსოვი, ვასილეი, აჭარელი თევრათ ტაბიძე და სხვ.

ანსამბლი შემოემატა რიანანის მცხოვრები ასალაზრდობა, ორმოცამდე მონაწილე შეიკრიბა. ვალიკო იგონებს: რიანაში ქართული ტანსაცმელი არ იშვებოდა, დიდის ვაი-ვაგლებით შევეკრეთ უბრალო ჩოხები და კაბები, ქსივილისაგან „უძირკობი“, როგორც იქნა შევიმოსეთ. საკრავებიც გვეკონდა — დოლი, თარი, ქართული დაირა, გარმონი, სალმური... უჭირდათ არაქართვლებს ქართული სიმღერების ტექსტების დასწავლა, მათი შესრულება აქენცტის გარეშე.

მართალია, ანსამბლის პროგრამა, ჩაცმულობა, საკრავები და მუსიკა უბრალო იყო, მაგრამ იმ პერიოდში თვითმოქმედი კოლექტივის მოთხოვნას აკმაყოფილებდა: აი ანსამბლის პროგრამა: სიმღერები — სულიკო, ციციანთაულა, ასენა ჯორჯიაშვილი, საკოლმეურნეო, ჩობანი, ეიხაბერი (სომხური) უღა-დალარ (აზერბაიჯანული), ცეკვები — ქართული, ბალდადური, კინტორი, ხორეში, მოხვეური, მთიულური, უზუნდარა, ოსური, ქიარჩი, ჯგუფური — იმერული და სხვ. თვით ვ. გოლაძე ასრულებდა ცეკვა ბალდადურს ბოთლით თავზე. ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მონდომებულნი იყვნენ და საერთო საქმეც წინ მიდიოდა — ანსამბლი უფრო იზრდებოდა და პროგრამაც ფართოვდებოდა.

ანსამბლი ვალიკო გოლაძის ზემოქმედანელით ხშირად გამოდიოდა რიანანის კლუბებში, კინოთეატრების ესტრადაზე, სადღესასწაულო დემონსტრაციებზე. ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა ფოტოსურათები და წერილები ანსამბლის შესახებ.

1940 წელს კომკავშირულმა ორგანიზაციამ გამართა სახალ-
წლო ბალ-მასკარადი, სადაც მოიწვია ქართული ანსამბლიც.
შემდგომ კი გახსოვს „სტალინიევი“ საკონცერტო განყოფილე-
ბის შესახებ წერდა: „Концерт открыл массовый во-
сточный ансамбль под управлением тов. Голадзе.
Ансамбль исполнил грузинские песни, танцы и
пляски“. (№ 5. 10.I 1940.)

მკვლევარები ქართულმა თეიმომქმედმა ანსამბლმა პა-
ტივისცემა და სიყვარული დაიმსახურა რიაზანელთა შორის.

მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი ჩვენი სტუდენტური
ცხოვრებიდან: მოსკოვი. 1933 წელია, მეტად ცივა, ყინვაა.
ვალიკო ჩემთან მოვიდა, იძულებით წამიყვანა, სხვა ქართვე-
ლებსაც დაურევია, ზოგსაც ჩვენ ჩამოვუარეთ და რამდენიმე
ბიჭს მოუყარა თავი. მალე სვერნის სადგურზე ვიყავით, გვიცი-
ოდა, გათოშინდი ვბტოდიო, ერთმანეთს „ეკვიდავებოდით“.
ჩავედით პუშკინოში, იქიდან კი დასახლება ივანტევკაში, სა-
დაც ვალიკო სამხატვრო-სასწავლო პუნქტის პოლიტ-კომის-
რად მუშაობდა. კლუბში მსმენელთა გამოშვებისადმი მიძღ-
ვნილი საღამო-კონცერტი ყოფილა დანიშნული. გავედით სვე-
რნზე, შემოვაძახეთ ქართული სიმღერები, ასმურდა დოლი,
გაისმა ტაში, ცვეკვები გავაჩაღეთ...

ვინ იცის რამდენი ექსპროზიტი კონცერტი ჩაუტარებია ვა-
ლიკოს, ჩვენ კი მოსვენება არ გვაძლევდა, სად არ მივაყვავით.
მოუხუცებარი ადამიანი და ხალხური თეიმომქმედების დაუ-
ცნორობანი ენთუზიასტი იყო.

1940 წლის ბოლოს ვალიკო კვლავ მოსკოვშია, ლენინის
რაიონის სოფელ მოლოკოვოში კლუბის დირექტორად. ეს
სოფელიც და კლუბიც ვასილ სერგის ძე მოლოკოვის—ჩაღუს-
კინელთა სახელობის ცნობილი მფრინავის, საბჭოთა კავშირის
გმირის სახელს ატარებდა. იგი ხშირად ჩამოდიოდა სოფელში
და კლუბის საპატიო სტუმარი იყო ხოლმე, ვალიკომ დიდალმი
აქტივი შემოიკრიბა: მოსწავლეები, პედაგოგები, კოლმეურნე-
ობიდან ხალხური შემოქმედების ცალკეული ტალანტები და
შექმნა ქართული სიმღერისა და ცვეკვის ანსამბლი. იხსანად ან-
სამბლში არც ერთი ქართველი არ იყო. ძნელი იყო ქართული
სიმღერების შესწავლა არაქართველთათვის, გაჭირდა ანსამ-
ბლის შემოსვა ქართული ტანსაცმელით. ვალიკო თავად ჭრიდა
თარგებს, გოგოებმა გაბეზო შეკერეს, კოლმეურნეობის სადურ-
გლო სახელოსნოში ხის ხანჯლებად მასრებიც დაამზადეს.
მაგრამ მუსიკა! აბა, ქართული ცვეკვები შეიძლება მუსიკის
გარეშე? ვალიკომ დოლი მოსკოვიდან ჩამოიტანა და მედო-
ლის მოვალეობას ასრულებდა. სკოლის დირექტორი ირინა
ტიმოფეევნა პიანინოზე უკრავდა. როგორც იყო, საცვეკვაო
მოტივიები ააწყვეს და მალე ანსამბლი მზად იყო გამოსასვლე-
ლად. ვალიკო იხსენებს პირველ გამოსვლას: „ადაცატებამი მო-
ვიდა თვით მოლოკოვი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე პუ-
შანსკი, პედაგოგები და კოლმეურნეები, როდესაც ანსამბლი
წარსდგა მაყურებლის წინაშე. პირველად სტუმრად ჩამოსუ-
ლი ეგონათ ქართულ ფორმაში გამოწყობილი ანსამბლი, მაგ-
რამ რა ნახეს თავიანთი სოფელი ახალგაზრდები და ბავშვე-
ბი, განცვიფრებულნი დარჩნენ. სენსაცია იყო, როდესაც უკრა-
ინული გოპაკის შემდეგ იგივე მოცეკვავე ჩიხთი შემოსილი
ცეცსლოვან ცვეკვს — მთიულურს შესასრულებდა...



ქართული ანსამბლის ერთი ჯგუფი ვოლკის ხელმძღვანელობით

მოლოკოველებს ძალზე შეუყვარდათ ქართული ანსამბლი,
მიეღო რაიონს მიეღო ამავე მიხი კონცერტების შესახებ. ან-
სამბლი გამოდიოდა საკოლმეურნეო მინდვრებზე, ღია ცის
ქვეშ, კლუბებსა თუ თეატრებში. ვალიკოს საცხოვრებელი ბინა
კლუბშივე ჰქონდა, სისტემატურად ატარებდა რეპეტიციებს.
გარდა ანსამბლისა მან აქ ჩამოაყალიბა დრამატული, ლიტე-
რატურული თეიმომქმედი წრეები, შექმნა აგიტ-მხატვრული
ბრიგადა, საგანგებოდ მოაწყო კლუბის შენობა.
ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ აი, დადგა 1941
წლის ივნისი, ანსამბლი სასაფხულო ბანაკებში გამოდიოდა,
როდესაც დაიწყო დიდი სამამულო ომი. სულ ახლოს მტრის
ბომბები სკდებოდა. ვალიკო გამოემშვიდობა კლუბს, ანსამბლს,
მოლოკოველებს და სხვებთან ერთად ფრონტს მიმავრა.

რიაზანის ქალაქეპკორობის ადგილობრივი არსებული
ფილოსოფიური ანსამბლი





ქართული ანსამბლი რიაზანის თვითმომქმედების
საქალაქო ოლმობიდან

ფრონტიდან ვალიკო დაბრუნდა მრავალი წლის უნახავ
საქართველოში, კონტუზირებული და დაჭრილი, სწრაფი
ჯილდოებით. მეკრანლობის შემდეგ გააწესეს სამხედრო კომი-
სარიატი სამედიცინო. ომის დარჩენილი წლები მან სამხედრო
საქმეს მიანდო... მალე სამამულო ომიც საბჭოთა სახლის
გამარჯვებით დამთავრდა და იგი კვლავ კულტურულ-საგან-
მანათლებლო დარგს დაუბრუნდა — თბილისის გარეუბნის
რაიონის დიდი ლილოს სარაიონო კულტურის სახლის დი-
რექტორად დანიშნეს, სადაც ხუთი წელი დაჰყო.

ბევრი რამ გააკეთა ვალიკომ დიდი ლილოს სარაიონო
კულტსახლში. აღადგინა თვითმომქმედი წრეები, დააარსა სიმ-
ღერისა და ცეკვის ანსამბლი 100 კაცის შემადგენლობით, რო-
მელმაც საქართველოს ხალხური შემოქმედების VII რესპუბ-
ლიკური ოლიმპიადის, საქალაქო და რაიონული დათვალეირე-
ბის ქების სიგელები მოიპოვა. ვალიკოს ხელმძღვანელობით
მოეწყო საწრო მუშაობის კაბინეტები, მხატვრულად გაა-
ფორმეს მკურნალებთა დარბაზი, ეზოში დარგეს ასობით მწკა-
ნე ნარგავი. მალე გასვლითი კონცერტების ჩატარება დაი-
წყო თბილისის მასობელ სოფლებში — წყნეთში, კოჯორში,
მარტყოფში, ნორიოში, ორხევში, წითელუბანში, პატარა ლი-
ლოში და სხვ. გარდა მუშაობდა ავტომხატვრული ბრიგადა,
რომელიც კულტმოსახურებას უწყვედა დასაქმებულნი ბრი-
გადებს მინდვრებში და სამგორის სარწყავი არხის ობიექტე-
ბის მშენებლებს. ვალიკო იყო არა მარტო კულტსახლის დი-
რექტორი და საერთო ხელმძღვანელი, არამედ დეკლამატო-
რიც, მოცეკვავეც, დრამურის წევრი და საკონცერტო ჯგუ-
ფის კონფერანსიეც. მისივე ინიციატივით სოფელში გაიხსნა

აფთიაქი, დაინიშნა ავტობუსის რეგულარული მარშრუტი,
ჩატარდა გამწვანებით ღონისძიებანი, ქუჩების კეთილმო-
წყობა, დაეხმარა სკოლას, აღადგინა სოფლის „მეფე ერეკ-
ლეს“ წყარო, სადაც ცივი, ანკარა სასმელი წყალი მოედინება.
დიდი ლილოელები დღესაც მაღლობით იხსენიებენ ვალიკოს და
მის დარგულ ტყედექვეულ ხეებს გოლადის ტყეს ძახიან.

კულტსახლს შეფობას უწყვედნენ თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი და საქართველოს თეატრალური საზოგადოებ-
საშფო ორგანიზაციების დახმარებით რეგულარულად რედე-
ბოდა ლექცია-მოსხენებები, თეატრული სადამოები, კონცერ-
ტები. ისინი კულტსახლს ესმარებოდნენ მატერიალური ბაზის
შემქმნაში. უნივერსიტეტის კოლექტივმა საჩუქრად გადასცა
სასცნო ტანსაცმელი, ინვენტარი, დიდალი წიგნი, ხოლო
თეატრალურმა საზოგადოებამ ჩამოუტანა სტენდები, მხატვ-
რული ლიტერატურა და მიაგინა ქართული თეატრის ცნო-
ბილი მოღვაწე ვალერიან გუნას ასული ანასტასია გუნაი-
საყვარელიძისა (ბიბლიოთეკათმომცლენ), რომელმაც ადგილზე
დამუშავა და წესრიგში მოიყვანა კულტსახლთან არსებული
ბიბლიოთეკის წიგნაი ფონდი, შეუდგინა კატალოგი.

დიდი ლილოს კულტსახლში ხშირად მიდიოდნენ საშფო
ორგანიზაციების ხელმძღვანელები უნივერსიტეტის რექტორი
ავადემიოსი ნიკო კეცხველი და საქართველოს თეატრალურ-
ი საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე მწერალი,
დრამატურგი შალვა დადიანი, ასევე გამოჩენილი მწერლები
და მსახიობები: ვიტიკო ლეონიძე, იოსებ ნინუშვილი, აკაკი
ხორავა, ვერკო ანკაფარძე, პეტრე ამირანაშვილი, შალვა
ღამაშიძე, ვიქტორ ნინიძე, დები იმხნელები და სხვ. ვალიკოს
პირადი დამსახურებაა, რომ დიდი ლილოს კულტსახლი ერთ-
ერთი მოწინავე და კეთილმოწყობილი გახდა არა მარტო რა-
იონში, არამედ თბილისის კულტსაგანმანათლებლო დარგებულ-
ლებებს შორის.

როდესაც ვალიკო გოლაძე გადახედავს თვითმომქმედი კო-
ლექტივების სურათებს და თბილისში შემთხვევით შეხვდება
ანსამბლის ყოფილ წევრებს, გაახსენდა თავისი ახალგაზრ-
დობა, რუსეთში გატარებული წლები. ვინ იცის, რამდენი
ოჯახის ალბომში იხსნება თუ კედელზე ჰქიდა ქართულ ტან-
საცმელით გამოწყობილი ანსამბლის სურათები, შორეულ კომის
რესპუბლიკაში, რიაზანში, მისოკოში, მოლოკოში თუ დიდ
ლილოში. ალბათ ისინიც, როდესაც დახედვენ ამ ფოტოსუ-
რათებს, გაიხსენებენ მხიარულ ანსამბლს, ვალიკოს, და უთუოდ
გაიფიქრებენ: ნეტავ სად არის ახლა ეს ქართული თვითმომქ-
მედების მოამაგე? ვალიკო ჯერ კიდევ ახალგაზრდა — 17
წლის ყმაწვილი მისოკოში ჩოხაში გამოწყობილი დაიარებო-
და, ახლა კი ხანშიშესული ნახევარ საუკუნეს მიღწეული, თმა-
შვეერცხლილი თბილისში სადღესასწაულო დღეებში კვლავ
ქართულ ჩოხაში გამოწყობილი დადის, მეკრძს უშვინებს
წიითეი ვარსკვლავის ორდენი და მედლით.

ახეთა სახლური თვითმომქმედების მოამაგის და უბრალო
ადამიანის ვალიკო გოლაძის ცხოვრება, ადამიანისა, რომელ-
საც წველილი მიუძღვის ქართული სახლური თვითმომქმედების
განვითარების საქმეში, რომელმაც მოძმე თანხლებს შეაყვინა
ქართული ხელოვნება, მისი მზიური სიმღერები და ცეკვები.

მომღერალი კლარა გურამიშვილი

ამირან ცამციშვილი



კლარა გურამიშვილი

საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი ქალები თუმცა თითებზე ჩამოითვლება, მაგრამ მათი აღნუსხვა მაინც შორს წაგვიყვანს და ამიტომ ჩვენი საუბრის ამჟამინდელ იმიტეტად მხოლოდ ერთ მათგანს ამოვიჩინებთ, სახელდობრ მკ. თხველს გავაცნობთ საქართველოს კიდევ ერთ, თავისი დროის გამოჩენილ მომღერალ კლარა გურამიშვილს (25 VIII. 1866-21. IX. 1956), რომელიც ქართული და უცხოური ვოკალური კულტურის დიდი მოტრფიალე, მოამაგე და თავყანისმცემელი იყო. მისი მუსიკალური ნიჭი შთამომავლობით გამოჰყვა მისსა და მხატვარ დავით გურამიშვილის ქალიშვილს ჭეშევანსაც. პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება კლარამ მიიღო თბილისში მოღვაწე ჩემ მუსიკოს რატილთან და იმდენად სწრაფად დაეუფლა სიმულრას, რომ გოგონამ „კასტიოლში“ ორღანოს თანსლებით მშვენივრად იმღერა გუნოს „ავე მარია“. შემდეგ იგი დაუახლოვდა ოლგა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ოჯახებს, რომელთა რჩევით ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ქალიშვილი პეტერბურგს გაემგზავრა და რამდენიმე თვეს ფრანციერთან შეცდინებოდა. მას წმინდა კოლონატურული სობრანო აღმოაჩნდა და ბუნებისაგან მიმადლებული ეს ღირსება სათანადოდ რომ დაემუშავებინა, როგორც კი საშუალება მიეცა, ვენაში გაემგზავრა. იქ იგი მოეწყო კონსერვატორიის დირექტორ, პროფესორ იოჰან ფუქსთან. ი. ფუქსი 1880 წლიდან ვენის სამეფო ოპერის დირიჟორი, ხოლო 1888 წლიდან ვენის კონსერვატორიის კომპოზიციის პროფესორი იყო. იგი ოპერა „წინაგარს“ ავტორი და ჰენდელის, შუბერტისა და გლინკას ზოგიერთი ნაწარმოების გადამმუშავებელია. ამ გამოჩენილ პედაგოგის ხელმძღვანელობით 4 წელს ავარჯიშებდა კ. გურამიშვილი თავის წმინდა, ნახსა და მსუბუქ კოლონატურულ სობრანოს და იმდენად მშვენივრად დაისრულა და წარმატად ააუტერა, რომ მკაფიო დიქციითა და არანაველებრივი ტექნიკით შესრულებული კლასიკური სიმღერებით მასღელგონებნიანი მსმენელების და ვენელი პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებას იქცევდა.

ვენის კონსერვატორიის წარმატებით დამთავრებისა და ფუქსის წარჩინებული ატესტაციის შემდეგ, გურამიშვილი საჯაროდ პირველად გამოვიდა ქალაქ კელნში, ჯ. მიეიზბერგის ოპერა-ბუკეტშიცაა, რომელშიც დიდოპერის როლი შეასრულა. დიუბუტანტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. მასზე წერდნენ, როგორც „ამომავალ ვარსკვლავზე“, მსმენელნიცა და შემგავლებელიც მიზნობილი იყვნენ უცხოელი მომღერლით. დიუბუტის შემდეგ გურამიშვილს სახარბილო პირობებით კონტრაქტიც კი დაუდო კელნის საოპერო თეატრის დირექციამ, მაგრამ უკვე დაგროვიდა საზღვარგარეთ მყოფი მომღერალი ოპერის დამომარტომის გამო საქართველოში გამოემგზავრა და თბილისში გაიხიზნა მხატვარ დავით გურამიშვილზე.

თბილისის კონსერვატორიის დაარსებამდე მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსი მომღერალი თეოდორ პეტრეს-ჰე კომპოზიტორი. მას უბრალო მოსმენაც კი არ სურდა ხოლმე მოხალისე მომღერლებისა და შორს ეჭირა თავი. მაგრამ გურამიშვილის აკომპანიატორმა ვარვარა ნიკოლოზის ასულმა შანშიაშვილმა, რომელიც მეტობრობდა კომპოზიტორისთან, როგორც იყო დაითანხმა იგი, მოესმინა კლარასთვის. წინასწარვე უიმედო განწყობილებით შეუვდა იგი მომღერალს. მხოლოდ მოვალეობისა და ზრდილობის გულისთვის მოუსმინა თითქოს, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კლარამ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულა რამდენიმე სიმღერა. ამის შემდეგ ისინი არა მხოლოდ დაზგობრდნენ, არამედ ერთად გაიარეს თითქმის მთელი რუსული რეპერტუარი. კლარამ შესწავლა ჩაიკოვსკის, ბარტოლმეუსის, გლინკას ქმნილებანი.

კელნიდან დაბრუნებულმა გურამიშვილმა თავისი ცოდნა შემოსავლის წყაროდ არ გაიხიდა. იგი კონცერტებს მართავდა და სპეციალურად სადამოებზე გამოდიოდა უსასყიდლოდ. 1896 წელს თბილისის სახანონო თეატრში 5 მარტს გაიმართა კონცერტი ქართული დრამატული საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად. მრავალფეროვან პროგრამაში, ქართული ხალხური სიმღერების გარდა, იყო აგრეთვე ნაწყვეტები კლასიკური ოპერებიდან. კ. ფ. გურამიშვილმა პირველად მიიღო მონაწილეობა კონცერტში და იმღერა არიები მოცარტის „ჰადონსური ფლიტიდან“ და პრახის „ვარიაციები“ კელნისკის დირიჟორებით. საქართველოს ყურნალ-გაზეთებს გარდა, საუკეთესო რეცენზიები გაუგზავნიდა თბი-



გურამიშვილის მასწავლებელი მატილა მარკევი

ლისელ მელიმანების უცხოეთის მუსიკალური პრესის რედაქციებისათვის, რომელთაც დაუბეჭდავთ კიდევ ისინი და გურამიშვილის მასტროს, პროფ. ფუქსსაც წაუკითხავს. მოწაფის წარმატებით აღფრთოვანებულმა მასწავლებელმა ვენიდან მალეღიერ მოწაფეს მისაღწეი ღია ბარათი გამოუგზავნა თბილისში და შემდგომი წარმატებები უსურვა. გერმანელმა კომპოზიტორმა რიხტერ გოუნდმა კი გურამიშვილს მიუძღვნა სიმღერა „Lied“ კოლორატურული ხმისათვის და რომანსი „Partis s'est mourir un peu“ („წესულა თითქმის სიკვდილი“).

თბილისში კლარა გურამიშვილი წარმატებით გამოდიოდა საკველმოქმედო კონცერტებზე ვიოლეტას ცნობილი არიით („ტრავიატიდან“), ალიაბიევის „ბულბული“, მოცარტის არიითა და ტაუბერტის „ჩიტი“. სხვათაშორის, თბილისის 1897 წლის თებერვლის რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები მას სიმღერის ცნობილ ვირტუოზებს — პატისა და ნილსონს ადარებდნენ¹, ხოლო 20 თებერვალს წერაკითხვის

გამაგრელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ კონცერტზე ისეთი დიდი ხელოვნებითა და გრძნობა-მეტყველებით შეასრულა „ვიოლეტას“ არია, რომ აღტაცებულმა საზოგადოებამ გურამიშვილს დამატებით ხუთი სიმღერა ათქმევინა².


მიუხედავად დაოჯახებისა, კლარამ არ დასთმო თავისი ოცნება — გამხდარიყო საოპერო მომღერალი და მიზნის შესასრულებლად 1897 წელს ჩავიდა პარიზში, სადაც ოპერების შესწავლისა და უმაღლესი არტისტული ხელოვნების დაუფლებისთვის ერთი წელი დაჰყო სახელმწიფეკილსა და განსწავლულ ლამპერტის, პალერმონელი რამონდოს, მილანელი ფონტანის, ხოლო შემდეგ გარსიას ყოფილ მოწაფე სალვატორე მარკევი დე კასტრონეს მეუღლე მატილა მარკევისთან, რომელიც თავის დროზე მომღერალთა დედოფლად იყო აღიარებული. მრავალი ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ორდენ-მედალებით დაჯილდოვებულ მარკევისთან ერთი წლის მუშაობამ გურამიშვილი ოპერის პირველხარისხიან არტისტად აქცია. მისი მოწვრიალე ხმა და მღერის შუქმფენი სტილი მუსიკოსთა ცხოველ ინტერესს იმსახურებდა. ნაყოფიერი მცვადინებითა და წარმატებებით კმაყოფილმა მატილა მარკევი თავის ნიჭიერ მოწაფესა და მომღერალს სასწორად და მოსაკონებლად თავისი სურათი მიუძღვნა წარწერით: ჩემს ძვირფას მოსწავლეს, კეთილმოსაგონარად მატილდა მარკევისსაგან, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო კლარა“.

ერთი წლის შემდეგ, 1898 წელს, ვოკალური სრულყოფისა და მღერის ვირტუოზული ხერხების შეთვისების მიზნით, კ. გურამიშვილმა ერთი წელი გამოჩენილ მომღერალ ქალ მარგარიტა ჟოზიფინა დეზირე არტსთან დაჰყო. არტო ზედმეტი სახელი იყო მუსიკოსთა იმ საუკეთესო პლეადისა, რომელთა ნამდვილი გვარია მონტანეი. უკვე სრულყოფილ მომღერლად ჩამოყალიბებულ კ. გურამიშვილს დეზირემ გადასცა მღერის ის ჯალდსური ტექნიკა, რომელიც მას შემეინილი ჰქონდა ცნობილ ვიარდო გარსიასაგან. ერთ-ერთი გაკვეთილის დროს გურამიშვილს მოუსმინა ცნობილმა მომღერალმა პოლინა ვიარდომ და უცხოელის სიმღერით მღიერ კმაყოფილმა გულწრფელად შეაქო თავისი მგებობარ-კოლეგის მოწაფე და აი არტო-პადილას³ რიგდინციამი დე-პრომის ქუჩაზე

¹ „Кавказ“, 22. II. 1897.

² „ცნობის დურცელი“, 22. II. 1897.

³ პადილა — ტომოსი, ცნობილი ესპანელი ბარიტონი, მეუღლე მ. ე. დევიერ არტოსი.



მოეწყო მუსიკალური დილა-კონცერტი ვიოლინის ასალგაზრდა და მკვრელის კარმენ ფორტეს სასარგებლოდ, რომელსაც 1899 წელს პარიზის კონსერვატორია მდელაზე დაამთავრა. საღამო-კონცერტში მონაწილეობას უღებობდნენ პარიზის „გრანდ-ოპერის“ სოლისტები ბრევილი და ფლაუ- გურამიშვილია იმ-ღერა ფრანგი კომპოზიტორის ფელისის დავიდის „მიზოლი“, ტრიო ოპერა „ჰამლეტიდან“ და მატის „კვინტეტ ღუსო“ (ჩიტების კვინტეტი): არტო პადილას მუსიკალურ სალონში კლარას ბუბულესიებურმა ტუბილმა ხმამ წარწარით ჩაითამა-შა, მომავადღობდა მინაზდა და საამური პანეზეი ჩასურულ-ლა დამსწრეთა ყურთასმენას. მისმა სიმღერამ რაღაც შემოქ-მედი ძალა მოიხვეჭა და ამორძალის გაბედულობით სიერცემი მუდგარაღ სტოკონკა ბეგრები. ზოგჯერ მისი მოწერიაღ ხმა გასრლოლი საცანტის მსგავსად მარგალიტით იხეიოდა და არისტოკრატიული სალონის მსმენელი გულის სიდრმემდე წვედობდა; ზოგჯერ კი მისი კოლორატურული სოპრანო ისე ეჭაქნაღ იყო მოგვირისტეზული და საამურად კენსოდა, რომ სპეციალურად მოწვეულ სტუმრებსა და დამსწრეთ მიული არსებით ერთბაშად ხიბლავდა. ფრანგული გაზეთი კმაყოფი-ლებით იუწყებოდა: „ქ-ნამ გურამიშვილმა, ლამაზი სოპრანოს ბუნდინერმა მფლობელმა, გასაცარი სიზუსტით აღასრულა დავიდის „მიზოლი“. მან მშენიერად იმღერა აგრეთვე ტრიო „ჰამლეტიდან“ და მატის კვინტეტ — d'Oiseaux და მოი-პოვა ნამდვილი დამსახურებელი მოწონება“⁴. მეორე გაზეთი კი წერდა: „დილა-კონცერტზე თბილისელმა გურამიშვილმა, რომელიც სალონის დასახლისის მოწაფეა, აუღიტორია მო-ხიბლა თავისი რბევადი და წმინდა, ყოველდღე მზარდი ხმით. მის წილად ზედრდილი გამარჯვება მითუმეტეს აღსანიშნავია იმიტომ, რომ მომღერალი გამოდიოდა ფრანგული გრანდ-ოპერის არტისტებთან ქ-ნ ბრევაღ და ფლაუსთან ერთად, რომ-ლებმაც იმდენი თავაზიანობა გამოიჩინეს, რომ მონაწილეობა მიიღეს ამ ბრწყინვალე მუსიკალურ კონცერტში რომელიც ყველაზე რჩეული პედაგოგის წინაშე გაიმართა“⁵.

ცნობილმა პედაგოგმა თავის შრომის ნაყოფი რომ დაი-ნახა, ერთგვარი სულიერი კმაყოფილება იგრძნო და გა-ხარებულმა მოწაფის მეუღლეს დავით გურამიშვილს 24 ივნისს გამოუგზავნა ბარათი: „ბატონო, მას შემდეგ, რაც მე წავიბე-შევე თქვენ ძვირფას მეუღლესთან, შემძლია დაგარწმუნოთ, რომ მას შეუძლია გახდეს საუკეთესო მომღერალი. სწავლებისა და მეცადინეობის მცირე ხნის მიუხედავად, მისი მიღწევა იმდენად დიდია, რომ მე დარწმუნებულ ვარ რამდენიმე თვის სერიოზული და სისტემატური მეცადინეობის შემდეგ იგი თავის ქვეყანას ასახელებს. თქვენ კი უდიდეს კმაყოფილებას მოგანიჭებთ... მართალია დიდი ხნით განშორებული ხართ, მაგრამ მისი ხმა იმსახურებს იმ ხსენებას, რომელიც თქვენ გაიღეთ მასთან განშორებით და საბადლოდ მისი წარმატებანი დაგაჯილდოვებენ გულუხვად“.

ფრანგული პრესა დიდი აღტაცებით ეგებებოდა „პრენსეს ეორიენის“ თვითულ საკონცერტო გამოსვლას და ყველა ერთხმად დიდ მერმისს უქადაღ მომღერალ ქალს. უმაღლესი ვოკალური განათლებით აღჭურვილი კ. გურამიშვილი 1898

წლის ივლისში პარიზიდან პეტერბურგისაკენ გამოემგზავრა და თან წამოიღო საიმპერატორო თეატრის დირექტორ გსევო-ლოჟსკისადმი დეზირე არტო-ღე პადილას სარგებენდაციო ბარათი, რომელიც კვითხულობთ: „თქვენო ბრწყინვალემაგ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ თბილისელი გურამიშვილი, რომელსაც აქვს ჩვენს ეპოქაში იშვიათი კოლორატურული სოპრანო და ჩემის აზრით კიდევ უფრო იშვიათი, განსაკუთრე-ბით, რუსეთისათვის. იგი თქვენთვის შეტად გამოსადგიე იქნება, რადგანაც ძნელია მოიძებნოს ასეთი ფიონა ან დედო-ფალი, პუგენოტებში“, განსაკუთრებით კი ღამის დედოფალი „ჟადონსური ფლეიტისათვის“. თქვენო ბრწყინვალემაგ, გაი-სარჯეთ და მოუსმინეთ, რადგან ვფიქრობ, იგი თქვენ გამოგად-გებთ და გამოიყენებთ კიდევ“.

კ. გურამიშვილს პეტერბურგში სამოღვაწეო ასპარეზი დაუსშეს თუ თავისი ნებით წამოვიდა, უცნობია, ეს კია, რომ პარიზის მუსიკალურ სალონებში ბრწყინვალე გამოსვლე-ბისა და აღიარების შემდეგ 1899 წლის მაისში კ. გ. გურამი-შვილი სამშობლოში დაბრუნდა და კიდევ უფრო დიდი წარ-მატებით გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებსა და კონ-ცერტებზე პიანისტ მატკოუსკისთან და მევიოლინე სერბუ-ლოვთან ერთად. ხმის დიდი დიაპაზონი კლარას საშუალებას

კლარა გურამიშვილი



⁴ „Gil Blas“, 26. V. 1899.

⁵ „Daily Messenger“, 10. V. 1899.

აძლევდა რეპერტუარში შეეტანა ძნელი და რთული კომპოზიციური, მაგრამ ეფექტური მუსიკალური ნაწარმოებები: ფ. გეროლის „სიცილის საღამოები“, ჟოზეფის „La Cabandrina“, არია გუნოს ოპერადან⁶, „Philémon et Baucis“, არია ლ. დელიბის ოპერა „ლაკამედან“, ბრამსის „Meine Liebe ist grün“, დავიდის „Le Mysoli“, გრიგის „სოლფეიგის სიმღერა“, პრობის „ვარაიციები“, დელ აქვას „ვალსი“, დიუვერნუსის ნაწარმოებები, ვ. მასსეს „ქანეთას ქორწილი“ და სხვ. მღეროდა აგრეთვე სოლოს ოპერა „სემირამიდადან“ და არიას „რომიო და ჯულიეტადან“. იგი მშვენიერი რუსული, წმინდა ფრანგული აქცენტით, დასველები იტალიურითა და სრულყოფილი გერმანული ენით ასრულებდა სიმღერებსა და არიებს. გურამიშვილმა თანამემამულენი უმოთაგრესად ქართული სიმღერებით მოიხილა და მოაჯადოვა. ა. ყარაშვილის „ისევ შენ და ისევ შენ“ ისეთი წარმატაცი ხმით, ლამაზად და ტურფად მღეროდა, რომ „ყოველ ქართველს გულში ჰჭვრიდა რაღაც სიტკბობებსა და თან რაღაც მწუხარებებს და იმედსაც“⁶.

კ. გურამიშვილის ვოკალურ ხელოვნებას ზედმიწევნით პროფესიული ნიუანსებით ახასიათებს მუსიკათმცოდნე საპინტი. იგი წერდა: „არტიკის (გურამიშვილის) ხმა შესამჩნევია მით, რომ მისი მოქცევალ-მოწყობილად ბევრა არის წმინდა, ნაზი, მსუბუქი, სწრაფი, მიმოხერაში წყნარი, მკაფიო და გარკვეული; მძლავრი ანუ მაგარი მიმოხერაში, თავისუფალი, ძალდატანებული, გრძნობით საესე და სიციფხვლით აღფრთოვანებული, მიმზიდველი, სმენის დამატკბობელი. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ არტიკტი-ქალის ხმის მკვიცრებლად მიმოხერა, მოძრაობა. მან მოგვაგონა ცნობილი პატი. საზოგადოდ ვიტყვი, რომ ქ-ნ გურამიშვილს იმ უმაღლეს ხარისხამდის შეუმუშავებია თავისი ხმა, რომ მას მოელის შემდეგში ბრწყინვალე კარიერა“⁷.

კ. ფ. გურამიშვილის საგასტროლოდ ხშირად იწვევდნენ ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში, სადაც მას დიდი აღფრთოვანებით სხვებოდნენ და დაუცხრომელი მქუხარ ტაშით სიმღერებს ამოთრებინებდნენ. ურიცხვი თაიგულების გარდა, გურამიშვილი ხშირად დღებულბად ძვირფას საჩუქრებსაც მადლოებრი მსმენელებისა და თავყანისმცემლებისაგან. ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დამსასურებულ მომღერალს მიაართვა ვერცხლის ძვირფასი ღირსეი, რომელშიც ჩადებული იყო დაგრაგნილი, მადლობის გამოხატებული, ვრცელი ადრესი, რომელიც ქ. გურამიშვილის პირად არქივში ინახება.

„თბილისის საკრებულოს“ დარბაზში გამართული კონცერტის შემდეგ „მუსიკის მოყვარული“ იუწყებოდა: „კონცერტი კ. ფ. გურამიშვილისა ნამდვილ ანდამატად გადაიქცა და დიდდღან დაწყებულ პატარამდე ვველას ყურადღება მის მაღალ-ნიჭიერ ხელოვნურ სიმღერას ჰქონდა მიყრობილი: ტკბილი, წმინდა, ნაზი, მომუნის და გრძნობით საესე ხმა სამოთხისებურ გულწარმტაცობით იზიდავდა და ატკბობდა დამსწრეთა სმენას; ხმის ესეთი შეზავება, სადაც მაღალი თუ დაბალი კილო, ორივე შესაფერად რბილად და სასიამოვნოდ ისმის და ჭრელები იქამდის სუსფად და წყობისად ასდევ ჩამოსდებს, რომ ყურს არსად ეწოთირება და სიყაბზე განდევნილია — რაიცა თვით ცნობილს მომღერლებსაც — კი უძნელდებთ ხოლმე, — იშვიათი ხელოვნება და ნიჭია. კნ. გურამიშვილისას — კი სწორედ ამ ტექნიკით შეუძლიან იამაყოს. ხოლო მდღერის ტექნიკას ამთავრებს და სრულყოფს ბუნებით ძლიერი და წმინდა ხმა, რომლის შეტენითაც თვით რუსეთის უპირველესი სატახტო სცენებიც კი იამაყებდნენ“⁸.

ამ კონცერტებზე დამსწრე საზოგადოება დიდი თანაგრძნობითა და აღტაცებით ეგებებოდა მომღერალ ქალს. მრავალი თაიგულიც მიათრებს და ბევრ მათგანში ფულის პაკეტც აღმოჩნდა. ავანსცენაზე გამოწვევასა და სიმღერების გამოჩრებას დასასრული არ ჰქონდა. როგორც ყოველთვის, კ. გურამიშვილს ამჯერადაც შესაფერისი სიყვარულითა და პატივისცემით მოეპყრნენ.

კ. გურამიშვილი კიდევ დიდხანს დაატკბობდა თანამემამულეებს, თანამოსყრდნე პროფესიონალებს რომ ამოსდგომოდა გვერდში, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო იგი თანდათან ჩამოსცილდა ხელოვნებას და შემდეგ სრულიად ჩაიკეტა სახლში. ახლა აღბათ ძალიან ცოტას, ძველი თაობის ხანდაზმულ მემომბანებს თუ ახსოვთ კლარა გურამიშვილი, მაგრამ ამიერიდან ჩვენი თაობაც პატივს სცემს მის ნათელ ხსოვნას.

⁶ - ცნობის ფურცელი“, 21, 12. 1899.

⁷ - ცნობის ფურცელი“, 14. III. 1900. № 1071.

⁸ „ივერია“, 13. III. 1900.





ვ. დავითაია

პარნასის უღელტეხილის პეიზაჟი (საბერძნეთი)

„კავკასიური ცარცის წრე“, მისი ისტორია და გეოგრაფიკული პოზიციის „გეოგრაფიკული კონტრასტის კონტრასტი“

ზურაბ ჭარხალაშვილი

XX საუკუნის დიდი გერმანული დრამატურგის ბერტოლტ ბრეტის პიესებიდან ქართულ ენაზე მხოლოდ ერთია თარგმნილი — „კავკასიური ცარცის წრე“. ეს სახეებით ბუნებრივია, რადგან პიესაში მოქმედ პირთა საკუთარი სახელებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი ქართულია. იგი ჩვენში ერთბაშად გახდა პოპულარული, მის შესახებ ქართულ ეურნალ-გაზეთებში ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიც გამოქვეყნდა. გამოითქვა რამდენიმე მუხედველი იმის შესახებ, თუ როგორაა ასახული ნაწარმოებში ქართული სინამდვილე. რამდენად იცავს ავტორი ისტორიულ კოლორიტს, იგრძნობა თუ არა გმირთა ხასიათებში ეროვნული სპეციფიკა და ა. შ.

ჩვენ ამჯერად არ ვაპირებთ ამ მუხედველებთანა გარჩევას, არც პიესის ყოველმხრივ ანალიზს, გვიანდ მხოლოდ ზოგიერთი ახალი საარქივო მასალის და თვით ბრეტის უახლეს თანამშრომელთა ცალკეული ცნობების გამოყენებით გავაშუქოთ „კავკასიური ცარცის წრის“ ისტორიისა და იდეურ-მხატვრული რაობის ზოგიერთი საკითხი.

* * *

ბრეტის „კავკასიურ ცარცის წრეში“ გამოყენებული ამბავი ბავშვის გამო ორი ქალის დავისა — ძველთაძველია. ჯერ კიდევ „მეფეთა წინა“ მოციხისრობის, როგორ გამოიწიო სოლომონმა „დღეთაბრები სიბრძნით“ მშობელი დედა, როცა მას მეორე ქალი ბავშვის წარმოევა უპირებდა. სოლომონმა მოატანინა მახვილი და ქალებს განუცხადა, რომ იგი იძულებულია შუაზე გაჭრას ბავშვი, ამგვარად გადაწყვიტოს დავა. მშობელი დედა ამას, ცხადია, არ დათანხმდა: ოღონდ ბავშვი ცოცხალი დატოვე და ვისაც გინდა მიეცი. მეორე ქალი კი თანახმა იყო, ბავშვის ნახევარი მიიღო. მეორე ქალი კი ნათელი გახდა, ვინ იყო ნამდვილი დედა.

მსგავსი ამბავი მოთხრობლია ერთ ძველ ჩინურ ლეგენდამც, ოღონდ აქ დავა ხალხის მსაჯულმა ცარცის წრის საშუალებით გადაწყვიტა: ბავშვი შუაში დააყენა, ერთი მხრით მას მშობელი დედა ეწოდა, მეორე მხრით კი ის, ვინც დედობას იჩივებდა. დედამ ბავშვს ადრევე გაუშვა ხეული, რადგან არ უნდოდა მისთვის ტყვივლები მიეყენებინა, მეორე ქალი კი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მზად იყო გაეკლიჯა იგი. ეს ლეგენდა, რომელიც „ცარცის წრის“ სინამდვილბითაა დარიბილი, პირველად ლი სინგ-დამუ დაამუშავა XIX საუკუნის ჩინური ეთნოგრაფიის. პიესის მოვლედ მინარსი ასეთია: დარიბილი ჰაი-ტანგი ცოლად შეირთო მედიდარმა, ჩინელმა. რომელსაც უკვე ყავდა ცოლი. ბავშვი მას მხოლოდ ჰაი-ტანგთან შეეძინა. ამან გააბოროტა პირველი ცოლი, მოწამლა მდიდარი ჩინელი, მკვლელბა ჰაი-ტანგს გადაბარალა, ბავშვი თავისად

გამოაცხადა და ქონების დამტკიცება მოითხოვა. მსაჯული „ცარცის წრის“ დახმარებით გამოიციბოს ნამდვილი დედას.

XIX საუკუნეში ჩინური „ცარცის წრე“ კვრბულ ენებზე ითარგმნა და მხოლოდში გაგრცელდა. მის საფუძველზე 1924 წელს გერმანელმა ლირიკოსმა და პროზაიკოსმა კლაბუნდმა (1890-1928) შექმნა პიესა „ცარცის წრე“, რომელიც 20-ანი წლების ბოლოს ბერლინის ლესინგ-თეატრის სცენაზე ბრეტმაც ნახა. უფრო გვიან, 1942 წელს ამავე სახელწოდების პიესა დაწერა გერმანულ ენაზე რუსული ლიტერატურის ცნობილმა მთარგმნელმა იობანეს ფონ გუენერმმა.


ჩინურ „ცარცის წრეში“ ბრეტსა განსაკუთრებით მოსწონდა ის, რომ კეთილშობილური თვისებების მქონენი დარიბი დამიანები იყვნენ. ამ მომენტის ფიქსირება მან უკვე 20-ანი წლებში სცადა მოთხრობაში „აუგუსტურის ცარცის წრე“, მოთხრობის გმირია დედობელი ანა, რომელმაც თავისი დიასახლისის ბავშვი სიკვდილს გადადარჩინა. მოქმედება ხდება რეფორმაციის დროინდელ გერმანიაში.

„ცარცის“ წრის ყველა ვარიანტი, როგორც ჩანს, ბრეტს ხედავდა თემის სოციალურ ასპექტში გალის შესაძლებლობასაც. კერძოდ, დედობის პრობლემა მას უკვე მიანჩნდა ისეთად, რომლის სწორი გადაწყვეტაც მხოლოდ საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით შეიძლება. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს 30-ანი წლების დასაწყისისთვის შექმნილი პიესაში „დედა“ (გორკის „დედის“ მიხედვით), სადაც პეულაგე ვლასოვა ნამდვილი დედობრივ გრძნობებს შვილისადმი მამინ უფრო ავლენს, როცა იგი შვილის ამხანაგებსაც დედობრივად ეყურება და სხვებთან ერთად საერთო სახალხო საქმეზე ზრუნავს.

„ცარცის წრის“ თემაზე ფართოლანიანი ნაწარმოების შექმნის სურვილი ბრეტს შემდგომი კიდევ უფრო უღვივდება. სკანდინავიის ქვეყნებში ემიგრანტად ყოფნის დროს, 30-ანი წლების ბოლოს იგი კითხულობს ჩინური პიესის ინგლისურ თარგმანს და, როგორც გადმოგვცემენ, რეალურად ფიქრობს მის ახლებურად დამუშავებაზე. ამას ბრეტს უფრო გვიან, 40-ანი წლების დასაწყისიდან ახერხებს.

1941 წლის ივნისის ბოლოდან „მესამე იმპერიიდან“ გაქცეული ბერტოლტ ბრეტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ლიონ ფიოტანგანერისა და სხვა მეგობრების დახმარებით იგი ოჯახით ლოს-ანჯელისის გარეუბანში — სანტა მონიკაში დაბინავდა. სწორედ აქ დაასრულა მან პირველი და ძირითადი ვარიანტი „კავკასიური ცარცის წრისა“. ეს მოხდა 1944 წლის 5 ივნისს, როგორც ამას არქივში დაცულ ამ ვარიანტზე ავტორისეული მინაწერი გვიჩვენებს.

ბერტოლტ ბრეტის არქივში (დემოკრატიული ბერლინი,



ფრიცკერმერი

ბერტოლ ბრეტო

შოსემტრასე, 125) „კავკასიური ცარცის წრის“ 7 ვარიანტია დაცული, აქედან 5 ვარიანტი (B-52, B-53, B-49, B-36, B-47) სრული არაა. ტექსტოლოგიური კვლევისათვის მნიშვნელოვანია ადრეული სრული ვარიანტი — B-192 და B-40 ვარიანტი, რომლის მიხედვითაც უნდა იყოს გამოქვეყნებული პიესა ეურნალში — „ზინ უნდ ფორმი“ 1949 წელს. ყველა ვარიანტი დაბეჭდილია ბრეტოს თანაშრომლების მიერ „ოლივეტის“ ფორმის იტალიურ საბეჭდო მანქანაზე, რომელიც ახლა მწერლის საძინებელ ოთახშია შენახული. ცალკეულ გვერდებზე არის შესწორებები შავი ტუშით, რომელთაგან უმუშაოდ ბრეტოს ხელით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შეტრულებული. დანარჩენი ავტორის მითითებით თანაშრომლებს შესწორებითაა.

„ზინ უნდ ფორმი“ ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ ბრეტოს არ შეუწყვეტია პიესაზე მუშაობა. 1954 წელს „კავკასიური ცარცის წრეს“ იგი ათავსებს 31-ე რეველში „ცდების“ სერიისა „ბუკოურ ელგებთან“ და თეორიულ წერილთან — „წერის რეალისტური მანერის სიფართოვე და მრავალმხრივობა“ — ერთად. „ცდების“ რეველებში ყველა თავისი ნაწარმოების გამოქვეყნება ბრეტატმა ვეღარ მოასწრო. იგი 1956 წლის 14 ავისტოს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ იგი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა „კავკასიურ ცარცის წრეს“ და სა-

ბოლოო სახე მისცა 1949 წლის შემდეგ პიესაში შეტანილ შესწორებებს.

ამ შესწორებებიდან შეგვირდეთ ზოგიერთზე, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ.

1944 წლის პირველ სრულ ვარიანტში პერსონაჟთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელწოდებები, აგრეთვე მიმართვის ფორმები უპირატესად რუსული ყოფილა. მათი უმრავლესობა უკვე იმავე ვარიანტში ხელითაა გადაშლილი და „ზინ უნდ ფორმის“ ტექსტისათვის საბოლოოდ დაზუსტებული. ამგვარად მივიღეთ: სიმონ ჩაჩავა (იყო ვოლოდია ზურკი), გრუშე ვანაძე (იყო კატია გრუშე), ლაგერნტი ვანაძე (პიოტრ გრუშე), ნათელა აბაშვილი (ანასტასია ზაშვილი), გიორგი აბაშვილი (გერგორი, მერე გეორგი ზაშვილი), ანკი (ანა ლიზავეტა), ნიკო ნიჭაძე (ანტონ ანტონოვიჩი), მისა ლილაძე (პეტროვ პეტროვიჩი), შალვა (იგორ იგოროვიჩი), მარო (მამა) და ა. შ. თავდაპირველად ყველგან „ბოიარი“ არის ნახმარი, შემდეგ კი „თავადი“; შეცვლილი ამ ამოღებულია ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებაც (აღარა, მაგალითად, ასტრახანის კონცხი და სხვ.)

ავტორისეული რემაკების მიხედვით მოქმედება პიესაში თბილისის მახლობლად სამხედრო გზის რაიონში ხდება. ამიტომ ასეთი ცვლილებები აუცილებელიც კი იყო. ამით ბრეტატმა თავის ნაწარმოებს ქართული ელფერი მისცა და მეტად ფორმალურად, მაგრამ მინიმალურად მაინც გააკეთა ის, რასაც ეროვნული კოლორიტის დაცვის პრინციპი მოითხოვს. ვამბობთ მეტად ფორმალურად, რადგან საერთოდ კოლორიტის დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: პიესაში ფოცხალური საქართველოს ყოფითი ელემენტები აღრეულია უფრო გვიანდელთან, ხოლო ქართული ეროვნული ნიშან-თვისებები — აღმოსავლურთან. მოქმედ პირთა ხასიათებშიც ნაკლებად იგრძნობა ქართული სული. ისტორიული სინამდვილისაგან დაშორება, ეროვნული სპეციფიკის უგულვებელყოფა კიდევ უფრო აშკარად შეიმჩნევა „ბერლინერ ანსამბლისა“ და პოლონეის თეატრების სპექტაკლებში, რომელთა ავტორებმაც მხოლოდ პირობითი მხატვრული ფონი შექმნეს. ეს ფონი აღმოსავლური თუ აზიური უფროა, ვიდრე ევროპული, მაგრამ კონკრეტულად რომელი ხალხის ეროვნულ სპეციფიკას ითვალისწინებს, თქმა ერთობ მწილია. როგორც პიესაში, ასევე სპექტაკლებში, ცხადია, შეიძლება ქართული ისტორიული თუ ყოფითი ნიშან-თვისებების მონახვა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის: კოლორიტი მთლიანად და არსებითად არაა დაცული.

ეს არც აინტერესებდა ბრეტატს — ღრამატურგსა და რეჟისორს. იგი დიდად განათლებული კაცი იყო და საჭიროდ რომ მიეჩნია, მოახერხებდა ამ ტრადიციული რეალისტური პრინციპის დაცვას. ბრეტატის შემოქმედებითი მანერა, თემის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურება ყოველთვის არ საჭიროებს ეპოქისა და ხალხის ისტორიულ-ეროვნული სპეციფიკის ყოველფორმე გათვალისწინებას, ხოლო ზოგჯერ კი პირიქით: რეალისტური თემის ბრეტატისეული გამშლისათვის საჭიროა მოჩვენებითი-ეგზოტიკური ფონი. ამიტომაც, რომ მას მოქმედება ხშირად გადააქვს ევროპელი მაყურებლისათვის შედა-

რებით შორეულ და ნაკლებად ცნობილ გარემოში, რომელსაც ბევრის ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ დაჯერა ვებოტიკური ელფური. მოქმედების ამგვარი გადატანა, მოჩვენებითი — ევბოტიკური ფონის შემწეა — ერთ-ერთი ძირითადი მომენტია ბრეტის ე. წ. „გაუცხოების ეფექტი“, რასაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრული ასტრაქციის პროცესში.

„გაუცხოების ეფექტი“, რაც მხატვრულ-შემოქმედებითი საშუალებების მთელი სისტემაა, ბრეტის ცდილობს მკითხველი თუ მაყურებელი კონკრეტული სინამდვილიდან ამაღლოს ილუზიას და მხატვრული მოჩვენების სფეროში, ხოლო შემდეგ ისევ სინამდვილეს დაუბრუნოს. ამგვარად, მისი აზრით, თეატრი სანახაობითი დაწესებულება რჩება, მაყურებელი ბოლომდე ინარჩუნებს „კრიტიკულ დაზოგადებულებას“ სცენაზე განსახიერებლისადმი, მატულობს ხელოვნების ნიშნის ზემოქმედების ძალა მკითხველისა თუ მაყურებლის ინტელექტზე.

ჩვენ აქ არ შევდგებით მხატვრულ საშუალებათა ამ რთული კომპლექსის დახასიათებას. შევიჩრდიოთ მხოლოდ ერთ ასპექტზე, რომლის გათვალისწინებაც „კავკასიური ცარცის წრის“ გაგებისათვის არის საჭირო. ამ ასპექტს თვით ბრეტის, რომელიც „გაუცხოების ეფექტს“ „სინამდვილეზე სტიქურად ზემოქმედ“ დრამატურგიულ და თეატრალურ საშუალებად თვლის, — ასე ახასიათებს: „გაუცხოების ეფექტი“ საგანს, რომელიც შევინძრის იბიქტა, ჩვეულებრივი, ნაცნობი, უშუალოდ მისაწვდომი საგნიდან განსაკუთრებულ, გამორჩეულ, მოულოდნელ საგნად ხდის; თავისთავად გასაგები, გარკვეული თვალსაზრისით, გაუგებარი ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო გასაგები გახდეს; იმისათვის, რომ ნაცნობი საგანი შევიცნოთ, იგი უნდა გამოვიყვანოთ შეუმჩვევლობის არედას...“ (ბრეტის არქივი, 57/34).

„გაუცხოების ეფექტი“ ბრეტის არ თვლის მის მიერ გამოგონილ მხატვრულ საშუალებათა ირიგინალურ სისტემად. ამ „ეფექტის“ ელემენტები, მისი აზრით, ადვილად მოიძებნება ანტიკური და კლასიკური ხელოვნების ბევრ ნაწარმოებში. ბრეტისათვის „გაუცხოების ეფექტის“ მისაღწევად მრავალგვარი შესაძლებლობა არსებობს. მათი გამოყენება დაზოგადებულა თემის სახაისას და კონკრეტულ სცენურ სიტუაციაზე. „გაუცხოების ეფექტისათვის“ ნინანდობიერი არა ერთფეროვნების შთაბეჭდილება. ის, რაც „გაუცხოებისათვის“ დრამატურგმა „კავკასიურ ცარცის წრეში“ გამოიყენა შეიძლება ნაწილობრივ, ან სრულებით არ გამოიყენოს სხვა პიესაში.

* * *

კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიულმა კრიტიკამ, განსაკუთრებით, დასავლეთ გერმანიის ლიტერატურულმა და თეატრალურმა წრეებმა, რომლებიც იძულებული არიან აღიარონ ბრეტის დიდი პოპულარობა მსოფლიოში, თავიდანვე აიფიქროსწუნეს „კავკასიური ცარცის წრის“ პროლოგი („ფორმილი“), რადგან აქ ნათლად ჩანს დრამატურგის ჩამოყალიბებული მატერიალური თვალსაზრისი საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებზე. მათ ამგვარად არ მოსწონდათ ახალი სოციალისტური გარემო, რომელშიაც მოქმედება იმდებდა და სადაც საკითხების საზოგადოებრივი ინტერესების შესაბა-



სცენა სექტატკლიან

მისად გადაწყვეტა, რაც პროლოგის ერთი წაკითხვითაც ყველასათვის ნათელი იყო. ზოგიერთი კრიტიკოსი შეეცადა დამტკიცებინა, თითქმის პროლოგს არაფერი აქვს საერთო პიესის ძირითად დრამატულ ხაზთან, რომ გრუმეს, მაშვასა და აზუაკის თავგადასავალი არ საჭიროებს ამავსე ორი კოლმეურნეობის დავის შესახებ მიწის ნაკვეთის გამო. ასეთი მტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივლ პიესას განვიხილავთ როგორც „სანახაობითი სცენების“ უბრალო თავმოყრას და არ შევეცდებით გამოვავლინოთ იდეური შინაარსი, რომლითაც ასე მდიდარია „კავკასიური ცარცის წრე“.

არც ეს კრიტიკოსები არიან სწორი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პროლოგი ბრეტმა გვიან, დემოკრატიულ გერმანიაში დაბრუნებისა და „სხვების გაგლეზის“ შემდეგ დაურთო პიესას. 1944 წლის 26 სექტემბრის ჩანაწერი მწერლის „დღიურში“ მოწმობს, რომ ის, დაახლოებით თოხი თვის შემდეგ პიესაზე მუშაობის დამთავრებთან, მუდღესთან — ელენე გაეგელთან, კომპოზიტორ აისლროთან და თანამშრომელ მარგარიტ შტეფენთან უკვე საუბრობს პროლოგში ზოგიერთი დეტალის დაზუსტების გამო.


პროლოგი „კავკასიური ცარცის წრის“ ორგანული ნაწილია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ბრეტმა სწორედ პროლოგის საშუალებით დასვა რიგი სოციალური საკითხების, რომელთა მხატვრული გადაწყვეტისათვის „ცარცის წრის“ ამავი გამოიყენა. პროლოგში ავტორი გარკვევით აღნიშნავს, რომ ახალ, სოციალისტურ საზოგადოებაში ახლებურად წყდება საზოგადოებრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. იქ, სადაც სრული პარწონია პირადულსა და საზოგადოებრივ შორის, არ არსებობს ინდივიდისა და ჯგუფების კერძო-ინდივიდუალისტური მისწრაფებანი, მორალა და სამართლი მხოლოდ საზოგადოებრივი სასაითისა — ასეთია პროლოგის იდეა. ამ იდეის მხატვრულ განსახიერებას ემსახურება პიესის ყველა დანარჩენი ნაწილი. პროლოგის ამგვარი გაგების გარეშე ვერ მივხვდებით იმ ცვლილებას, რაც „ცარცის წრის“ ამავამ ბრეტთან განიცადა და ვერც იმას, თუ საერთოდ რისთვის დასჭირდა დრამატურგს მისი განახლე-



სიმონისა და გრუშის შეხვედრის სცენა

ბა. სწორედ მორალის საკითხების სოციალურ ასპექტში დასმის შედეგად გახდა შესაძლებელი დედა-შვილობის ტრადიციული პრობლემის ახლებური გადაწყვეტაც. დედა, ბრეტქის პიესის მიხედვით, ის კი არაა, ვისაც მხოლოდ ბიოლოგიური პრინციპის თანახმად ეკუთვნის დელობა, არამედ ის, ვინც

ბიესის გერმანულ გამოცემის გარკვეანი



დედობრივი მზრუნველობით ფიქრობს ბავშვის მომავალზე, ვინც საზოგადოებას ნამდვილ წევრს, ჭეშმარიტ ადამიანს გაუზრდის. იდიის ამგვარი განვითარებისათვის გამოიყენა ბრეტქმა „ცარცის წრის“ ლეგენდა, რომელიც პროლოგში დასმული იდეისა და გადამწყვეტი მოქმედების „გუუსტრების“, „უცხოლ მოჩვენების“ ისეთი მხატვრული საშუალებაა, როგორც ლაბრაკობა და დრამატურგი თავისი „უფუქტის“ დახასიათებისას.

პროლოგის ამგვარი მნიშვნელობის გამო ბრეტქი კატეგორიულად უკრძალავდა რეჟისორებს პიესის პირველი ნაწილის გარეშე დადგმას. მაგრამ, როცა ზოგიერთმა რეჟისორმა დასაველი გერმანიაში ტექსტს პროლოგი („ფორშილი“) მაინც ჩამოაცილა და იგი პიესის „უმნიშვნელო დამატებად“ ჩათვალა, მაშინ ბრეტქმა პროლოგი („ფორშილი“) დასაბუთების გაეშე თვით ტექსტში შეიტანა, იგი პიესის პირველი ნაწილად გამოაცხადა და „ფორშილი“-ის ნაცვლად საგანგებო დასაბუთება მიუწახა — „დავა ველის გამო“.

ეს ცვლილება ბრეტქმა სიკვდილის წინ, 1956 წელს მოახდინა. უფრო ადრე კი მან პროლოგის ზოგიერთი დეტალი დააზუსტა: მოქმედება იწყება ჩვენი ქვეყნიდან პიტლერელთა განდევნის შემდეგ და არა იმის დროს, როგორც ეს პირველ ვარიანტშია; 1944 წლის ტექსტის შესავალ ნაწილში ორი კოლმეურნეობის დავა მიწის ნაკვეთის გამო გადაწყვეტილი რჩება. მათ უნდათ „ძველი სიბრძნე“ მოიშველიონ და ამ მიზნით ესწრაფებიან „ცარცის წრის“ თუმაზე წინასწარ მოზადებულ საქეტაკლს. ტექსტის საბოლოო რედაქციის მიხედვით, კოლმეურნეობები ადვილად თანმდებებიან ერთმანეთთან, ხოლო შედეგ ერთი კოლმეურნეობა მეორეს ენოვლდასებულ უწვენებს „ცარცის წრეს“, რომელშიც დელობის საკითხი ასლეზურად, საზოგადობრივი მორალის თვალსაზრისითაა გადაწყვეტილი. გამომდის, რომ ახალი საზოგადოებაა ხალხის სიბრძნის დამფასებელი, რომ სწორედ იქ, სადაც აღარაა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, ბრეტქის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ლაბრაკი „ძველი და ახალი სიბრძნის შეერთებაზე“.

იდიის კონკრეტულ-რეალისტურ და პირობით-ზღაპრულ პლანში არსებითად ერთნაირი გადაწყვეტით ბრეტქი შეეცადა მხატვრულ მთლიანობაში წარმოდგინა ძველი და ახალი ამბავი, რათა პირობით-ზღაპრულ ფონზე გამოლიო მასალა იდევრად არ დამორბეოდა თანამედროვეობას. ამგვარა, რომ დრამატურგს არ უნდოდა ძველ „ცარცის წრეს“ შეერგნოდა „წმინდა“ ზღაპრული ელფერი. ნაწარმოების ჭუმანისტური იდეისათვის მან სცადა შეექმნა ერთიანი მხატვრული ფონი, რომელიც ძველსა და ახლის თავისებური სინთეზი უნდა ყოფილიყო. შეიძლება სადავო იყოს ის, თუ რამდენად მიაღწია ბრეტქმა ამგვარ სინთეზს, მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ აღნიშნული დაზუსტებებით იგი აქეთუენ მიისწრაფოდა.

შემდეგი ცვლილებები მომდერლის ფუნქციის დაზუსტებასა და ნიღბების გამოყენებას შეეხება.

B-192 ვარიანტს დართული პეკს ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ცალკეული სცენები ყოველთვის არ უნდა იყოს მომდერლის რეჟიტაციის თავისებური გამოერება (ბრეტქის არქივი, 192/178). პიესის ადრეულ ვარიანტში მომდერლათ

ხელოვნურად დამატებული პერსონაჟი იყო. იგი ისე, როგორც ქორო ანტიკურ ტრადეციაში, „გარედან“ გავატყობინდა მოსალოდნელ მოქმედებას; უფრო გვიან მომღერალი რიგითი წყვრი გახდა იმ სოფლის საზოგადოებისა, რომელიც ბიკასშია წარმოდგენილი. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით კოლმურენები სტუმრებს უჩვენებენ ჩინურ „ცარცის წრეს“, რომელიც, როგორც ერთი გლუბი ამბობს, „ჩვენ საკითხს“ (ე. ი. კოლმურენობათა დავას) ეხება. მომღერალი არცაღი ჩრდილ (ტექსტში ჩვიცი) გვაუწყებს, რომ ჩინური ამბავი წარმოდგენილი იქნება „შეცვლილი სახით“, თანაც ნიღბების გამოყენებით. ამით აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ ის, რაც სცენაზე გათამაშდება, „ნიღბის უკან“ ხდება, რომ ძველი ამბავი მოჩვენებითაა ძველი, თორემ ისე თანამედროვეობას ეხმარება.




ილუსტრაცია „ავგასიურ ცარცის წრისათვის“
გაბრიელ მაიერ-დენევიცის

როგორც ვხედავთ, ბრეტკი ყველგან ცდილობს ძველი ზღაპრული ფონი რეალისტური იდეის გაშლისათვის გამოიყენოს, თანამედროვეობისათვის აქტუალური თემა არ გაანეიტრალოს პირობითმა მხატვრულმა აქსესუარებმა. „გუცხოვნების ეფექტით“ მიღწეული მხატვრული ფორმა არაა ისეთი, როგორსაც „წმინდა ფორმის“ მიმდევრები ქმნიან ხოლმე თავიანთი ნაწარმოებებისათვის. ბრეტკს არ მოსწონს ისეთი შემოქმედებითი ნიმუშები, რომელთა იდეის წვდომა და მხატვრული „გამოფერა“ ადვილად, „პირდაპირ“ შეიძლება. იგი იცის ცნობილი მარქსისტულ მოთხოვნას, რომ ნაწარმოების ტენდენცია ობიექტურად უნდა გამოიძინარებოდეს მთელი მოქმედებიდან, მასზე უშუალო მითითების გარეშე. ბრეტკის ცნობილ ნაწარმოებებში იდეა ყოველთვის დრამადა ჩაქსოვილი „საერთო მხატვრულობაში“, მაგრამ ისე, რომ ის ყველასათვის გასაგებია. ერთი შეხედვით, ნაწარმოების „საერთო მხატვრულობას“, ფორმას „ავგასიური ცარცის წრისა“ და „სერუანელი კეთილი კაცის“ ავტორი იდეის „შენიღების“, მეთხოველისა თუ მყურებლის მისგან დაშორებისათვის იყენებს. ეს მართალია, მაგრამ ეს ხომ ისეთი დაშორებაა, რომელიდანაც ასახვის ობიექტი უფრო გარკვეულ ჩანს და იდეაც სწორედ ისე აღიქმება, როგორც ეს ხელოვნების ქემშირიტ ნაწარმოებს შეჰფერის?! ბრეტკის ესთეტიკა მარქსისტულ მეთოდოლოგიურ წინამძღვრებზეა დაფუძნებული. „გუცხოვნების ეფექტზე“ მსჯელობისა თუ მხატვრულ ნაწარმოების შეფასების დროს იგი გამოიღოს რეალისტური ხელოვნების მეცნიერული გაგებიდან, რომელიც „ავგასიურ ცარცის წრისათვის“ ერთად გამოქვეყნებულ თეორიულ წერილში — „წერის რეალისტური მანერის სიფართოვე და მრავალმხრივობა“ — ასეა ჩამოყალიბებული: „რეალიზმის ცნება სიფართოვეს გულისხმობს და არა შეზღუდულობას... თვით სინამდვილე ფართოა, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი... სიმართლე შეიძლება მრავალგვარად ითქვას ან დაიმალოს. ჩვენ ჩვენი ესთეტიკა, ისე როგორც ჩვენი მორალი, ჩვენი ბრძოლის მოთხოვნებიდან გამოგვაყვას“ („ფერუხე“, 31, გერმანულ ენაზე, გვ. 107, 1961 წლის გამოცემა). იქვე ბრეტკი გახედილად გამოიღოს ყოველგვარი დოგმატიზმისა და სქემატიზმის წინააღმდეგ ესთეტიკაში: „... განსაკუთრებით საშიშია, — წერს იგი — დაიღი ცნება „რეალიზმისა“ რამდენიმე სახელის მონოპოლია არ გახდეს, როგორც ცნობილიც ეს სახელები არ უნდა



ილუსტრაცია „ავგასიურ ცარცის წრისათვის“
გაბრიელ მაიერ-დენევიცის



პიესის ხელნაწერის ფოტოკოპია


თანვე არ არსებობს საგანგებო ფორმალური მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა...

თუ რა ღრმად ესმოდ ბერტოლტ ბრეტს რეალიზმი მხატვრულ შემოქმედებასა და თეატრალურ ხელოვნებაში, ამის საჩვენებლად მოვიყვანე გიდეგ ორ ამონაწერს დრამატურების თეორიული შრომიებიდან — „ხალხურობა და რეალიზმი“, „მცირე ორგანიზმი“. „რეალისტური ნიშნავს — წერს ბრეტს პირველ შრომაში — საზოგადოებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას; გაბატონებული შეხედულებების კრიტიკას იმ კლასის პოზიციებიდან, რომელსაც სიმძლეების გადაღახვის ყველაზე უფრო ფართო პროგრამა აქვს; განვითარების მომენტის ხაზგასმას...“ („ზინ უნდ ფორმ“, 1958, № 4, გვ. 498) ასევე დიდ მოთხოვნებს უყენებს ბრეტსი თეატრს: „საკამარისი არ იქნება, ვკითხულობთ „მცირე ორგანიზმი“ — თუ ჩვენ თეატრისაგან მხოლოდ სინამდვილის შემეცნებას, მის დასრულებულ სახეებში წარმოდგენას მოვილოთ. ჩვენმა თეატრმა უნდა აღძრას შემეცნების სურვილი და უნდა გააღვივოს სინამდვილის გარდაქმნით გამოწვეული კმაყოფილების გრძობა. ჩვენმა მყურებელი არა მარტო უნდა დაინახოს, თუ როგორ გათავისუფლებს მიჯაჭვულ პრობლემას, არამედ თვით სურვილი მისი გათავისუფლებისა უნდა ინერგებოდეს მასში...“

ბრეტსის ესთეტიკაში, შესაძლებელია, ყველა საკითხი არაა ბოლომდე მარქსისტულად გასარებული. შესაძლებელია მსხვერპლაც იმასზე, თუ რამდენადაა ბრეტსის დრამატურგია და თეატრალური ხელოვნება მისივე თეორიული პრინციპების განხორციელება, მაგრამ, ვფიქრობთ, შეუძლებელია და უსაფუძვლო მტკიცება იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი სტრიქონების ავტორი ფორმალისმის გავლენის ქვეშაა, რომ „გაუცხოების ეფექტი“ ვერ ეგუება რეალიზმს.

დაგურუნდეთ ისევ „კავკასიური ცარცის წრეს“ და ვიკითხოთ: მაინც რატომ ქართულ-კავკასიური თუ აღმოსავლური ფონი აირჩია ბრეტსმა პიესაში მოქმედების გაშლისათვის? როგორ მოხდნენ ქართული სახელები გერმანული დრამატურგის პიესაში? პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა შედარებით

პიესის ხელნაწერის ფოტოკოპია



ადვილია. როგორც ელენე ვაგიელმა და ბრეტსის სხვა თანამშრომლებმა განაცხადეს, მწერალი აქ ევროპულ ლიტერატურაში კავკასიის „ტრადიციულ“ გაგებას გაკვავა; პირობით-ულად უნდა ფიქროს შექმნა „ეგზოტიკური“ კავკასიის ამჟობინა. უდავოდ, იმომქმედა იმ გარემოებაზე, რომ პიესაზე ბრეტსი ინტენსიურად სწორედ იმ პერიოდში მუშაობდა, როცა კავკასიონთან პიტლერელთა ჯარების განადგურება დაიწყო. გადმოგვიყვან, რომ იგი სისტემატურად ისმენდა რადიო-გადაცემებს კავკასიონთან ბრძოლების შესახებ. „ცარცის წრის“ ამის ქართულ-კავკასიურ გარემოში გადმტარების შემდეგ მა, როგორც ვიძიებ, საკუთარი სახელები შეცვალა და ამით ერთგვარად გადაძლიერა ერთგვარი კოლორიტი. თბილისი (Tiflis), საქართველო („Grusien“, „Georgien“) და ზოგიერთი ქართული სახელი პიესის პირველივე ვარიანტშივე იყო. შემდეგ მოხდა შემორჩენილი რუსული თუ არაქართული სახელების გადაკეთება, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც დარჩა. ტექსტის ბოლო ვარიანტში უმრავლესობა სახელები-სა და გვარების ქართულია (ნათელა აბაშვილი, ნიკო მიქაძე, მიხა ლოლაძე, სიმონ ჩანავა, სანდრო თბილაძე, მარო ანკო, ზურაბი და სხვ.), მაგრამ არის ასეთებიც — აზღავი, ბიყერგან კახბეგი, იუსუპი; ანდა შალვა აწერეთელი, ილო შუბინლაძე, კატო ვახტანგი (გვარი და სახელია!) ან სხვ. კიდევ უფრო უცნაურია ამ სახელების დამწერლობა: ინგლისური და გერმანული მართლწერის ორთოგრაფიული ნორმები არეულია ერთმანეთში: მაგალითად, ქართული ჩ-ხან ქლითაა დაწერილი, ხან tsch-ით, შ-უმეტესად — ინგლისური sh-ით, მაგრამ ზოგჯერ sch-ით. ამან შემდგომი გაუგებრობა გამოიწვია: ინგლისური ch გერმანულშიც ხ-დ წაიკითხება და მივიღეთ — ხახავა, ვახნაძე, მაშინ როცა ინგლისური ნორმების მიხედვით ჩანავა და ვარნაძე იკითხება. „ბერლინერ ანსამბლში“ და სხვა გერმანულ თეატრებშიც ამ გვარებს ახლა ასე დამახინჯებულად წარმოიქვამენ. ასევე ეს გვარები ბრეტსის პიესის რუსულ თარგმანშიც. თუ საერთოდ რომელი წყაროს ან ვისი საშუალებით გაცნო ბრეტსი ქართულ სახელებს, — ეს მწერლის მუვლემე და არჩევის თანამშრომლებმაც არ იცინა. ამბობენ მხოლოდ, რომ ისინი მოსწონდა ბრეტსს ელერადობის მიხედვით.

* * *

„კავკასიური ცარცის წრის“ ზოგიერთ ვარიანტში გვხვდებოდა ბრეტსის, როგორც თავისთვის პიესის მომავალი რეჟისორის შენიშვნები. ამ შენიშვნებს იგი თანდათან აკონკრეტებს პიესაზე თეატრში მუშაობის დროს. „ბერლინერ ანსამბლის“ პიესაში დაკულია ჩანაწერები, რომლებიც პიესაზე ბრეტსის რეჟისორული მუშაობის მივლ პროცესს გვიჩვენებს. მხატვარი კარლ აპენთან და კომპოზიტორ პაულ დესაუსთან ერთად იგი სპექტაკლისათვის ეძებს „ეპიკური“ პიესისათვის შესაფერ თეატრალურ ფორმას. მას უნდა „ეპიკური თეატრის“ სპექტაკლი შექმნას, ე. ი. ისეთი, რომელშიაც დაკული იქნება ფორმისა და შინაარსის, იდეისა და ფონის, ინტელექტუალური და ემოციური, სანაპობითი ელემენტებისა და გონებით განსჯის ისეთი ურთიერთობა, როგორსაც თეორეტიკოსი ბრეტსი მოითხოვს.


სპექტაკლის მხატვრული ფონი, განმარტავს ბრეტსი,

უღერსად პირობითი უნდა იყოს. იგი აპირებს კინო-პროექციების დახმარებით კავკასიური გარემოს წარმოსახვას და სცენაზე მხოლოდ აუცილებელი ნივთებისა თუ საგნების დატოვებას. მხატვრული სახეების შექმნა უნდა მოხდეს თეატრალური ნიღბების დახმარებით. მსახიობთა ჩაცმულობა აღმოსავლურ-ვეგოტიკური უნდა იყოს, ასევე მუსიკაც. ბრეტის — პიესის ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მხატვარს ძველებური აღმოსავლური ესკიზები გამოუყენებია, ხოლო კომპოზიტორს რუსული, ქართული და აზერბაიჯანული მუსიკა. ამის შესახებ თვით პაულ დესაუ წერს. გარდა ამისა, მასვე ლაიფიციელი ინსტრუმენტალისტის კონრად კატცის დახმარებით შეუქმნია ჩაქციალური ინსტრუმენტი „გონგმპილი“, რომელსაც რვა ჩაქური („გონგი“) და ოთხი პედალი აქვს. „გონგების“ შემადგენლობა ასეთია: 95% ალუმინი, 4% სპილენძი და 1% მაგნეზი. ამგვარი შენადნობი, ამბობს დესაუ, წარმოქმნის განსაკუთრებული ტემბრის მუსიკალურ ბგერებს, რაც, მისი აზრით, აუცილებელია „კავკასიური ცარცის წრის“ მუსიკალური ფონისათვის.

დიდ ყურადღებას აქცევდა ბრეტტი ნიღბების მხატვრულ დამუშავებას. „ნიღბები, ამბობს იგი, მეტ-ნაკლებად გამომეტყველი უნდა იყოს და სხვადასხვა სიდიდის... არ უნდა მოყვრილი იმის ჩვენებას, რომ ნიღაბს ვიკეთებ მეორე ადამიანის სახის ჩვენებისათვის...“ („ბერლინერ ანსამბლის“ არქივი, KKK, № 1) ნიღაბი თავდაპირველად ბრეტის მიერ რეჟისორთან დასს იმის საშუალებასაც აძლევდა, ერთდამთავრებ მსახიობს რამდენიმე როლი ეთამაშა. უფრო გვიან ნიღბები ბრეტტმა კლასობრივი განსხვავებულობის გამოსახატავად გამოიყენა: ნიღბები ძირითადად დარჩათ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებსა და მათი ბრძანებების მონურად შემსრულებელ ჯარისკაცებს.

„ბერლინერ ანსამბლის“ სცენაზე „კავკასიური ცარცის წრე“ 1953 წლის ნოემბრიდან მზადდებოდა და მხოლოდ 125 სარეპეტიციო დღის შემდეგ დაიდგა 1954 წლის 7 ოქტომბერს. ყველაზე ადრე, 40-იანი წლების ბოლოს პიესის სცენიური განსახიერება ამერიკელმა სცენის მოყვარულებმა სცადეს. მას შემდეგ პიესა მსოფლიოს მრავალი თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა. გერმანიის „თეატრალური გაერთიანების“ არასრული ცნობებით უკვე 1958-59 წლების სეზონში ბრეტტის პიესები შექსპირისა და შილერის პიესების შემდეგ ყველაზე მეტჯერ — 1527-ჯერ დაიდგა. საფიქრებელია, რომ დადგმულ პიესათა შორის „კავკასიური ცარცის წრე“ ერთერთ პირველ ადგილზეა.

ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ბრეტტის ეს პოპულარული პიესა ქართული სახელებით სწორედ საქართველოში არ დადგმულა. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთხელ იყო ასეთი განზრახვა და ისიც უღელური გამოდგა. ბრეტტის პიესებმა რომ ჩვენს სცენაზე საერთოდ ვერ აიდგეს ფეხი, ამის მიზეზი ძირითადად ის მცდარი შეხედულებებია, რომლებიც 40-იან და ნაწილობრივ 50-იან წლებშიც გამოითქმებოდა ხოლმე ბრეტტის დრამატურგიაზე. რაც შეეხება „კავკასიური ცარცის წრეს“, მისი დადგმა ქართულ სცენაზე სათანადო ცვლილებების გარეშე, ალბათ, მართლაც ძნელია, რადგან ქართულ-კავკასიურ ფონს მსყურებელი პირდაპირ აღიქვამს და




პიესის ხელნაწერის ფოტოკოპია

პიესის აზრსაც სხვაგვარად გაიგებს. ქართულ მასალაზე აგებული „გუგუცხოების ფეფქტი“ ჩვენს პირობებში საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს. ასეთი აზრისა არიან ქ-ნი ელენე ვაიცილი და ბრეტტის არქივის თანამშრომლებიც.

გერმანიის შემდეგ „კავკასიური ცარცის წრე“ განსაკუთრებით პოპულარულია პოლონეთში. იგი წარმატებით იდგმება ვარშავის, კრაკოვისა და სხვა ქალაქების თეატრებში. პოლონელმა მხატვარმა თადეუშ კულისციემამ ამ პიესის საფუძველზე მხატვრობის ფრიად სანატრესო ნიმუშები შექმნა. თუ არ ჩავივლით ლაიფიციელი გრაფიკოსის გაბრიელ მაიერ-დენვიციის ხეზე შესრულებულ ნამუშევრებს — „ფიქრები კავკასიურ ცარცის წრეზე“, მაშინ კულისციერის სურათების წიგნი

სცენა სპექტაკლდან





პიესის ხელნაწერის ფოტოკოპირი

ერთადერთი მიზნებელივანი ცდა იქნება „ცარცის წრის“ თემის მხატვრობაში გადატანისა.

ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა სხვადასხვაგვარად აფასებს „კავკასიურ ცარცის წრეს“ — პიესასა და სპექტაკლს. პიესის თეორიულ ქურნალ-გაზეთებში ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ პიესამ, ისე როგორც ბრეტის დრამატურგიამ საერთოდ, გამოაცოცხლა თეატრალური ცხოვრება. „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმის შემდეგ — წერს „ნოვა კულტურაში“ (23 იანვარი, 1955) ქრისტინა ბერენსკა — „შეძლება გამოთქვამთ იმედს, რომ ბრეტის პიესები გამოაცოცხლებს ჩვენს სცენებს და, რაც მთავარია, ბიძგს მისცემს ახლი-საკენ ჩვენს დრამატურგიას, რომელიც აქამდე ფეხედლორით-ტიკულ ფეხედლორის ვერ სცილდებოდა.“ „ვერცხლის-ფერი სიზმარი პრორული საქართველოდან“ — ასეთი სათარი აქვს კრაივის თეატრის დადგმის გამო „ტრიბუნა ლედში“ (15 თებერვალი, 1955) გამოქვეყნებულ რეცენზენტის რეცენზიის ავტორი სწორად შენიშნავს, რომ პიესის ავტორი არ ცდილობს ენციკლოპედიური განსწავლულობის გამოთქვადენებას, რომ რეალისტური ტენდენცია უშუალოდ გამოიხატოს აზრით, უაღრესად პირობითია და უფრო ზღაპრულ-შუასაუკუნოებრივ ფერებშია დასატული. მიუხედავად ამისა, წერს კრიტიკოსი, — „ამბის სოციალური აზრი და რეალიზმი უაღრესად ნათელია. სოციალური აზრი და რეალიზმი ფარავენ გარეგან ზღაპრულობასა და რეალიზმით თვითნებურ თამაშს... „საუკუნადღობა აგრეთვე რეცენზიის ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ბერტ ბრეტის ანტრეთ ნაწარმოებში არ მიჰყვება ისე მკაცრად თავისივე თეორიულ პრინციპებს, როგორც ამ ხალხური განზრის მორალისტურ პიესაში უბრალო გოგონასა და ხალხიდან გამოსული მსაჯულის შესახებ...“

